გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
5 მაისი **ხუთშაბათი** 2011
№ 103 (13 400) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა გაჩხუბებთ, ქართველები არ ხართ?! იმიტომ ვჩხუბობთ, რომ ქართველები ვართ!

ფერი ფერსაო, ვაი ერსაო

## საქართველოს თასის ფინალი



## გაგრა VS ტორპედო



2-3





## იმერული თავსატეხი

მტვრევა, მსხვრევა, ქვები, სისხლი

# 28 მაისს უემბლიზე

## მანჩესტერი ბარსელონა




9

## ქართული ფეხბურთი

● სკანდალური დღეები

# რისხვებია, გულს გაგიხეთქავს. თუ დადასტურდა...

### ინგლისში ფსონებს ჩვენს I ლიგაზეც იდებენ?!

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ კორუფციულ გარიგებებში მონაწილე ფეხბურთელების გამოვლენას საზოგადოებაში, ბევრი სხვა შემთხვევისგან განსხვავებით, ცალსახა მხარდაჭერა მოჰყვა, რადგან ქართულ ფეხბურთს სჭირდებოდა ის, რასაც ფეხბურთის ფედერაცია და მედია საკუთარი ძალებით ვერასოდეს გააკეთებდნენ.

*ცხადია, მომხდარით გულშემატკივარი გაოგნებულია.*

*- ყველა სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს. საერთოდ, ფიქრობდნენ მაგ დროს გულშემატკივარზე? მესმის, უჭირთ, მაგრამ ასეთი გზით ფულის შოვნა როგორ შეიძლება?*

*- სირცხვილი ყველას, ვინც ამ უზნეობაში მონაწილეობდა. კარგი იქნებოდა, ადრე დაეწყოთ ამის წინააღმდეგ ბრძოლა. იმედია, საქმე არ ჩაიფარცხება.*

ბევრი თვლის, რომ მომხდარმა ეროვნული ჩემპიონატის მიმართ ისედაც მცირე ნდობა სულაც ნულამდე



დასცა – როცა ასეთი ამბები მჟღავნდება, სხვაგვარად არც იქნება.

არიან ისეთებიც, ვისი აზრითაც ეროვნულ ჩემპიონატს ახლა არც ერთი ბიზნესმენი აღარ გაეკარება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ გვეჩვენა "ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ქუთაისის "ტორპედოს" პრეზიდენტ **ლევან ფხაკაძის** სიტყვები.

*"მგონია, რომ სიბინძურეების გამოვლენა ფეხბურთის განვითარებას სერიოზულ ბიძგს მისცემს. ეს ამბავი რომ ასე არ დასრულდება, ცხადია, მაგრამ ამ საქმით ყველას აჩვენეს, რა ხდება ჩვენს ფეხბურთში. ის არ დაილუპება, პირიქით, ეს ამბები შემოტრიალების დასაწყისი უნდა გახდეს. გაკეთდა კეთილი ნების ჟესტი, როდესაც დაკითხვაზე მყოფნი გაათავისუფლეს. ეს იყო მინიშნება, იცხოვრეთ და ითამაშეთ ნორმალურადო და თუ ამ საქმეში გარეული სხვა ადამიანები მერეც ვერაფერს მიხვდებიან, არავის აღარ მოეფერებიან"* – თქვა ფხაკაძემ.

ფეხბურთი ყოველთვის იყო და იქნება ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი სპორტის სახეობა ბიზნესისა და ტოტალიზატორებისთვის და ამ ინტერესს გარიგებული მატჩებიც ვერ შეანელებს. სხვაგვარად ფეხბურთს მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტი ბიზნესპარტნიორი არ ეყოლებოდა და ყველაზე შემოსავლიან ბიზნესთა შორის ვერ მოხვდებოდა.

როდესაც თამაში სიბინძურისგან გაიწმინდება, ის ბიზნესისთვის უფრო საინტერესო გახდება და, რაც მთავარია, ეს ჩვენი ჩემპიონატის დონის გაზრდას შეუწყობს ხელს – გარიგებული მატჩები სამსახიობო ნიჭის გამოვლენას უწყობს ხელს, წესიერი მატჩები კი - ფეხბურთელთა ზრდას.

ასე რომ, ქართული ფეხბურთის უკეთესი მომავლისთვის საინტერესო არის არა მხოლოდ მანიპულატორების (დავით გაბედავას მსგავსთა) და მათთან გარიგებული ფეხბურთელების გამოვლენა, არამედ მთავარი – ვინ დგას მათ უკან? გვენიშნა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** სიტყვები – ამ საქმეში, შესაძლოა, 30 გაბედავა იყოსო.

უნდა ვივარაუდოთ, რომ უარეს ამბებს შევიტყობთ. "იმედს" სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლადო ვარძელაშვილის** მინიშნებაც გვაძლევს, ეს ხუთი ფეხბურთელი მარტო ვერაფერს გააკეთებდაო. ისიც ითქვა, გარიგებულ მატჩებში 125 ფეხბურთელი მონაწილეობდაო, სულ ჩემპიონატში დაახლოებით 350-მდე ფეხბურთელი მონაწილეობს და ძნელი წარმოსადგენი არ არის, დამტკიცების შემთხვევაში ეს რამხელა მასშტაბის სკანდალში გადაიზრდება.

გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ ინგლისური ტოტალიზატორები "სპორტინგბეტი", Bwin და BET 365 ცოცხალ ფსონებს საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის მატჩებზეც იღებდნენ. ამ მატჩებით არც მედია ინტერესდება, არც - გულშემატკივარი და ტოტალიზატორთა ასეთი ყურადღება რას მივაწეროთ?

და მთავარი: გარიგებულ მატჩებში მონაწილეობისთვის დაისჯებიან თუ არა გუნდები? ნაკლებად სარწმუნოა, რომ ამაში გუნდები გარეული არ იყვნენ. ქართული ფეხბურთის "რვაფეხას" საიდუმლოს გასაღები ამ პასუხში იმალება.

**მერაბ მამულაშვილი**

● U21

# ახალგაზრდულმა ავაზაზე იორმხრივა

ახალგაზრდულ ნაკრებს მისი მთავარი მწვრთნელი **ოთარ გაბელია** 23 მაისს თბილისში შეკრებს და ხორვატებთან 3 ივნისის შეხვედრისთვის მზადებას დაიწყებს.

გაბელიას თქმით, ჯერ უცნობია, სად ივარჯიშებს გუნდი: საგურამოში, "ლოკომოტივის" ბაზაზე, თბილისის მიხეილ მესხის სახელობის თუ "ამერის" სტადიონებზე. გუნდი ვაშლიჯვარში, სასტუმრო "ბომონდ გარდენში" დაბინავდება.

შეკრებაზე გაბელია 24-25 ფეხბურთელს გამოიძახებს, საიდანაც ხორვატიაში 18 გაემგზავრება. არიან თუ არა სიაში ახალი ფეხბურთელები? ახალგაზრდულის მთავარი მწვრთნელი გვპასუხობს, რომ ჯერ სია არ შეუდგენია.

რადგან ამხანაგური შეხვედრა ვერ ხერხდება, გაბელია ხორვატიამდე ფეხბურთელების ადგილზე გასინჯვას ცდილობს. ერთი ასეთი შეხვედრა 3 მაისს "ავაზას" სტადიონზე გაიმართა.

*"ქართულ გუნდთან შეხვედრის გამართვა ვერანაირად ვერ ხერხდება, ამიტომ სახელდახელოდ შევკრიბეთ ჩვენს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელები და „ავაზაზე" ორმხრივი თამაში ჩავატარეთ"* – გვითხრა გაბელიამ.

**A გუნდი-B გუნდი 2:1**

**2:1 გაბაშვილი, 1:1 რიგვავა, 2:1 ლექვთაძე.**

**ა:** ლეგაშვილი, კანდელაკი, აფაქიძე, ხოჭოლავა, სალარიძე, სიხარულია, შონია (ფარტენაძე), მ. ჯიშკარიანი (ლექვთაძე), გუგუჩია (ც. ბუკია), დეკანოიძე (რიგვავა), სიხარულიძე.

**ბ:** ნადირაძე, კაკუშაძე, ჩადუნელი, გველესიანი (გაჩეჩილაძე), ქვარცხავა, პარუნაშვილი, ნემსაძე, იოსელიანი, ყაზაიშვილი, ბუკია, გაბაშვილი.

გაბელიას თქმით, ზუგდიდის "ბაიას" თავდამსხმელ **ირაკლი ქობალიას** მინვევაც სურდა, მაგრამ მას სიცხე ჰქონდა და თბილისში ვერ ჩამოვიდა.

**მერაბ მამულაშვილი**

## საქართველოს თასი | 1/2 ფინალი საპასუხო მატჩი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვონიკოკოს საგოლე დარტყმა — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# გაგრა მაგრად პირველლიგელი პირველად!

04.05. თბილისი. შატილი. 500 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 2**
**გაგრა 4**

**პირველი მატჩი 0:3**

0:1 კვანტალიანი (41), 1:1 ჩიმაკაძე (44), 1:2 ოვონიკოკო (57), 1:3 ოვონიკოკო (68), 2:3 ჩიმაკაძე (80), 2:4 ციცხვაია (90)

| ვიტ ჯორჯია | გაგრა |
|---|---|
| 4-3-2-1 | 3-5-2 |
| ძაძამია | სეფიაშვილი |
| ხურცილავა | ზ. ჩხეტიანი |
| ადამაძე | ტყეშელაშვილი |
| მაისაშვილი | კალანდაძე |
| ლანიაშვილი | ხუციძე |
| კორიფაძე | ნ. ჯიშკარიანი |
| გურ. გურეშიძე | შარიქაძე |
| ვასაძე | ნაკონეჩნი |
| ჯანელიძე | კვანტალიანი |
| ზაქრაძე | ორდინსკი |
| ჩიმაკაძე | ოვონიკოკო |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ზ. ბერიძე | ა. პისკოვეცი |

**ვიტ ჯორჯია**

46. ზაქრაძე – **როსტიაშვილი**
60. ხურცილავა – გაბრიჭიძე
65. ვასაძე – **გიორგი გურეშიძე**

*სათადარიგოები: ა. მიქაბერიძე, გოგიაშვილი, ჭანკვეტაძე, დვალაშვილი*

**გაგრა**

43. კვანტალიანი – **დ. გიგაური**
66. ორდინსკი – **კობერიძე**
78. ოვონიკოკო – **ციცხვაია**

*სათადარიგოები: ნადირაშვილი, გაბუნია, ქართველიშვილი, ჭკუასელი*

გაფრთხილება: **ჩიმაკაძე (25), ძაძამია (41), გიგაური (61)**

არბიტრი: ლ. სილაგავა

პირველ ნახევარფინალურ მატჩში "გაგრამ" "ვიტ ჯორჯიას" სამი უპასუხო ბურთი გაუტანა და ვეტერინარებს ფინალში მხოლოდ სასწაული თუ გაიყვანდა. ასეთი სასწაული "ვიტ ჯორჯიამ" წინა სეზონში მოახდინა, როცა მეოთხედფინალში "ზესტაფონთან" 0:3 "ამოქაჩა" და შემდეგ თასსაც დაეუფლა.

შარშან ვიტელებს დღევანდელზე გაცილებით ძლიერი შემადგენლობა ჰყავდათ, გაახალგაზრდავებული გუნდი კი გმირობამდე ახლოსაც არ ყოფილა. პირველი ტაიმის ბოლოს სტუმრებმა ანგარიში გახსნეს და ყველა შეკითხვას პასუხი იქვე გაეცა, შეხვედრის მეორე ნახევარში კი ფსიქოლოგიური წნეხისგან გათავისუფლებულმა მეტოქეებმა მაყურებელს პატივი დასდეს და მცირერიცხოვან პუბლიკას საკმაოდ კარგი სანახაობა შესთავაზეს. მატჩს საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი **თემურ ქეცბაია** დაესწრო.

ანგარიშის გახსნამდე მოედანზე დაძაბულობა იგრძნობოდა, ფეხბურთელები თავდაუზოგავად იბრძოდნენ და განსაკუთრებული ყურადღებით დაცვაში თამაშობდნენ. 40 წუთი სახიფათო მომენტებით დახუნძლული არ ყოფილა, თუმცა მასპინძლებმა დაწინაურების რეალური შანსი გაუშვეს ხელიდან – **დავით მაისაშვილის** თავური ხარიხას მოხვდა. პასუხად "გაგრას" კაპიტანმა **გიორგი ტყეშელაშვილმა** შორეული ჯარიმა მიზანს ოდნავ ააცილა.

41-ე წუთზე ვიტელთა დაცვას "ჩაეძინა" და თამაშგარეს ზღვარზე მყოფი **შალვა კვანტალიანი** მეკარესთან პირისპირ გავიდა. **გიორგი ძაძამიამ** სტუმართა შემტევი წესების უხეში დარღვევით შეაჩერა და ამ უკანასკნელს ბურთის კარში გაგზავნა რომ ვერ მოესწრო, ძაძამია გაძევებას ვერ გადაურჩებოდა – 0:1. კვანტალიანმა თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

**ანატოლი პისკოვეცის** ფეხბურთელთა ზეიმმა მცირე ხანს გასტანა. ბესიკ ჩიმაკაძემ ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით წონასწორობა აღადგინა და თავისიანებს უმცირესი იმედი დაუბრუნა.

მეორე ტაიმი კი ლაღი და უხვგოლიანი გამოდგა. პირველი მატჩის გმირი **ოვონიკოკო** შესვენებამდე დიდად არ დატვირთულა, სამაგიეროდ, მეორე ნახევარში გაილაღა და წინა შეხვედრის მსგავსად, საპასუხოშიც დუბლი შეასრულა. საქართველოს მოქალაქეობის მომლოდინე ნიგერიელის გოლები ერთმანეთს ძალიან ჰგავდა. იგი ორივეჯერ მეკარესთან პირისპირ გავიდა და ორივეჯერ მახვილი კუთხიდან გაიტანა, ოლონდ ეგ იყო, მეორე გოლისას ხელს უფრო მეტი ფეხბურთელი უშლიდა.

ოვონიკოკოს მხარი ჩიმაკაძემ აუბა და მოედანი მანაც დუბლით დატოვა. მასპინძელთა ცენტრფორვარდს გოლი ეფექტური გამოუვიდა – ბურთი მიილო თუ არა, სიტუაცია უმალ შეაფასა და "გაგრას" კარის ცხრიანი დალაშქრა.

თამაში ორმხრივი შეტევებით გაგრძელდა, ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა ორივე გუნდს ჰქონდა, თუმდა ბოლო სიტყვა ფინალისტებმა თქვეს – შეცვლაზე შესულმა **დავით ციცხვაიამ** ლამის აუტის ხაზიდან გაიტანა.

ასე დაწერა "გაგრამ" თავისი ისტორია საქართველოს თასზე და ფინალში გასულ პირველ ქვედალიგელად იქცა. ფინალში "ზესტაფონი" რომ გასულიყო, პისკოვეცის გუნდი ევროპის ლიგის საგზურს გუშინვე დაიბევებდა, ახლა კი ევროპაში გასვლის უფლებას მხოლოდ თასის მფლობელი მოიპოვებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ორი მატჩის ჯამში გაგრამ ვიტ ჯორჯიას 7 გოლი გაუტანა — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტორპედო ფინალში, ფეხბურთი შარში

## იმერული თავსატეხი: მტვრევა, მსხვრევა, ქვები, სისხლი


საკამათო ეპიზოდი ტორპედოს კართან

04.05. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 4500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 0 |
| ტორპედო | 0 |

**პირველი მატჩი 0:1**

| ზესტაფონი 4-4-2 | ტორპედო 4-5-1 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | მიგინეიშვილი |
| ალადაშვილი | დ. ფოფხაძე |
| გ. ონიანი | ს. თოლუა |
| გ. ხიდეშელი | ფარულავა |
| გ. ფოფხაძე | ჩიკვილაძე |
| დაუშვილი | დოლიძე |
| ბაბუნაშვილი | დილმელაშვილი |
| გრიგალაშვილი | ქებაძე |
| აფციაური | დათუნაიშვილი |
| დვალი | გ. სეთურიძე |
| გელაშვილი | ვ. კვარაცხელია |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი |
| გ. გეგუჩაძე | გ. გიგატაძე |

**ზესტაფონი**

63. ბაბუნაშვილი - **გორგიაშვილი**
71. გ. ფოფხაძე - **ნინამძღვრიშვილი**
78. აფციაური - **ჭანკოტაძე**

*სათადარიგოები: მამალაძე, კობახიძე, ბენაშვილი, ლომია*

**ტორპედო**

61. კვარაცხელია - **მეგრელაძე**
77. ქებაძე - **საბანაძე**
88. დოლიძე - **თარხნიშვილი**

*სათადარიგოები: ქვილითაია, მაჭავარიანი, გიგაური, გოცირიძე*

გაფრთხილება: **დოლიძე(9), თოდუა (24), კვარაცხელია(38), ონიანი (38), გელაშვილი (40), ალადაშვილი (52), დილმელაშვილი (79)**

არბიტრი: **ა. კრიჭაშვილი**

ამ შეხვედრაში კარგიც ბევრი იყო და ცუდიც. სკანდალები და დავიდარაბა ქართულ ფეხბურთს ისედაც არ აკლდა და ამას გუშინ კიდევ ერთი უმსგავსობა დაემატა. ჩვენი საქმე, უპირველესად, თამაშია და ჯერ ამაზე ვთქვათ, მერე კი ორივე გუნდის ქომაგთა ბარბაროსულ საქციელზე.

შეხვედრას არაერთი მაღალი რანგის სტუმარი დაესწრო. თამაშიც საინტერესო, დაძაბული და დრამატული გამოდგა. საგოლე მომენტებიც ბლომად შეიქმნა. ეგაა, ხან მეკარეები ყოჩაღობდნენ, ხანაც ფორვარდებს აკლდათ სიზუსტე. საბოლოოდ, „ტორპედოს" უფრო გაუმართლა და ფინალშიც ითამაშებს. ელიტაში დაბრუნებული ქუთათურებისთვის ეს ძალიან კარგი შედეგია, თუმცა არა გვგონია, ამბიციური „ტორპედო" მხოლოდ ფინალისტობას დაყაბულდეს. ისინი ევროსაგზურს უმიზნებენ და საამისოდ ერთადერთი შანსი თასის მოპოვებაა.

გუშინ ზესტაფონში მართლაც საფეხბურთო გარემო იყო შექმნილი. სავსე ტრიბუნები, თავიანთი კლუბების ფერებში შემოსილი ქომაგები, დროშების ფრიალი, დოლების ბაგაბუგი... შეხვედრა სტუმრების უპირატესობით დაიწყო. მართალია, **გია გიგატაძემ** ფრთხილი ტაქტიკა არჩია, მაგრამ „ტორპედო" დაცვაში არ ჩამდგარა. პირიქით, სწრაფი კონტრშეტევებითა და სახიფათო შორეული დარტყმებით აწუხებდა მეკარეს. მე-4 წუთზე **სეთურიძემ** საჯარიმოს მისადგომებიდან გაისროლა და ბურთი ოდნავ ასცდა ზესტაფონელთა კარს. ცოტა ხანში **ჩიკვილაძემ** დაარტყა უზუსტოდ. მე-16 წუთზე ქუთათურებმა ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. **დოლიძე-კვარაცხელია-ქებაძის** კომბინაციისას უკანასკნელი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, ხელსაც არავინ უშლიდა და გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ კარს ააცილა. ორიოდე წუთში დოლიძემ შეამოწმა **კვასხვაძის** მზადყოფნა. სტუმრები ზესტაფონელებს ძალიან მჭიდროდ, უხეშობის ზღვარზე ეთამაშებოდნენ. **გეგუჩაძის** შეგირდებს აშკარად უჭირდათ ქუთაისელთა დაცვაში „ხვრელების" მოძებნა. პირველი რეალური სახიფათო მომენტი მათ 27-ე წუთზე შექმნეს: **დვალი** მეკარესთან პირისპირ გავიდა, თუმცა მას ქებაძე მეურვეობდა და მასთან ორთაბრძოლაში ზესტაფონელმა ფორვარდმა კარში დარტყმა ვერ მოახერხა. ზესტაფონელები ქებაძის მხრიდან წესების დარღვევის დაფიქსირებას და პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ უშედეგოდ. კუთხურიდან მოწოდებული ბურთი **ხიდეშელმა** გაგზავნა კარისკენ და **მიგინეიშვილმა** ითამაშა ზუსტად. მან გუშინ მართლაც ივარგა და თავისიანების წარმატებაში ლომის წილი დაიდო. 35-ე წუთზე **კვარაცხელიასა** და **ონიანს** შორის შეხლა-შემოხლა მოხდა. სიტუაცია დაიძაბა, ფეხბურთელების დასაწყნარებლად მოედანზე ორივე გუნდის მწვრთნელები შევიდნენ და მდგომარეობაც მალე განიმუხტა. „ჩხუბისთავები" **კრიჭაშვილმა** ყვითელი ბარათით დასაჯა, თუმცა შეეძლო, უფრო მკაცრიც ყოფილიყო.

შესვენების შემდეგ უპირატესობას „ზესტაფონი" დაეუფლა. ფეროელები გოლის გატანას, ტორპედოელები კი დროის გაყვანას და სასურველი ანგარიშის შენარჩუნებას ცდილობდნენ. თუმცა მომენტები ორივე კართან იქმნებოდა. 61-ე წუთზე ქუთაისელთა რიგებში **გია მეგრელაძე** გამოჩნდა, რომელმაც პირველ შეხვედრაში გამარჯვების გოლი გაიტანა. ვეტერანი ფორვარდი აქტიურად ჩაერთო თამაშში და მის გამოსვლას ტორპედოელთა გააქტიურებაც მოჰყვა. 69-ე წუთზე სეთურიძემ ქებაძეს უპასა, მან კი უკეთეს პოზიციაში მყოფ მეგრელაძეს დაუგორა ბურთი, თუმცა გიას დარტყმა ოდნავ ასცდა მიზანს. მომდევნო შეტევისას მანვე ჩიკვილაძის ფლანგურ პასს თავი შეაგება, მაგრამ კვასხვაძემ აუღო. 75-ე წუთზე მეგრელაძემ საჯარიმოს გარედან უძლიერესად გაისროლა და კვასხვაძემ ნახტომით მოიგერია ბურთი. ბოლო წუთებმა მასპინძელთა გააფთრებულ შეტევებში ჩაიარა. აქტიურობდნენ მოედანზე შემოსული **გორგიაშვილი, ჭანკოტაძე** და **ნინამძღვრიშვილი**. 89-ე წუთზე ზესტაფონელთა მწვავე შეტევას უძლიერესი დარტყმით დვალი აგვირგვინებდა, გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მიგინეიშვილმა სასწაულებრივად მოიგერია ბურთი, დამატებაზე გრიგალაშვილი ურტყამდა, მაგრამ მას უკვე **დილმელაშვილი** გადაეღობა.

ტორპედოელებმა ამ შედეგით ძალიან გაიხარეს. ქუთათურებმა ფინალში გასვლა თავიანთი ქომაგების სექტორთან იზეიმეს. ამის შემდეგ კი დაიწყო... ქუთაისელ ფეხბურთელებს გვირაბში გასვლისას სხვადასხვა საგანი დააყარეს თავზე და წყალიც ბლომად გადაასხეს. პოლიცია იძულებული გახდა, აგრესიული გულშემატკივრები დაეშოშმინებინა. „ზესტაფონის" ფანკლუბის წევრებმა ეს ფაქტი იმით ახსნეს, რომ „ტორპედოს" ფეხბურთელმა ქომაგები პროვოკაციაზე წამოაგო. თავის მხრივ, არც „ტორპედოს" ქომაგებს აქვთ საამაყოდ საქმე, რომლებმაც გული სკამების მტვრევით მოიოხეს და ერთი სექტორი, ფაქტობრივად, მთლიანად მოაოხრეს. ერთ-ორ გულშემატკივარს ამ დავიდარაბისას თავიც გაუტყდა, ბოლო აკორდი კი „ტორპედოს" ფანების ავტობუსებზე ქვებით თავდასხმა და მინების ჩამტვრევა იყო.

ასეთი ბრძოლა იყო გუშინ ზესტაფონში... მოედანზეც და მოედნის მიღმაც.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან
ავტორის ფოტოები



● ბაია. სკანდალის ექო


დინამო-ბაია. ეს საპენალტე ჯარიმა გიორგი ქირიას (№20) ძვირად დაუჯდა

## კიდევ ორი თამაშგარეთ

გახმაურებული სკანდალის გამო "ბაიადან" **როინ ონიანი** და **ლევან ვართაგავა** რომ დაითხოვეს, ეს უკვე გამცნეთ, გუშინ კი დადასტურდა, რომ მაქინაციებში ზუგდიდური გუნდის კიდევ ორი წევრის მონაწილეობას ეჭვობენ.

ესენი არიან **მაკარ აქუბარდია**, რომელიც "დინამო"-"ბაიას" მატჩისას ტრავმისა თუ ტრავმის მომიზეზებით ნაადრევად შეცვალეს და **გიორგი ქირია**, რომელმაც იმავე შეხვედრაში საკუთარ საჯარიმოში პენალტი "აიკიდა".

როგორც "ბაიას" მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** გვითხრა, აქუბარდია და ქირია ჯერჯერობით გუნდის წევრებად რჩებიან, მაგრამ მხოლოდ ინდივიდუალურად ივარჯიშებენ და "ბაიას" უახლოეს მატჩებში ვერ ითამაშებენ.

*"მათმა საქციელმა ბუნებრივი ეჭვი გააჩინა და სანამ არ დავადგენთ, იყო თუ არა ამ ორი ფეხბურთელის საქციელი მიზანმიმართული, მანამდე მათი თამაში მიზანშეწონილად არ მივაჩნია. ვესაუბრე "ბაიას" ყველა ფეხბურთელს, ვატარებთ შიდა გამოძიებას და ყველაფერს მალე მოეფინება ნათელი. მანამდე კი მინდა მჯეროდეს, რომ აქუბარდია და ქირია უდანაშაულონი არიან"*, - ამბობს ქომეთიანი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ამბები

## ხორვატიასთან გოგუას გარეშე

საქართველოსა და ხორვატიის ეროვნული ნაკრებების შეხვედრის შემდეგ **თემურ ქეცბაიამ გოგიტა გოგუა** ნაკრებიდან გაუშვა, რამაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, თუმცა მთავარი მწვრთნელი და ფეხბურთელი კომენტარისგან თავს იკავებდნენ. ახლა კი ცხადი გახდა, რომ ქეცბაია ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ნახევარმცველს ხორვატიასთან 3 ივნისის შეხვედრაზეც არ გამოიძახებს, რისი დასტურიც მისი სიტყვები იყო **დიმიტრი ობოლაძის** გადაცემა "საფეხბურთო ღამეში".

*"ერთი წლის განმავლობაში მინდოდა მასთან კონტაქტი, მაგრამ ვერა... რატომ არ ჰკითხეთ კლაუს ტოპმიოლერს, ბოლოს რატომ აღარ იწვევდა? 15 თამაშში მივეცი თავის გამოჩენის საშუალება. შემტევმა ნახევარმცველმა ამდენ შეხვედრაში გოლი თუ არ გაიტანა, საგოლე გადაცემა მაინც უნდა გააკეთოს... ფეხბურთი გუნდური თამაშია და სადაც გუნდს სჭირდები, იქ უნდა ითამაშო და არა მხოლოდ იქ, სადაც შენ გინდა. რომ გამოვა ფეხბურთელი და აქ მინდა და არა იქო, ასე სადაა? ... მესმოდა ლაპარაკი, გოგუას საქართველოს ნაკრებში თუ არ ათამაშებენ, დავილუპებითო. თუ მართლა ასეა, დალუპულა ჩვენი საქმე და ეგააა. ... გოგუასთვის ხაზი არ გადამისვამს, თუ გამოსწორდება, მოვიწვევ, ვათამაშებ და დაეხმაროს გუნდს, მაგრამ ნაკრებში არ გამოვა "მე აქ მევასება და იქ არა". ეს ყველამ თავიდან უნდა ამოიგდოს, სადაც გეტყვიან, შენს ნაკრებს იქ უნდა ემსახურო"* – თქვა ქეცბაიამ.

## ცხადაძის ინტერი ფინალშია

**დავით ოდიკაძის** მიერ შეხვედრის მე-2 წუთზე გატანილი გოლით ბაქოს "ინტერმა" აზერბაიჯანის თასის განმეორებით შეხვედრაში ბაქოს აზალ-ი (ადრინდელი „ოლიმპიკი") 1:0 დაამარცხა და ფინალში გავიდა.


ხათაბალა არც აზერბაიჯანის თასს დაჰკლებია

პირველი მატჩი, რომლის მასპინძელიც „ინტერი" გახლდათ, 0:0 დასრულდა. აზერბაიჯანში ბევრი იმედოვნებდა, რომ მათი თანამემამულის, **ნაზიმ სულეიმანოვის** გაწვრთნილი აზალ-ი სენსაციას მოახდენდა და ფინალში გავიდოდა.

თუმცა **კახა ცხადაძის** „ინტერმა" გასვლითი მატჩი მოიგო და სეზონში მეორე ტიტულის მოპოვების შანსი დაიტოვა (გუნდი იანვარში „თანამეგობრობის თასის" მფლობელი გახდა).

„ინტერს" კიდევ ორჯერ ჰქონდა დაწინაურების შანსი, მაგრამ **გირტს კარლსონმა** და ოდიკაძემ საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს.

*„ეს იყო ნერვული შეხვედრა და მიხარია, ფინალში რომ გავედით. მოწინააღმდეგეს გუნდური თამაშით ვაჯობეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ეს მოგება ბიჭებს ფსიქოლოგიურად ძალიან წაადგებათ"* - თქვა მატჩის შემდეგ ცხადაძემ.

ფინალში „ინტერი" 24 მაისს ლენქორანის „ხაზარს" შეხვდება, რომელმაც მეორე ნახევარფინალურ წყვილში „ბაქოს" დიდ ბრძოლასა და ჩხუბში აჯობა.

**მერაბ მამულაშვილი**

**საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს „დინამოს" ლეგენდის**

**სერგო კოტრიკაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ლიგა. მიმოხილვა

# საინტერესო ფინიშის მოლოდინი

პირველი ლიგის დასრულებამდე ხუთი ტურია დარჩენილი, თუმცა კენტგუნდიანი ჩემპიონატის პირობებში კლუბებს სხვადასხვა რაოდენობის მატჩები აქვთ ჩასატარებელი. შეგახსენებთ, რომ დებულების თანახმად, პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები ავტომატურად გადადიან უმაღლეს ლიგაში, მესამე ადგილოსანი კი პლეი-ოფის მატჩს (ნეიტრალურ მოედანზე) ჩაატარებს უმაღლეს ლიგაში მერვე ადგილზე გასულთან. ეს პაექრობა ერთმატჩიანი იქნება: თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ორი 15-წუთიანი ტაიმი დაინიშნება, ხოლო თუ დამატებით დროში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, მაშინ დაინიშნება პენალტების სერია. სწორედ ამ საპლეიოფო, ანუ მესამე ადგილისთვის იქნება კიდეც სერიოზული კონკურენცია დარჩენილ ტურებში — სულ მცირე, სამ გუნდს მშვენიერი შანსი აქვს, უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად იბრძოლოს. აი, რაც შეეხება პირველ და მეორე ადგილებს, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ყველაფერი გარკვეულია: უფრო ზუსტად, პირველი ლიგის ერთ-ერთი გამარჯვებული, ფაქტობრივად, ცნობილია: დარჩენილ შეხვედრებში „გაგრას" ოთხი ქულა სჭირდება უმაღლესი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად. თანაც, არ დაგვავიწყდეს ის ფაქტორიც, რომ „გაგრას" თავის კონკურენტებისგან განსხვავებით ერთი მატჩით მეტი აქვს სათამაშო. მოკლედ, გამოცდილ უკრაინელ მწვრთნელ **ანატოლი პისკოვეცს** მართლაც გამორჩეული სეზონი ჰქონდა: „გაგრა" საქართველოს თასის ფინალში გაიყვანა და, რაც მთავარია, ერთწლიანი პაუზის შემდეგ ეს საინტერესო გუნდი, ფაქტობრივად, ისევ უმაღლეს ლიგაში დააბრუნა! „გაგრა" მესამეადგილოსან „დილას" რვა ქულით უსწრებს და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი თამაშითაც ნაკლები აქვს ჩატარებული. ისე, „გაგრას" ასეთი დამაჯერებელი ასპარეზობა არავის უნდა გაჰკვირვებოდა — წინა სეზონში, უმაღლესი ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ, გუნდმა, ფაქტობრივად, 100 პროცენტით შეინარჩუნა ძირითადი ბირთვი; ეგ კი არა, უფრო გაძლიერდა კიდეც (აქაურობას გაშინაურებულ 29 წლის **მიკოლა ნაკონეჩნის** კიდევ ერთი უკრაინელი ლეგიონერი, 25 წლის **ვლადიმირ ორდინსკი** დაემატა) და გათამაშების დაწყებიდანვე პირველი ლიგის ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტადაც სრულიად დამსახურებულად მიიჩნეოდა, როგორც მარტვილის „მერანი" - ამ გუნდმა პირველი სიურპრიზი წინა სეზონში შემოგვთავაზა, როცა საქართველოს თასის ისტორიაში პირველი გუნდი შეიქმნა, ნახევარფინალში პირველი ლიგის წარმომადგენლის სტატუსით რომ ასპარეზობდა.

„მერანი" წინა სეზონშიც აცხადებდა უმაღლესში დაბრუნების პრეტენზია, მაგრამ „ორივე ფრონტზე" ძალები არ ეყო და ეს მიზანი ერთი წლით გადადო. ახლა კი, მარტვილელები ძალიან ახლოს არიან უდიდეს მიღწევასთან: ამ ქალაქის გუნდს უმაღლეს ლიგაში ხომ არასდროს უასპარეზია! ამიტომაც არავის უნდა უკვირდეს, როცა „მერანისა" და ხობის „კოლხეთის" მატჩს მარტვილში 1000 გულშემატკივარი დაესწრო. მართალია, „მერანს" ოფიციალურად არ გაუფორმებია უმაღლესი ლიგის საგზური, მაგრამ ახალგაზრდა სპეციალისტის, **მალხაზ ჟვანიას** გუნდს დარჩენილ ოთხ შეხვედრაში ოთხი ქულის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს. სხვათა შორის, უახლოეს ტურში მართლაც განსაკუთრებული მატჩი გველოდება: „გაგრა"-„მერანი"...

აი, რაც შეეხება მესამე, ანუ საპლეიოფო ადგილს, ამისათვის სამი გუნდი იბრძვის: გორის „დილა", საჩხერის „ჩიხურა" და ბათუმის „დინამო". დღესდღეობით „დილა" კონკურენტებს კი უსწრებს, მაგრამ „ჩიხურაზე" და „დინამოზე" ერთიით მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. უკანასკნელ ტურში უდიდესი სატურნირო მნიშვნელობა ჰქონდა საჩხერეში ჩატარებულ მატჩს, სადაც „ჩიხურა" გორის „დილას" მასპინძლობდა. შეგახსენებთ, რომ მასპინძელთა გუნდს გამოცდილი სპეციალისტი, **სოსო ფრუიძე** ხელმძღვანელობს და მეორე ეტაპის დაწყებამდე „ჩიხურას" ძირითად ბირთვს ადგილობრივი ფეხბურთელები შეადგენდნენ (ამის მერე გამოჩნდნენ უმაღლეს ლიგაში ნათამაშები, 25 წლის **არჩილ ალავიძე** და 24 წლის ტყუპი ძმები **დავით და ლევან ჩაგელიშვილები**); აი, „დილას" მთავარი მწვრთნელის **გიორგი ცეცაძის** განკარგულებაში კი არაერთი გამოცდილი ფეხბურთელია და სწორედ გამოცდილების ხარჯზე შეძლეს კიდეც გორელებმა ამ უპრინციპულესი მატჩის მოგება. შეხვედრის ერთადერთი გოლი კი „დილას" ცენტრალურმა მცველმა, 24 წლის **გივი ქარქუზაშვილმა** გაიტანა, უმაღლეს ლიგაში სხვადასხვა დროს ცხინვალის „სპარტაკში", ახალციხის „მესხეთსა" და „ბორჯომში" რომ უთამაშია. თუმცა გამოცდილება „დილას" არც სხვა ფეხბურთელებს დაეწუნებათ: **ბექა შეყრილაძეს, რომან ახალკაცს, ვლადიმერ ჯოჯუას, რომან გოგინაშვილს.**

ისე, „ჩიხურამ" მეორე ეტაპი შთამბეჭდავად კი ჩაატარა, მაგრამ უშუალო კონკურენტებთან ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგო; ასევე არასტაბილურობის გამოა, ბათუმის „დინამო" დღესდღეობით V ადგილზე რომ იმყოფება. თუმცა, **ამირან გოგიტიძის** გუნდს დარჩენილი მატჩების წარმატებით დამთავრების შემთხვევაში იმის შანსიც ექნება, მესამე ადგილი რომ დაიკავოს; ოღონდ, ამისათვის „დილას"... ნაფორხილების იმედადაც უნდა იყოს. მოკლედ, საინტერესო ფინალი გველოდება და დიდია იმის ალბათობაც, რომ მესამე ადგილის მფლობელის ვინაობა სწორედ ბოლო ტურში გაირკვეს.

**გია ტუხაშვილი**



მარტვილის მერანი უმაღლეს ლიგასთან ახლოსაა

## XXIX ტური

### მერანი–კოლხეთი 2:0

28.04. მარტვილი. ცენტრალური. 1000 მაყურებელი

1:0 ა. სუხიაშვილი (37), 2:0 მ. ტაპე (79)

*გ. ჟვანიამ („მერანი") ვერ გაიტანა პენალტი*

მერანი: ჯ. შეროზია, თ. კაკუშაძე, გ. ჟვანია, ვ. იობაშვილი, ა. სუხიაშვილი, გ. ილურიძე (83. დ. ბერუაშვილი), ლ. ჩალაძე, გ. მემარნიშვილი (65. გ. ნონორია), გ. ამბროლაძე, ლ. კუჭუხიძე (67. მ. ტაპე), გ. თოდუა.

სათადარიგოები: ლ. გორდეზიანი, კ. მელიავა, ი. ფაცაცია, ჟ. იატრო

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

კოლხეთი: დ. ხარძეიშვილი (50. ზ. გელაშვილი), ლ. ჩაჩიბაია (46. ი. კუტალია), ლ. გოგენია, ბ. ბუკია, მ. ბესარაშვილი, კ. ალანია, ვ. ფირცხალავა, მ. ჭკადუა (85. პ. გაბრავა), ო. ფიფია, ც. ბუკია, ლ. მეთიშვილი

სათადარიგო: კ. გოგენია

მთავარი მწვრთნელი: კალისტრატე ხურცილავა

გაფრთხილება: ა. სუხიაშვილი, ვ. იობაშვილი; დ. ხარძეიშვილი, მ. ბესარაშვილი

არბიტრი: ოთარ ხეცაძე (თბილისი)

### გურია–სამგურალი 2:1

28.04. ლანჩხუთი. „ევგრაფი შევარდნაძე". 100 მაყურებელი

0:1 ზ. კუხალაშვილი (9), 1:1 ი. დეისაძე (28), 2:1 ი. კილაძე (45).

გურია: მ. გოგუაძე, ჯ. გოგიბერიძე, რ. კუკულაძე, ბ. წერეთელი, გ. შენირული, ი. კილაძე, გ. კვიტაიშვილი (76. ზ. რაზმაძე), თ. სივსივე, ნ. ტოროტაძე (66. გ. თოლორდავა), ლ. რუსიეშვილი (46. ნ. ებრალიძე), ი. დეისაძე

*სათადარიგოები: ი. ხვედელიძე, გ. კუკულაძე, ბ. ტულუში*

მთავარი მწვრთნელი: ირაკლი ფაცურია

სამგურალი: დ. ხურცილავა, გ. ჩიხლაძე, დ. ჩაკვეტაძე, ზ. ჩიხლაძე, გ. ჯიმშელეიშვილი, ხ. უგრეხელიძე, ნ. უგრეხელიძე (21. ლ. ცხადაძე), ი. შალიკაშვილი, ზ. კუხალაშვილი, ზ. ქუთათელაძე (46. ლ. ნავერიანი), გ. ბუხაიძე (46. გ. თევდორაძე)

*სათადარიგოები: შ. ესებუა, ლ. მესხი, ზ. სალინაძე.*

მთავარი მწვრთნელი: ტრისტან მანაგაძე

გაფრთხილება: ბ. წერეთელი; გ. ჩიხლაძე, გ. ჯიმშელეიშვილი

არბიტრი: ზურაბ ანიაშვილი (გორი)

### იმერეთი–ადელი 3:0

28.04. ხონი. ცენტრალური. 200 მაყურებელი

1:0 რ. კვერნაძე (37), 2:0, 3:0 გ. ცაგარეიშვილი (45, 69)

იმერეთი: ი. შენგელია, თ. ხარებავა (75. ა. თელია), ბ. ხაჭიპერაძე, გ. ბიბილაშვილი, ჯ. ლოლუა (46. რ. კაშია), გ. გოდერიძე, მ. ჩხარტიშვილი, ლ. კირკიტაძე (82. გ. ქობალია), ბ. ჩხეტიანი, რ. კვერნაძე, გ. ცაგარეიშვილი

*სათადარიგოები: გ. ნიქაბაძე, ი. ასათიანი, ა. მეტონიძე, დ. ფესტვენიძე*

*მთავარი მწვრთნელი: დავით ჭელიძე*

ადელი: ი. დევაძე, მ. ფუტკარაძე (46. ლ. კვანტალიანი), ს. კახიძე, მ. ხაჩიძე, გ. ფალავანდიშვილი, ნ. ნასუაშვილი, დ. ჯალაღანია, ნ. წულუკიძე, ა. აბუსერიძე, ჯ. მერებაშვილი (46. ფ. მოროტიე), ზ. გობეჯიშვილი (46. ზ. მჟავანაძე)

სათადარიგო: გ რომანაძე

მთავარი მწვრთნელი: გია ჯორბენაძე

გაფრთხილება: ნ. წულუკიძე

არბიტრი: ირაკლი ურუშაძე (ლანჩხუთი)

### ჭიათურა–ჩხერიმელა 0:3

28.04. ჭიათურა. „თ. მაღრაძე". 250 მაყურებელი

0:1 ა. ლაბაძე (52), 0:2 ვ. ტაბატაძე (64), 0:3 რ. ჩიხლაძე (85)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ბ. ჭუმბურიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ლ. ქურდაძე, ლ. ცუცქირიძე, ზ. ნოზაძე, ვ. ჭელიძე (46. თემირ მიშველიძე), ლ. კობახიძე (62. თემურ მიშველიძე), გ. ზაბახიძე, დ. ტაბატაძე, დ. სევასტოპულო

სათადარიგოები: ა. დარბაიძე, ჯ. კაპანაძე

მთავარი მწვრთნელი: ამირან სევასტოპულო

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე (89. მ. ლომსაძე), ვ. ტაბატაძე, ა. ქაშაკაშვილი, ც. ხარაბაძე, ლ. მახარაძე, ნ. ხარაბაძე, გ. ზაქარეიშვილი, გ. კუხიანიძე, ჯ. ავალიშვილი, ა. ლაბაძე (84. ვ. თაბუკაშვილი), რ. ჩიხლაძე (89. ლ. გუმბერიძე)

*სათადარიგოები: კ. კუბლაშვილი, გ. ხეცურიანი, გ. გიორგობიანი*

მთავარი მწვრთნელი: მამუკა ხუნდაძე

გაფრთხილება: ბ. ჭუმბურიძე, ნ. გაფრინდაშვილი, დ. სევასტოპულო; ნ. ხარაბაძე, ვ. თაბუკაშვილი

არბიტრი: მამუკა ურუშაძე (თბილისი)

### ნ. დინამო–მერცხალი 3:0

28.04. თბილისი. შატილი. 200 მაყურებელი

1:0 მ. ლომაია (64), 2:0 გ. მაისურაძე (68), 3:0 მ. ლომაია (88)

ნ. დინამო: ა. ბილიხოძე, გ. გურაბანიძე, ვ. კაკაშვილი, გ. ლომიძე, ზ. ძაგანია, ბ. ახალბედაშვილი (56. მ. ლომაია), ა. ხვთისავრიშვილი, გ. თანიაშვილი. ბ. ბეროშვილი (83. ი. მახათაძე), ლ. ლაბარტყავა (82. გ შუშიაშვილი), გ. მაისურაძე

სათადარიგოები: თ. ცინცაბაძე, დ. ქიმერიძე, გ. ჯაჭვაძე, გ. ჩუბინიძე

*მთავარი მწვრთნელი: ვალერი გაგუა*

მერცხალი: გ. გოგუა, გ. ხამაშურიძე, ზ. ტულუში, ვ. ტუტოიანი, დ. აფრიდონიძე, ლ. ათუაშვილი (69. სერგო გ. ჩიგოგიძე), მ. ქობულაძე, კ. ნაკაიძე (62. ნ. ხინთიბიძე), სერგო ვ. ჩიგოგიძე, თ. ცეცხლაძე (46. ლ. ჩხაიძე), რ. ჭეიშვილი

*მთავარი მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვილი*

გაფრთხილება: ა. ხვთისავრიშვილი, ვ. კაკაშვილი, გ. მაისურაძე; დ. აფრიდონიძე

არბიტრი: გოგა კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

### ბათუმი–ლოკომოტივი 3:0

28.04. ბათუმი. ადელი. 200 მაყურებელი

1:0 ა. ბაციკაძე (41), 2:0 ა. ბაჯელიძე (71), 3:0 ზ. ხაჭიპერაძე (73)

ბათუმი: რ. თევდორაძე, მ. ფარტენაძე, ზ. ლობჟანიძე, ა. ბაჯელიძე, კ. მაკარიანი, დ. სამსეიშვილი (83. მ. ჟვანია), გ. მანწკავა, ვ. თევდორაძე (56. მ. ჯორბენაძე), თ. ბერიძე, ზ. ხაჭიპერაძე (80. გ. გოგიტიძე), ა. ბაციკაძე

*სათადარიგოები: შ. მამინაშვილი, დ. დოლიძე, ვ. ხიდეშელი, ლ. რამიშვილი*

*მთავარი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე*

ლოკომოტივი: გ. ნაჭყებია, დ. საჯაია, გ. ხატიაშვილი, ზ. გვაძაბია, გ. მალაზონია, ა. შენგელია (72. დ. ბაქრაძე), გ. ბოჭორმელი, ბ. მახარაძე. ლ. კვარაცხელია (46. გ. შარანგია), მ. ხოკერაშვილი (65. დ. მიქავა), ნ. შერაზადაშვილი.

*სათადარიგოები: თ. ოდიკაძე, ა. ძიძიგური, გ. ჭოველიძე, მ. მაკარაშვილი*

მთავარი მწვრთნელი: ლაშა ჭალიაშვილი

გაფრთხილება: ზ. ხაჭიპერაძე

არბიტრი: თემურ ხუჭუა (სამტრედია)

### ჩიხურა–დილა 0:1

28.04. საჩხერე. 1000 მაყურებელი

0:1 გ. ქარქუზაშვილი (69)

ჩიხურა: შ. დოლაძე, ე. ზივზივაძე, ლ. ჩაგელიშვილ, ი. გვეტაძე, ლ. ჩიკვაიძე, ი. ზაბახიძე, გ. ქიმაძე, ბ. პეტრიაშვილი (66. ა. ალავიძე), ა. ივანიშვილი (73. დ. ქამუშაძე), თ. მუმლაძე (75. თ. მეტრეველი), დ. ჩაგელიშვილი

სათადარიგოები: გ. ბაგაშვილი, ნ. მაჭარაშვილი, ი. ტყებუჩავა, გ. გიორბელიძე

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

დილა: ბ. შეყრილაძე, თ. შათირიშვილი, გ. ქარქუზაშვილი, დ. ჭითანავა (85. ი. ლომიძე), ლ. თედიაშვილი, ვ. ნემსაძე, ვ. ჯოჯუა, ნ. ნოზაძე (75. ო. ცარიელაშვილი), დ. რაჟამაშვილი, რ. ახალკაცი (60. ნ. სადალაშვილი), რ. გოგინაშვილი

*სათადარიგოები: ბ. კეჩხუაშვილი, ვ. რუსიშვილი, ა. კვარაცხელია, თ. ბარამიძე*

*მთავარი მწვრთნელი: გიორგი ცეცაძე*

გაფრთხილება: გ. ქიმაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ვ. ჯოჯუა, ნ. სადალაშვილი, დ. რაჟამაშვილი

არბიტრი: ლაშა სილაგავა

### მეშახტე–გაგრა 0:2

29.04. ტყიბული. „ვ. ბოჭორიშვილი". 200 მაყურებელი

0:1 ნ. ჯიშკარიანი (8), 0:2 შ. კვანტალიანი (56)

მეშახტე: დ. ოდიშარია, ა. ქუთათელაძე, თ. ღვინიაშვილი, ბ. ბერაია, ა. გუბელაძე, გ. აბურჯანია (74. ბ. ჯიშიაშვილი) გ. ჯიშიაშვილი, ა. ნოზაძე, გ. ჭაჭიაშვილი (71. ვ. აფციაური), დ. გოგოლაძე (79. ა. სახელაშვილი), გ. ბოხუა

*სათადარიგოები: ი. ორბელაძე*

*მთავარი მწვრთნელი: მერაბ ბაბუხადია*

გაგრა: კ. სეფიაშვილი, ლ. კალანდაძე, გ. ტყეშელაშვილი, დ. გიგაური (82. ჯ. გაბუნია), ნ. ჯიშკარიანი, ი. ხუციძე, ლ. შარიქაძე, ზ. ჩხეტიანი, დ. ციცხვაია (73. გ. გაბედავა), ვ. ორდინსკი, შ. კვანტალიანი (59. თ. მოსიაშვილი).

*სათადარიგოები: ლ. ნადირაშვილი, ა. ოვონიკოკო, ნ. ჭკუასელი, ბ. ქართველიშვილი*

მთავარი მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი

გაფრთხილება: ა. გუბელაძე; ლ. კალანდაძე

არბიტრი: მალხაზ ბეუქლიშვილი (ყვარელი)

## XXIII ტურის გადატ. მატჩი

### მეშახტე–მერცხალი 1:0

03.05. ტყიბული. „ვ. ბოჭორიშვილი". 300 მაყურებელი

1:0 გ. ჯიშიაშვილი (54)

მეშახტე: დ. ოდიშარია, ა. ქუთათელაძე, თ. ღვინიაშვილი, ბ. ბერაია, ბ. ჯიშიაშვილი, გ. აბურჯანია, გ. ჯიშიაშვილი, ა. ნოზაძე, ვ. აფციაური (81. გ. გვენეტაძე), დ. გოგოლაძე, გ. ბოხუა.

*სათადარიგოები: ი. ორბელაძე, ა. სახელაშვილი, ვ. ჭაჭიაშვილი*

მთავარი მწვრთნელი: მერაბ ბაბუხადია.

მერცხალი: გ. გოგუა, ვ. ტუტოიანი, გ. ხამაშურიძე, დ. აფრიდონიძე (41. ლ. ათუაშვილი, 60. ო. ჭელიძე), ზ. ტულუში (13. ვ. რამიშვილი), მ. ქობულაძე, სერგო გ. ჩიგოგიძე, ზ. ხურციძე, სერგო ვ. ჩიგოგიძე, ლ. ჩხაიძე, რ. ჭეიშვილი

სათადარიგო: ზ. გოლიაძე

მთავარი მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: თ. ღვინიაშვილი, ბ. ჯიშიაშვილი; გ. ხამაშურიძე, ვ. რამიშვილი, ო. ჭელიძე.

არბიტრი: ბაკურ ნინუა (ქუთაისი)

## მომდევნო ტური

### 7 მაისი, შაბათი

სამგურალი-იმერეთი
ჩხერიმელა-ნ. დინამო
კოლხეთი-გურია
ადელი-ბათუმი
ლოკომოტივი-ჭიათურა
მერცხალი-ჩიხურა
გორი-სძური

### 8 მაისი, კვირა

გაგრა-მერანი
მეშახტე *ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 27 | 20 | 5 | 2 | 64-[illegible] | 65 |
| 2. მარტვილი | 28 | 19 | 7 | 2 | 52-12 | 64 |
| 3. გორი | 28 | 16 | 9 | 3 | 50-21 | 57 |
| 4. ჩიხურა | 27 | 17 | 4 | 6 | 51-23 | 55 |
| 5. ბათუმი | 27 | 15 | 8 | 4 | 57-14 | 53 |
| 6. გურია | 28 | 13 | 3 | 12 | 48-54 | 42 |
| 7. კოლხეთი (ხ) | 27 | 11 | 9 | 7 | 27-28 | 42 |
| 8. მეშახტე | 28 | 9 | 5 | 14 | 30-40 | 32 |
| 9. ჩხერიმელა | 27 | 7 | 11 | 9 | 33-39 | 32 |
| 10. ნ/დინამოელი | 27 | 9 | 3 | 15 | 34-51 | 30 |
| 11. მერცხალი | 29 | 8 | 6 | 15 | 40-62 | 30 |
| 12. იმერეთი | 27 | 8 | 4 | 15 | 27-36 | 28 |
| 13. სამგურალი | 27 | 7 | 5 | 15 | 31-52 | 26 |
| 14. ლოკომოტივი | 27 | 6 | 6 | 15 | 26-43 | 24 |
| 15. ადელი | 27 | 7 | 2 | 18 | 31-50 | 23 |
| 16. ჭიათურა | 27 | 6 | 5 | 16 | 23-61 | 23 |
| 17. სძური | 27 | 6 | 4 | 17 | 24-48 | 22 |

# ანატოლი მილჩენკო ფედერაციაში დაბრუნდა

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** ტრადიციად დაამკვიდრა თვეში ერთხელ რეგიონული ფედერაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრა.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მორიგი ასეთი შეხვედრა გუშინ გაიმართა და მას ცამეტივე რეგიონული ხელმძღვანელი დაესწრო.

ფედერაციის პრეზიდენტმა მათ კარგად ცნობილი ვეტერანი მსაჯი **ანატოლი მილჩენკო** წარუდგინა. ბატონი ანატოლი ბოლო დროს საფეხბურთო კლუბ "ვიტ ჯორჯიაში" მუშაობდა, მაგრამ ორი კვირის წინ ფედერაციაში დაბრუნება შესთავაზეს და კლუბი დატოვა.

ამიერიდან მილჩენკო ფედერაციაში მსაჯთა სკაუტად იმუშავებს, მას რეგიონებში ახალგაზრდა კადრების მოძიება დაევალა.

ფედერაციის მასობრივი ფეხბურთის მენეჯერმა **დიმიტრი ბოკერიამ** რეგიონებში მასობრივი და სამოყვარულო ფეხბურთის განვითარებასა და ამ სფეროში მეტი ხალხის ჩართვაზე ილაპარაკა. მან რეგიონული ფეხბურთის ხელმძღვანელებს უეფას პროგრამა "გრასრუტის" საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გეგმაც გააცნო, რომელიც ამ დღესთან დაკავშირებით რეგიონებში 25 მაისს უნდა ჩატარდება.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი




# ქუინზ პარკს სჯიან

ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსმა“ ჩემპიონშიპის ბოლო ტურში პრემიერლიგის საგზური მოიპოვა, მაგრამ მოზეიმე გუნდის თავზე საავდრო ღრუბლები მოგროვდნენ — თუ დამტკიცდება, რომ **ნილ უორნოკის** გუნდი სატრანსფერო წეს-კანონს არღვევდა, შესაძლოა ათი ქულა დააკლონ. ეს ამბავი საზოგადოებას ფეხბურთის ასოციაციის ყოფილმა შეფმა **მარკ პელაიოსმა** ამცნო. მანვე განმარტა, რომ საქმე 24 წლის არგენტინელი ნახევარმცველის, **ალეხანდრო ფაურლინის** ყიდვას ეხება. „ქუინზ პარკმა“ ფაურლინი 2009 წელს შეიძინა.

პელაიოსმა თქვა: *„ყველას კარგად გახსოვთ კარლოს ტევესის ტრანსფერის ამბავი. ამ სკანდალის შემდეგ შესაბამისი სტრუქტურები ყველაფერს ამოწმებენ და თუ დამტკიცდება, რომ „ქუინზ პარკს“ ფაურლინი კანონის დარღვევით ჰყავს შეძენილი, გუნდს ცხრილში სულ მცირე, 10 ქულას დააკლებენ.*

*მოგეხსენებათ, ხშირად ფეხბურთელის საბუთების გაფორმებაში მექანიკურ შეცდომას უშვებენ და მერე ირკვევა, რომ ამ მოთამაშეს შეხვედრებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონია. ასეთი შეცდომის აღმოჩენის დროს გუნდებს ბევრ ქულას არ აკლებენ, მაგრამ ეს შემთხვევა გაცილებით სერიოზულია. გარდა ამისა, „ქუინზ პარკი“ ულიცენზიო აგენტებთან თანამშრომლობაშიც ამხილეს. თავის დროზე, ასეთივე დანაშაულისთვის, „ლუტონ თაუნს“ 10 ქულა დააკლეს“.*

ფაურლინის „ინსტიტუტო დე კორდობადან“ „ქუინზ პარკში“ 3,5 მილიონ ფუნტად გადასვლის საქმეს უკვე იძიებენ. ვერდიქტი, სავარაუდოდ, პარასკევს იქნება, მაგრამ, იმ შემთხვევაში თუ დასავლეთლონდონელებს დასჯიან, „ჩემპიონშიპის“ ორგანიზატორებს პრემიერლიგაში გადასასვლელი პლეიოფების საქმე აერევათ. გამოვა, რომ ჩემპიონი „ნორვიჩია“, „ქუინზ პარკი“ კი ხსენებულ პლეიოფში ხვდება. და რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ „ქუინზ პარკი“ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს?

ამ ყველაფერზე, ძალიან საინტერესო გახლდათ „რეინჯერსის“ თავმჯდომარის, **ჯანი პალადინის** პირველი რეაქცია. როდესაც ჟურნალისტებმა კომენტარი სთხოვეს, მან უპასუხა: *„მე თქვენ მიყვარხართ!“*

რასაკვირველია, შემდგომი კომენტარები გაცილებით საქმიანი იყო. კერძოდ, „ქუინზ პარკის“ შეფებმა თქვეს, რომ გამოძიება მათ გეგმებს არ ცვლის და ისინი სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობისთვის ემზადებიან. მათ პრემიერლიგაში კარგად თამაშისთვის შემადგენლობის გაძლიერება სჭირდებათ. მეტიც, დასავლეთ ლონდონის კლუბი ბიუჯეტიდან 3 მილიონი ფუნტის გამოყოფას „ლოფტუს როუდის“ რემონტისთვისაც კი აპირებს. „ლოფტუს როუდი“ 1904 წელს აგებული სარბიელია, რომელზეც 18360 კაცი ეტევა. იქ, პრესლოჟა და ფეხბურთელთა სექტორებია დასამატებელი.

გადაწყვეტილია, რომ „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ თავკაცი **უორნოკი**, მისი ასისტენტი **მიკ ჯონსი** და პირველი გუნდის მწვრთნელი **კით კერლი** დღეს-ხვალ დასხდებიან და დეტალურად მოიფიქრებენ რა უნდა მოიმოქმედონ ზაფხულში, სატრანსფერო ბაზარზე. გადასაწყვეტია, ვინ უნდა იყიდონ და ვინ გაყიდონ. მომავალ კვირაში, ყოველივე ამის შესახებ, მწვრთნელები უკვე ფეხბურთელებს სათითაოდ დაელაპარაკებიან.

„რეინჯერსს“ რამდენიმე მოთამაშე გაქირავებული ჰყავდა. მათ, ახლა, ქირაობის ვადა გასდით და „ლოფტუს როუდს“ უბრუნდებიან. ისინი გახლავან ანტიგუასა და ბარბუდას ნაკრების წევრი **მიკელე ლეიგერვუდი, ლიონ კლარკი, გევინ მეჰოუნი** და **როუენ უაინი**. გასარკვევია დღევანდელი ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშის მომავალიც. ასე მაგალითად, „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან“ ნაქირავები მაროკოელი ვარსკვლავი, 21 წლის **ადელ ტაარაბტი** მიდის. სად, არ იკითხავთ? რამდენადაც „დეილი მეილმა“ გამოიკვლია, მადრიდის „რეალში“, რომელიც მზად არის შემტევ ნახევარმცველში 6,5 მილიონი ფუნტი გადაიხადოს. რას ნიშნავს ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ერთგან ამოვიკითხეთ, რომ „რეალისთვის“ ტაარაბტი შორს მიმავალი გეგმის ნაწილია და მას პირდაპირ ძირითად გუნდში არ ჩართავს. ვითომ, იყიდის და ახლა თავად გააქირავებს?

ფეხბურთელების გაყიდვა უორნოკს ახალი მოთამაშეების ყიდვის საშუალებას მისცემს. კერძოდ, „ქუინზ პარკის“ თავკაცს მიზანში „ტოტენჰემის“ მარჯვენა მცველი **კაილ ნაფტონი** ჰყავს. **უეინ რუტლიჯი** უორნოკს „ნიუკასლიდან“ ისედაც ნაქირავები ჰყავდა და ახლა, შეიძლება გამოისყიდოს კიდეც. სასურველ ფეხბურთელთა სიაში არიან „იფსვიჩის“ ნახევარმცველი **ჯიმი ბალარდი** და „ფულჰემის“ თავდამსხმელი **ენდი ჯონსონი**.

ამბები

# დალგლიშს ტრანსფერი უნდა


კენი დალგლიში

„ლივერპულის“ თავკაცი **კენი დალგლიში** კლუბში სატრანსფერო პოლიტიკის სრულ მართვას ითხოვს. მას უნდა, ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვაში ბოლო სიტყვა ეთქმოდეს და ამბობენ, რომ კლუბის ახალი მეპატრონე, ამერიკელი **ჯონ ჰენრი** სწორედ ამიტომაც არ უფორმებს გრძელვადიან კონტრაქტს. შეგახსენებთ, რომ, ნოემბრიდან მოყოლებული, „ლივერპულში“, სატრანსფერო საქმეთა მოსაგვარებლად „ტოტენჰემის“ ყოფილი ტექნიკური დირექტორი, ფრანგი **დამიენ კომოლი** მუშაობს. კომოლი მერსისაიდში ჯერ კიდევ **როი ჰოჯსონის** მწვრთნელობის დროს მიიყვანეს, მარტში კი საფეხბურთო საქმეთა დირექტორადაც დანიშნეს. ჰენრიმ თავად აღიარა, რომ ფრანგის დირექტორად დანიშვნა დალგლიშს გაუკვირდა და არ ესიამოვნა, მაგრამ მეპატრონე მათ წყვილად მუშაობას სთხოვს.

კენი დალგლიში, რომელიც „წითლებს“ სათავეში იანვარში ჩაუდგა და ჯერჯერობით, ისევ დროებითი მწვრთნელის სტატუსითაა, ძველი ყაიდის ადამიანია. მას ყველაფრის ერთპიროვნული მართვა სურს, საქმის განაწილება კი არ ეპიტნავება, მით უფრო, როდესაც ახალი ფეხბურთელების ყიდვაზეა ლაპარაკი. რამდენიმე დღის წინ დალგლიშს ჰკითხეს, როდის მოაწერს გრძელვადიან კონტრაქტს ხელს. მან უპასუხა: *„არ ვიცი. ერთხელაც არ მიკითხავს ვინმესთვის როდის დამნიშნავთ-მეთქი“.*

# სტოკს მეტი სურს


მეტ ეზერინგტონი (მარჯვნივ)

„სტოკ სიტის“ ჯერ არ გადაუწურავს იმედი, რომ **მეტ ეზერინგტონი** 14 მაისს, ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში ითამაშებს. ეზერინგტონი 29 წლის მარცხენა მცველია, რომელიც „ვულვერჰემპტონთან“ შეხვედრაში დაშავდა, ორთავა კუნთი იტკინა. თავიდან ექიმები ამბობდნენ, რომ სტოკელთათვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელი ფინალისთვის გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებდა, მაგრამ თანდათანობით გამოჩნდა, რომ მისი საქმე კარგად მიდის. ეზერინგტონმა მოულოდნელად მოკლე დროში შეძლო ცურვა და სიარული.

„ვესტ ჰემის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ნახევარფინალში, „ბოლტონის“ წინააღმდეგ, თავი მრავალმხრივ გამოიჩინა. ზოგადად კარგი თამაშის გარდა მან ლამაზი გოლის გატანაც მოახერხა. შეგახსენებთ, რომ იმ შეხვედრაში „სტოკმა“ „ბოლტონს“ 5:0 მოუგო.

სტოკელთა თავკაცმა **ტონი პულისმა** თქვა: *„თითებს ვაჯვარედინებ... მეტი უკვე დადის და აუზში ცურავს. დიდი იმედი მაქვს, რომ უახლოეს დღეებში ბურთის თამაშსაც შეძლებს“.*

ფინალში „სტოკ სიტის“ „მანჩესტერ სიტი“ ხვდება, რომელსაც, თავის მხრივ, **კარლოს ტევესი** ჰყავს საქეიმო. ეზერინგტონისა არ იყოს, არგენტინელსაც ორთავა კუნთი სტკივა, ოღონდ მისი გამოჯანმრთელების საქმე გაცილებით ნელა მიდის. ისტლენდელ ექიმებს ეგონათ, რომ ტევესს 10 მაისს, „ტოტენჰემის“ წინააღმდეგ, უკვე ათამაშებდნენ, თუმცა ამ საქმეს ჯერჯერობით პირი არ უჩანს. სამაგიეროდ, „სიტის“ შეფებმა ბიზნესწინდახედულება გამოიჩინეს და ტევესი 50 მილიონ ფუნტად შეაფასეს. მოგეხსენებათ, ზაფხული მოდის და ფორვარდმა შეიძლება სხვა კლუბში გადასვლა მოინდომოს.

# მზერა საფრანგეთისკენ

„ნიუკასლის“ თავკაცი **ალან პერდიუ** ზაფხულში ფრანგი ვარსკვლავის, **კევინ გამეიროს** ყიდვას აპირებს. გამეირო 23 წლის თავდამსხმელია, რომლის შეძენასაც „კაჭკაჭები“ „ლორიანისგან“ ორივე მხარისთვის მისაღებ თანხად აპირებენ.

საინტერესოა, რომ პერდიუ საფრანგეთისკენ მხოლოდ გამეიროს ეშხით არ იყურება. მას „ტულუზიდან“ მცველთა წყვილის, **შეიხ მ'ბენგუესა** და **ფრანკ ტაბანუს** გადაყვანაც მონდომებია. წყვილი 5 მილიონი ფუნტი ჯდება.

პერდიუმ თქვა: *„ჯერ არც კი ვიცი, რამდენი ფეხბურთელის ყიდვა დამჭირდება. ეს დამოკიდებული იქნება ჩემს დღევანდელ ფეხბურთელებთან მოლაპარაკებაზე. ამწუთას არ ვიცი ვინ მიდის და ვინ რჩება. უპირველეს ყოვლისა მინდა რამდენიმე მოთამაშესთან გავარკვიო საკონტრაქტო საკითხები და ისინი გუნდში დავტოვო. ყველას არ დავასახელებ, მხოლოდ სამს გეტყვით: ჯოი ბარტონი, ენრიკე და კევინ ნოლანი მომავალ სეზონშიც „სენტ ჯეიმსი'ზ პარკზე“ მჭირდება“.*

შემდეგ, „ნიუკასლის“ თავკაცმა დაადასტურა, რომ რამდენიმე კლუბთან მართლაც აწარმოებს მოლაპარაკებას:

*„რამდენიმე კლუბს მართლაც ჩამოვუგდეთ სიტყვა მათ ფეხბურთელებზე. ჯერ პირველი ნაბიჯებია და ამ ტრანსფერების ბოლომდე მიყვანას ბევრი აკლია. ჩვენი სკაუტების შეფი გრემ კარი და მისი განყოფილების თანამშრომლები დაწვრილებით სწავლობენ ევროპულ ბაზარს და ცდილობენ ჩვენი მოთხოვნების შესაბამისი მოთამაშეები შეიგულონ“.*

დაფასება

# დილაიას ძეგლი


დილაია სმიტი

„ნორვიჩ სიტი“ პრემიერლიგაში გადავიდა, რის გამოც ქალბატონ **დილაია სმიტს** სტადიონ „ქეროუ როუდზე“ ძეგლს დაუდგამენ. დილაია სმიტი და მისი ქმარი **მაიკლ უინ-ჯონსი** კლუბის ძირითადი მეწილეები არიან, მაგრამ მთავარი ეს არ არის — ამქვეყნად პატრონი ყველა კლუბს ჰყავს, მაგრამ ძეგლს არავინ უგებს. აქ, მთავარი ის არის, რომ დილაია სმიტმა და მაიკლ უინ-ჯონსმა „ნორვიჩ სიტი“ ორჯერ გადაარჩინეს გაკოტრებასა და ადმინისტრატორთა ხელში გადაცემას. საამისოდ, მათ თავიანთი ჯიბიდან გაიღეს 12 მილიონი ფუნტი.

დღეს „ნორვიჩს“, შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში ანგარიშის 88 მილიონი ფუნტით შევსება გარანტირებული აქვს. ეს თანხა იმ შემთხვევაშიც კი არ დაიკარგება, თუ გუნდი გაისად ამ დროს ისევ ჩემპიონშიფში ამოყოფს თავს. კლუბის აღმასრულებელმა შეფმა, **დევიდ მაკნელიმ** თქვა:

*„დილაიამ და მაიკლმა ჩვენი გუნდისთვის იმდენი გააკეთეს, რომ სტადიონზე აუცილებლად უნდა იყოს მათი ძეგლი. ჩვენ უდიდესი პრობლემების წინაშე ვიდექით. ფული არასდროს გვქონია და არ ვიცოდით რა გვეღონა. პრემიერლიგა მსოფლიოში საუკეთესო ჩემპიონატს ატარებს და „ნორვიჩის“ გულშემატკივრები იქ ყოფნას იმსახურებენ“.*


ჰოვარდ უები

# უებ მასტერი

კვირას, პრემიერლიგის მთავარ შეხვედრას, „მანჩესტერ სიტისა“ და „ჩელსის“ შორის, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის მსაჯი, 39 წლის **ჰოვარდ უები** გაუძღვება. მანჩესტერელთა მწვრთნელს, მსაჯთა შერისხვით ცნობილ სერ **ალექს ფერგიუსონს**, უების დანიშვნა, ალბათ გაახარებდა, რადგან „ოლდ ტრეფორდზე“ ბოლო ოთხი ვიზიტის განმავლობაში ამ არბიტრმა მასპინძლების სასარგებლოდ სამი პენალტი დანიშნა. შეიძლება ასეთი სტატისტიკის მოყვანაც: ბოლო სამი წლის განმავლობაში, პრემიერლიგის იმ შვიდი თამაშიდან, რომელთაც უები სჯიდა, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შვიდივე მოიგო.

იყო ხმაურიანი ეპიზოდიც. ეს იანვარში მოხდა, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ლივერპულის“ სათასო შეხვედრაში უებმა მერსისაიდელთა კარში მეორე წუთზევე პენალტი დანიშნა. როგორც გაირკვა, იმ შეხვედრაში სხვა გოლი აღარ გავიდა და ფერგიუსონის ბიჭებმა „ლივერპული“ შეჯიბრებიდან გამოთიშეს. ამავე შეხვედრის 32-ე წუთზე უებმა „წითლების“ თილისმა და კაპიტანი, **სტივენ ჯერარდი** გააგდო მოედნიდან.

კვირას, უებს მისი მუდმივი თანამსაჯები, **დარენ კენი** და **მაიკ მალერკი** დაეხმარებიან.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

სერია A XXXV ტურის შეჯამება

# რომის იმპერატორი ცოცხალია

## ძამპარინიმ კი როსი ცოლს შეადარა

XXXV ტურის მთავარ მოვლენებზე ქვემოთ ვისაუბრებთ, შესავალში კი აღვნიშნოთ, რომ ზაფხულის მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო ინტენსიურად საუბრობენ სატრანსფერო საკითხებზე. ყველაზე აქტუალური „მილანის“ მესვეურთა გეგმებია - მაგალითად, ადრიანო გალიანიმ პირდაპირ განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მისაღწევად გუნდის გვარიანად გაძლიერებაა საჭირო. საინტერესოა, რა პროცესები მოხდება „რომაში“, სადაც ტომას დი ბენედეტოა სრულიად ახალი სახე და დიდი ინვესტიციების დაბანდებას აპირებს კლუბში. დიდი მოთხოვნაა ახალგაზრდა ფეხბურთელებზე, რომელთა შორის რამდენიმე შეგვიძლია გამოვარჩიოთ - მაგალითად, „უდინეზეს“ თავდამსხმელი ალექსის სანჩესი და „პალერმოს“ ფანტაზისტა ხავიერ პასტორე. ამ უკანასკნელის გასხვისებას სიცილიელთა პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი არ აპირებს, თუმცა ამაზე საინტერესო მისი და მთავარი მწვრთნელის, დელიო როსის ურთიერთობაა. კითხვაზე, დარჩება თუ არა როსი მომდევნო სეზონისთვის გუნდში? - ძამპარინი შემდეგნაირად პასუხობს:

*„დელიო როსისთან უთანხმოება ხშირად მომსვლია, მაგრამ მთლიანობაში, მას უდიდეს პატივს ვცემ. მთელი სეზონის განმავლობაში ვკინკლაობდით და ერთი პერიოდი ეს აუტანელი გახდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაფერი დალაგდა. როსისთან თანამშრომლობა ბევრ კლუბს სურს, თუმცა მის გაშვებას არ ვაპირებ - ის ჩემი მწვრთნელია და არ მსურს შეველიო - ისევე როგორც, ვერ შეველევი ჩემს მეუღლეს“.*

აი ასეთი საოცარი განცხადება გააკეთა მაურიციო ძამპარინიმ - მისგან თითქოს არ უნდა გვიკვირდეს არაფერი, მაგრამ დელიო როსის ცოლთან შედარება მაინც მოულოდნელი გახლდათ. საინტერესოა, რა კომენტარს გააკეთებს თავად მწვრთნელი. სანამ როსი რამეს იტყოდეს, XXXV ტურის მთავარ მოვლენებს გადავხედოთ.



ტოტი მეხუთეა ყველა დროის ბომბარდირებს შორის

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**ედუარდო** (ჯენოა) - **ჩეკარელი** (ჩეზენა), **ცეზარი** (კიევო), **ტიაგო სილვა** (მილანი), **როზი** (რომა) - **ვალიანი** (პარმა), **დაგოსტინო** (ფიორენტინა), **ჩერჩი** (ფიორენტინა) - **ტოტი** (რომა), **პაცინი** (ინტერი), **კარაჩოლო** (ბრეშა).

ტურის სიმბოლური გუნდი ტრადიციული ტაქტიკით: 4-3-3-ით განლაგდა. დაცვის ცენტრში **ცეზარს** და **ტიაგო სილვას** ვხედავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ფეხბურთელები მეოთხეჯერ მოხვდნენ რჩეულთა შორის. ანუ, ორივე მათგანი სეზონს მაღალ დონეზე ატარებს. მესამეჯერ მოხვდა სიმბოლურში მარჯვენა ფრთაზე გამწესებული **ჩეკარელი** და არც ესაა ურიგო შედეგი, აი რომაელმა **როზიმ** კი პირველად ითამაშა მარცხენა მცველის პოზიციაზე და თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა. ნახევარდაცვაში „ფიორენტინას“ ორი ფეხბურთელია, რაც არ გახლავთ გასაკვირი, რადგან ფლორენციელებმა სწორედ შუა ხაზში აჯობეს „უდინეზეს“ და შედეგად, მეტოქე დიდი ანგარიშით დაამარცხეს. ამ ყველაფერში **დაგოსტინომ** და **ჩერჩიმ** შეიტანეს დიდი წვლილი - ამადაც არიან რჩეულთა შორის. მათთან ერთად, ნახევარდაცვაში **ვალიანის** ვხედავთ, რომელიც „პარმას“ ბოლოდროინდელი წარმატებების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია.

თავდასხმა სუფთა იტალიური გამოვიდა, რაც იშვიათი შემთხვევა ნამდვილად არ არის. მართალია, სერია A-ში უამრავი ლეგიონერი ასპარეზობს, მაგრამ საკმაოდ ხშირად ხდება, რომ წამყვან პოზიციებზე ადგილობრივი მოთამაშეები ხვდებიან - მაგალითად: **ალესანდრო დელ პიერო, მარკო დი ვაიო**, ან თუნდაც **ფრანჩესკო ტოტი**, რომელიც XXXV ტურის სიმბოლურშიც მოხვდა. „რომას“ კაპიტნის მხარდამხარ **ჯამპაოლო პაცინის** და **ანდრეა კარაჩოლოს** ვხედავთ - ორივემ დუბლი შეასრულა, ჯამპაოლომ „ჩეზენასთან“ პაექრობაში, ანდრეამ კი „სამპდორიასთან“ დაპირისპირებისას.

### ტურის გმირები

ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ტურს ორი გმირი ჰყავს და მათგან რომელიმეს გამორჩევა უმადური საქმე იქნებოდა. ერთი ფრანჩესკო ტოტია „რომადან', ხოლო მეორე ჯამპაოლო პაცინი „ინტერიდან“. ბოლო დროს, ტოტი უგოლოდ აღარ ტოვებს მოედანს და ტრადიცია არც „ბარისთან“ პაექრობაში დაარღვია. რომაელებმა ურთულეს თამაშში მოახერხეს სამი ქულის მოპოვება და ამაში უდიდესი წვლილი სწორედ კაპიტანს მიუძღვის. ჩემპიონატის უპირობო აუტსაიდერს ფრანჩესკომ ორი გოლი გაუტანა და მიუხედავად იმისა, რომ თერთმეტმეტრიანი გააცუდა, შეხვედრის უდავო გმირი გახდა. გარდა გოლებისა, მარგი ქმედების კოეფიციენტი ჰქონდა ძალიან მაღალი და ჩვეული ზუსტი პასებიც უხვად არიგა. რაც მთავარია, „ბარისთან“ შესრულებული დუბლით ტოტიმ სერია A-ში გატანილი გოლების რაოდენობა 206-მდე გაზარდა და ყველა დროის ბომბარდირთა შორის მეხუთე პოზიცია დაიკავა. „პუპონემ“ ლეგენდარული **რობერტო ბაჯო** ჩამოაქვეითა და **ჟოზე ალტაფინის** შედეგს უმიზნებს, რომელსაც ათით მეტი აქვს გატანილი. ფრანჩესკომ ერთ-ერთი გოლი ორიგინალურად აღნიშნა, შიდა მაისური აჩვენა გულშემატკივრებს, რომელზეც შემდეგი წარწერა იყო გაკეთებული: *„რომის იმპერატორი ცოცხალია“*...

რაც შეეხება ჯამპაოლო პაცინის, მან „ჩეზენას“ გაუტანა ორი გოლი და „ინტერს“ სასწაული მატჩი მოაგებინა. ვინც არ იცის, იმათთვის ვიტყვით, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი მინიმალური ანგარიშით ამარცხებდა „ინტერს“, როდესაც პაცინიმ გამოიდო თავი და მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მეტოქეს ორი ბურთი „მიართვა“. ამ გოლებმა „მილანს“ არ მისცა გაჩემპიონების საშუალება, რომელიც მეორე დღეს „ბოლონიას“ ეპაექრა და როგორც მოსალოდნელი იყო, სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. მოკლედ, პაცინიმ ზეიმი ჩაშალა - უფრო სწორად, ცოტა ხნით გადადო.

### ტურის შეცდომა

„პარმა“-“პალერმოს“ მატჩის მეორე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც სიცილიელმა მცველმა ბურთი კიპერ **სალვატორე სირიგუს** მიუგორა - ამ უკანასკნელმა მშვიდად მიიღო ბურთი, დინჯად ახედა მოედანს და მოედნის ცენტრისკენ ძლიერი დარტყმა განიზრახა - სცადა კიდეც, მაგრამ იმდენად ნელა გააკეთა ეს ყველაფერი, რომ ემილიელი შუახაზელი **ჯემაილი** მიუახლოვდა, აუხტა და მისგან ასხლეტილი ბურთი „პალერმოს“ კარის ბადეში გაეხვია. აი ასეთი სულელური გოლი გაუშვეს კუნძულელებმა, სირიგუ კი ნამატჩევს იმედგაცრუებული გახლდათ:

*„ასეთი რამ არასდროს მომსვლია და სიმართლე გითხრათ, ძალიან გაკვირვებული ვარ. ვხედავდი ჩემკენ მომავალ მეტოქე ფეხბურთელს, მაგრამ დროულად ვერ მოვიგერიე ბურთი და საბოლოოდ, ასეთი მძიმე შედეგი მივიღე. ბოდიში მინდა მოვუხადო თითოეულ თანაგუნდელს და გულშემატკივრებს, რომლებიც აშკარად გავანბილე“.*

### ტურის მოვლენა

პაცინის საოცარი დუბლი და საჩემპიონო ზეიმის გადადება უდავოდ ტურის ერთ-ერთი მთავარი მოვლენაა, თუმცა ამის შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ ვრცლად და აღარ დავწვრილმანდებით. ტოტის 206 გოლი და მეხუთე ადგილი ყველა დროის ბომბარდირებს შორის, ასევე მოვლენაა, თუმცა ამაზეც ვისაუბრეთ და არც ამ შემთხვევაში განვავრცობთ თემას. ტურის უმთავრეს მოვლენად კი ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურისთვის ბრძოლის უკიდურესად გამწვავება და „იუვენტუსის“ დაბრუნება უნდა მივიჩნიოთ. „ბიანკონერი“ პრაქტიკულად ყველამ ჩამოწერა და ბევრს იმისაც კი აღარ სჯეროდა, რომ ტურინელები ევროპის ლიგის საგზურს მოიპოვებდნენ. თუმცა, გასულ უქმეებზე ყველაფერი პიემონტელთა სასიკეთოდ წარიმართა და უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ბიანკონერიც“ ლიგის საგზურისთვის მებრძოლ გუნდებში გაერია. თანაც, კალენდარი აქვს „იუვეს“ საკმაოდ კარგი: დარჩენილ სამ ტურში ტურინელები „კიევოს“, „პარმას' და „ნაპოლის“ ეთამაშებიან. პრინციპში, სამივე მეტოქეს გადაჭრილი აქვს თავისი ამოცანა და ამან ტურინელთა წისქვილზე უნდა დაასხას წყალი. მეორე მხრივ, ამ „იუვენტუსის“ გაგება ერთობ რთული საქმეა - სწორედ უმოტივაციო მეტოქეებთან კარგავს ქულებს, ლიდერებთან კი შესანიშნავად გამოიყურება. ნებისმიერ შემთხვევაში, „იუვეს“ ოთხეულისთვის მებრძოლთა შორის დაბრუნება, უდავოდ ტურის მოვლენაა.

### ტურის ფრაზა

**მასიმო მორატი (ინტერის პრეზიდენტი):** *„ვინც უნდა მოიგოს ჩემპიონატი, ტროფეი დამსახურებული იქნება, რადგან როდესაც ასეთ გრძელ მარათონზეა ლაპარაკი, გამართლება ყოვლად წარმოუდგენელია. სერია A-ს ყოველთვის ის გუნდი იგებს, რომელმაც ყველაზე სტაბილურად და მაღალ დონეზე ჩაატარა მთელი ჩემპიონატი“.*

### ციფრები და ფაქტები

- ფრანჩესკო ტოტის 206 გოლი აქვს გატანილი სერია A-ში, რაც ყველა დროის ბომბარდირებს შორის მეხუთე შედეგია. „რომას“ კაპიტანმა რობერტო ბაჯო ჩამოაქვეითა მეექვსეზე და ჟოზე ალტაფინის 216-გოლიან შედეგს უმიზნებს. საუკეთესო სამეულში კი **სილვიო პიოლა, გუნარ ნორდალი** და **ჯუზეპე მეაცა** არიან;

■ ■ ■

- „რომა“ ყველაზე არადისციპლინირებული გუნდია მიმდინარე სეზონში, რაზეც სარეკორდო რაოდენობის წითელი ბარათები მეტყველებს. „ჯალოროსის“ ცხრა ფეხბურთელი გააძევეს მინდვრიდან;

■ ■ ■

- „მილანმა“ ხუთი მატჩი მოიგო ზედიზედ, ასეთი შედეგი გუნდს ბოლოს 2009 წლის დეკემბერ-იანვარში ჰქონდა;

■ ■ ■

- **ესტებან კამბიასომ** მე-300 შეხვედრა ჩაატარა „ინტერის“ შემადგენლობაში;

■ ■ ■

- „ნაპოლიმ“ სეზონში მოპოვებული გამარჯვებების რაოდენობით, 1989-90 წლებში დამყარებული რეკორდი გაიმეორა. **ვალტერ მაძარის** გუნდის ანგარიშზე 21 გამარჯვებაა;

■ ■ ■

- „ბრეშას“ გასვლაზე გასული წლის სექტემბრის შემდეგ არ მოუგია;

**ლაშა წიკლაური**

---

ამბები

### ჟან-მ[illegible] სისულელეა

“ლიონის” პრეზიდენტ **ჟან-მიშელ ოლასა** და მთავარ მწვრთნელ **კლოდ პიუელს** შორის ჰარმონიული ურთიერთობები რომ არ სუფევს, ეს დიდი ხანია ცნობილია. სწორედ ამიტომ ხდება, რომ ფრანგულ პრესაში დროდადრო ჩნდება ცნობები პიუელის გუნდიდან შესაძლო გაშვების შესახებ. მუსიე ოლას ეტყობა ამ ხმების მოსმენა მოჰბეზრდა და გაზეთ “ეკიპ” ხმამაღლა შემდეგი რამ განუცხადა: *“პიუელის გუნდიდან გაშვების ვარიანტი არც კი განმიხილავს. ეს აბსურდია, რადგან ამისთვის უბრალო მიზეზიც კი არ მაქვს. ამჟამად ჩვენ ლიგა 1-ში მე-3 ადგილზე ვართ. ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ 5 ტურია დარჩენილი, ასე რომ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ზოგი იმდენად ერთობა ამ ჭორების მოგონებით, რომ საერთოდ არ უწევს ანგარიშს, თუ რამხელა ტვირთია კლუბის გაძღოლა. მისი ბედის ერთი ხელის მოსმით გადაწყვეტა არ შეიძლება. ასეთი ნაბიჯი რომ გადამედგა, დარწმუნებით, რომ მხარდაჭერას კლუბის ვერც დირექტორატში მოვიპოვებდი და ვერც ფეხბურთელებში”.*

### პსჟ: სახო 20 მილიონად



მამადუ სახო

ევროპული სპორტული პრესა დიდი ხანია აჭრელებულია “პარი სენ-ჟერმენის” 21 წლის ცენტრალური მცველის **მამადუ სახოს** შესახებ გავრცელებული სატრანსფერო სპეკულაციებით. იმედის მომცემი ფეხბურთელის შეძენა იტალიურ და ინგლისურ გრანდებს სურთ. პარიზული კლუბი ფეხბურთელის გასხვისების პერსპექტივას დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ მამადუ სახო ახალი ხელშეკრულების გაფორმებისგან თავს იკავებს, ნამდვილად არ აძლევს ხელს ის მთლად უფასოდ დაკარგოს. პარიზელებმა მსურველების გასაგონად ოფიციალურად დაასახელეს თანხა: 20 მილიონი ევრო.

**ლევან ბიბილაშვილი**

### ადლერმა 30 მილიონი მოითხოვა

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, გერმანიის ნაკრების მეორე მეკარემ, 26 წლის **რენე ადლერმა** „ლევერკუზენს“ ოთხწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო, ანუ, წელიწადში 7.5 მილიონიანი ხელფასი მოსთხოვა, რაც „ბაიერისთვის“ ძალიან დიდი ფულია. მიუხედავად ამისა, „ლევერკუზენის“ ხელმძღვანელები არ გაბრაზებულან და გუნდის ერთ-ერთ უმთავრეს წევრთან მოლაპარაკებების გაგრძელებას აპირებენ, რადგან მათი მიზანი ადლერის შენარჩუნებაა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ „ბაიერს“ რენესთვის ამხელა ჯამაგირის გადახდა არ შეუძლია.

**გოტფრიდ ლენცი**

---

ნაკრები კლუბის წინააღმდეგ

# უილშირს ფეხბურთის თამაში უყვარს

**სტიუარტ პირსი** ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრებს **ჯეკ უილშირის** გარშემო ააწყობს — უილშირი ახალგაზრდულის თავკაცს **პოლ გესქოინის** ახალგაზრდობას ახსენებს. „არსენალის“ ამომავალი ვარსკვლავი 19 წლის გახლავთ, პირსი კი სწორედ ამ კლუბის ვეტერანია. შესაძლოა ამიტომაც უყურებს მწვრთნელი შეგირდს მზრუნველი მამის თვალით, თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს: უილშირის ნაკრებში გამოძახებით პირსმა „მეთოფეთა“ ხელმძღვანელობა გააბრაზა. ლონდონელთა თავკაცის, **არსენ ვენგერის** გარდა პირსმა „ლივერპულის“ ხელმძღვანელი **კენი დალგლიშიც** გააღიზიანა - **ენდი ქეროლსაც** მიუვიდა ფურცელი ფეხბურთის ასოციაციისგან.

საინტერესოა, რომ ვენგერმა უილშირის გამოძახების წინააღმდეგ საკმაოდ ხმამაღლა გაილაშქრა - ასე თქვა, თუ ამ ყმაწვილს ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანთ, მაშინ, აგვისტოში, დიდი ნაკრების ამხანაგურ შეხვედრაში ველარ ითამაშებსო. აგვისტოში ინგლისელებს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ჰოლანდიასთან აქვთ დაგეგმილი სპარინგი.

ვენგერისა და დალგლიშის აღშფოთების მიუხედავად პირსი მშვიდად არის. ამ დღეებში მან რამდენჯერმე სცადა „არსენალის“ თავკაცთან დაკავშირება, რათა მასთან ერთად ემსჯელა უილშირის მიერ ჩატარებული თამაშების რაოდენობასა და მის შესაძლო „გადაწვაზე“, მაგრამ ფრანგის დაჭერა შეუძლებელი აღმოჩნდა.

დანიაში, ევროპის პირველობაზე წასაყვან ფეხბურთელთა საბოლოო სია პირსმა 1 ივნისს უნდა გამოაქვეყნოს. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი უილშირს, სავარაუდოდ, თავს არ დაანებებს. მას ძალიან სჭირდება ეს ფეხბურთელი, რადგან ჯგუფშივე ესპანეთს ხვდება და უძლიერესი შემადგენლობა სჭირდება.

*„ორი წლის წინ ზუსტად ასეთ დღეში ვიყავი. მაშინ, არსენ ვენგერი ევროპის ჩემპიონატზე თეო უოლკოტის წაყვანას აპროტესტებდა. მისი იმდროინდელი არგუმენტი სამხრეთ აფრიკის მსოფლიოს ჩემპიონატი იყო. ეს შეჯიბრება ახლოვდებოდა და ვენგერი ამტკიცებდა, რომ უოლკოტის ახალგაზრდათა ევროპის პირველობაზე წაყვანა მას გადაწვავდა. გავიდა დრო და... თეო სამხრეთ აფრიკაში საერთოდ არ წაიყვანეს.*

*საერთოდ, გადაწვაზე ჩემი შეხედულება მაქვს. თავად გახლდით ფეხბურთელი და 21 წლისა, წელიწადში 250 შეხვედრაში ვმონაწილეობდი. აქ, ლიგის გარეშე, ყველა ჯურის თამაშებს ვგულისხმობ. და რამე დამაკლო ასეთმა დატვირთვამ? არა, რადგან 40 წლამდე ფეხბურთელი ვიყავი.*

*არც ნაკრებში თამაშისთვის ამირიდებია ოდესმე თავი. ყველაფერი რომ შევაჯამო, კარიერაში ათასზე მეტი ოფიციალური მატჩი მექნება ჩატარებული და ამიტომ, მინდა ყველა ფეხბურთელს მივმართო: ნუ დაიმალებით, ითამაშეთ ფეხბურთი! თქვენ კონტრაქტის თანახმად სხვა არაფერი მოგეთხოვებათ. უილშერით იმიტომ ვარ აღფრთოვანებული, რომ მას სწორედ ფეხბურთი უყვარს ძალიან. ის მე გესქოინს მაგონებს. დიდ ფეხბურთელებს საერთო ის აქვთ, რომ მათ თამაში სიამოვნებთ. მათ ბურთაობას არავინ აძალებს“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

● არგენტინა. კლაუსურა. XII ტური

# ლამელას პრიმერაში ველარ დამალავენ

## ალმეიდა წლის ბოლომდე რჩება



ერიკ ლამელა მწვრთნელისგან ბოლო ინსტრუქციებს იღებს

**ხიმნასია-ნიუელსი 1:2**

გოლები: 1:0 ბაროსი (33), 1:1 სკიავი (76-პენ), 1:2 ბიელერი (82)
გაძევება: მასუერო (75. ხიმნასია)

**ბანფილდი-კილმესი 3:4**

გოლები: 0:1 რომეო (23), 1:1 კინტეროსი (24), 1:2 კანეო (32-პენ), 2:2 ფ. ფერეირა (52), 3:2 ბარბარო (60), 3:3 პ. ვასკესი (76), 3:4 კაუტერუჩიო (84)
გაძევება: გერლო (90. კილმეში)

**სან ლორენსო-ურაკანი 3:0**

გოლები: 1:0 ორტიგოსა (54-პენ), 2:0 სალგეირო (61), 3:0 ველასკესი (68)
გაძევება: კიროგა (53. ურაკანი)

**ოლ ბოისი-არხენტინოსი 0:0**

**რასინგი-რივერი 0:1**

გოლი: 0:1 პავონე (34-პენ)
გაძევება: ხ. დიასი (45. არხენტინოსი)

**გოდოი კრუსი-არსენალი 1:4**

გოლები: 0:1 ლ. ლოპესი (10), 0:2 ა. გონსალესი (21), 1:2 ნავარო (25), 1:3 ობოლო (61), 1:4 ობოლო (70)

**ესტუდიანტესი-ველესი 0:4**

გოლები: 0:1 ა. ფერნანდესი (36), 0:2 მორალესი (41), 0:3 მორალესი (62-პენ), 0:4 რამირესი (89)
გაძევება: ბრანია (61. ესტუდიანტესი)

**ოლიმპო-ტიგრე 2:2**

გოლები: 1:0 გალვანი (6), 1:1 რ. მარტინესი (33), 1:2 რ. მარტინესი (51), 2:2 ბარეირო (56)

**კოლონი-ლანუსი 0:1**

გოლი: 0:1 ლ. დიასი (57)
გაძევება: გოლცი (90. ლანუსი)

**ბოკა-ინდეპენდიენტე 1:1**

გოლები: 1:0 პალერმო (22), 1:1 ვილიაფანიესი (77)

**წინა ტურის მიმოხილვაში ვიკითხეთ, ხომ არ იყო მარტინ პალერმოს გოლი ბოლო მის კარიერაში, მაგრამ „ბოკა ხუნიორსის" ვეტერანი ფორვარდი სულ სხვა აზრისა აღმოჩნდა - მან ნამდვილი შედევრი შემოგვთავაზა და მე-12 ტურში გოლი ქუსლით გაიტანა.**

### ტურის მოვლენები

კლაუსურას კიდევ ერთი მწვრთნელი შეეწირა - „ხიმნასია" აუტსაიდერ „ნიუელს ოლდ ბოისთან" დამარცხდა და **ანხელ კაპას** კარზე მიუთითეს. ამ მწვრთნელმა ვერაფერი გააწყო „რივერ პლეიტში", „ხიმნასიაში" კი თამაში იყო, მაგრამ შედეგი - არა. ახლა კი, როცა ლა პლატას გუნდი გავარდნის პირასაა, შედეგი უპირველესია. კლუბის ხელმძღვანელობა რისკზე მიდის - სეზონის ბოლომდე თანამდებობაზე სრულიად გამოუცდელი **დარიო ორტისი** დანიშნეს. „ხიმნასიას" კი ჯადოქარი უფრო უშველიდა. მოკლედ, ორტისი ძალიან რთულ საქმეს შეეჭიდა, „ხიმნასია" პრიმერადივიზიონში უნდა დატოვოს.

თავად „ნიუელსის" გამარჯვებაც უკვე მოვლენაა. კლაუსურაზე ეს სულ მეორედ მოხდა, **ლეო მესის** ბავშვობის გუნდმა 10-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა, ხოლო მისმა თავკაცმა ხავიერ ტორენტემ სულაც პირველი გამარჯვება მიითვალა.

„სან ლორენსომ" დერბიში „ურაკანი" მიწასთან გაასწორა. გუნდიდან **რამონ დიასის** წასვლის შემდეგ „სან ლორენსოს" ველარ აჩერებენ, თუმცა მის დროებით თავკაცებს, **ანხელ ტოხოს** და **კარლოს ველას** თანამდებობაზე დარჩენის მაინც მცირე შანსი აქვთ. დღეისათვის ოთხი კანდიდატი გამოიკვეთა: **დიეგო კანია, ლეონარდო მადელონი, ლუის სუბელდია** და **ნესტორ სენსინი**.

ლიდერი ესტუმრა ჩემპიონს და 4:0 გაანადგურა და ამით თითქმის მოუსპო კვლავ გაჩემპიონების შანსი. ვფიქრობთ, „სტუდენტები" აპერტურას მიღწევას ველარ გაიმეორებენ. მაგრამ იქნება კი ახალი ჩემპიონი სწორედ „ველეს სარსფილდი"? „რივერ პლეიტი" აშკარად წინააღმდეგია.

სარანდის „არსენალს" 7 მატჩი ვერ მოიგო და, როგორც იქნა, ერთ-ერთმა აუტსაიდერმა იმარჯვა, თანაც დიდი ანგარიშით, სტუმრად (თუმცა თამაში ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდა) და ერთ-ერთ ლიდერთან მატჩში!

### ტურის ციფრები

მე-12 ტური, წინამორბედის მსგავსად, უხვგოლიანი გამოდგა - 10 თამაშში 30 გოლი გავიდა. მასპინძლები კვლავ „დამარცხდნენ" - 11:19. ტურში სამი დუბლი ვიხილეთ: 2-2 გოლი გაიტანეს **მაქსი მორალესმა** (ველესი), **რომან მარტინესმა** (ტიგრე) და **მაურო ობოლომ** (არსენალი). „ტიგრეს" **დენის სტრაკვალურსი** კვლავ ლიდერობს ბომბარდირთა დავას.

### ტურის მატჩი

ასეთი ორი იყო... **ბანფილდი ვს კილმესი:** არცთუ საუკეთესო ხარისხის ფეხბურთი, მაგრამ 7 გოლი ვიხილეთ და სიუჟეტი ძალიან მწვავე იყო, ბოლოს დრამატულიც. ეს „კილმესის" ზედიზედ მე-3 გამარჯვებაა! მანამდე კი ამ გუნდს მოგება არ ჰქონდა.

**ბოკა ვს ინდეპენდიენტე:** „კლასიკოც" ამას ჰქვია - პირველ ტაიმში „ინდეპენდიენტემ" მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა და ეს ნამდვილი სასწაულია, იმდენად დიდი იყო „ბოკას" უპირატესობა, მეორეში კი, რომ არა **ლუკეტის** დამაჯერებელი თამაში, კაცმა არ იცის, შეძლებდა კი მასპინძელთა გუნდი ქულის შენარჩუნებას.

### ტურის გმირი

**ერიკ ლამელა** (რივერი)

„რასინგთან" „კლასიკოს" საუკეთესო ფეხბურთელი 19 წლის 10-იანი იყო. მისი გარღვევა (ხუგადა) ერთ რამედ ღირდა, რომელსაც მოჰყვა კიდევაც პენალტი მასპინძელთა კარში. ამ ბიჭს არგენტინის პირველობა დიდხანს ველარ შეინარჩუნებს: „ატლეტიკო", „ლივერპული", „ტოტენჰემი", „რომა" და „ინტერი". ეს იმ გუნდთა მცირე ჩამონათვალია, რომელთაც ლამელას შეძენა სურთ.

### ტურის გოლები

**მარტინ პალერმო** (ბოკა) „ინდეპენდიენტეს" კარში.

**რომან მარტინესი** (ტიგრე) მეორე გოლი „ოლიმპოს" კარში.

**მაქსი მორალესი** (ველესი) პირველი გოლი „ესტუდიანტესის" კარში.

ტურის პასის ავტორი უთუოდ „სან ლორენსოს" მცველი **დიეგო ერნერია**, მან 80-მეტრიანი პასით **ხუან სალგეიროს** გაატანინა.

დაბოლოს, ერთი სიახლეც - „რივერის" გამოცდილმა ნახევარმცველმა **მათიას ალმეიდამ** გადაწყვიტა, რომ სეზონის ბოლოს აღარ დაასრულოს კარიერა და 2011 წლის ბოლომდე დაეხმაროს გუნდს, 37 წლის ფეხბურთელმა თქვა, მერე კიდევ ვნახოთო...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 12 | 7 | 3 | 2 | 23-11 | 24 |
| 2. რივერი | 12 | 6 | 4 | 2 | 11-6 | 22 |
| 3. გოდოი კრუსი | 12 | 6 | 2 | 4 | 21-20 | 20 |
| 4. ოლიმპო | 12 | 5 | 4 | 3 | 22-17 | 19 |
| 5. ლანუსი | 12 | 5 | 4 | 3 | 16-11 | 19 |
| 6. არხენტინოსი | 12 | 4 | 7 | 1 | 10-5 | 19 |
| 7. სან ლორენსო | 12 | 5 | 3 | 4 | 14-9 | 18 |
| 8. ბანფილდი | 12 | 5 | 3 | 4 | 15-15 | 18 |
| 9. ესტუდიანტესი | 12 | 5 | 2 | 5 | 12-13 | 17 |
| 10. კოლონი | 12 | 5 | 2 | 5 | 14-16 | 17 |
| 11. რასინგი | 12 | 5 | 1 | 6 | 16-15 | 16 |
| 12. ტიგრე | 12 | 4 | 4 | 4 | 15-16 | 16 |
| 13. ინდეპენდიენ. | 12 | 3 | 6 | 3 | 16-14 | 15 |
| 14. ბოკა | 12 | 4 | 3 | 5 | 12-15 | 15 |
| 15. არსენალი | 12 | 3 | 5 | 4 | 17-16 | 14 |
| 16. ოლ ბოისი | 12 | 3 | 4 | 5 | 8-14 | 13 |
| 17. კილმესი | 12 | 3 | 3 | 6 | 16-19 | 12 |
| 18. ხიმნასია | 12 | 2 | 5 | 5 | 11-16 | 11 |
| 19. ურაკანი | 12 | 2 | 5 | 5 | 13-22 | 11 |
| 20. ნიუელსი | 12 | 2 | 2 | 8 | 12-24 | 8 |

**ბომბარდირები:** 9 - სტრაკვალურსი (ტიგრე); 7 - გუტიერესი (რასინგი), კამპორა (ურაკანი); 6 - ობოლო (არსენალი), ფუერტესი (კოლონი).

**მომდევნო ტური**

**6 მაისი:** ნიუელსი-გოდოი კრუსი.

**7 მაისი:** კილმესი-ხიმნასია, ურაკანი-ოლიმპო, ტიგრე-კოლონი, არსენალი-რასინგი.

**8 მაისი:** ლანუსი-ესტუდიანტესი, არხენტინოსი-ბოკა, რივერი-ოლ ბოისი, ინდეპენდიენტე-სან ლორენსო.

**9 მაისი:** ველესი-ბანფილდი.

● ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები

| დღეს, 23:05 | | |
|---|---|---|
| ვილიარეალი (ესპანეთი) | VS | პორტუ (პორტუგალია) |
| პირველი მატჩი 1:5 | | |

| [illegible] | | |
|---|---|---|
| ბრაგა (პორტუგალია) | VS | ბენფიკა (პორტუგალია) |
| პირველი მატჩი 1:2 | | |

# აქაც კლასიკო?

თუკი თითქმის გარკვეულია, რომ 18 მაისს დუბლინში ერთ-ერთი ფინალისტი **ანდრე ვილას-ბოასის** „პორტუ" იქნება, მეორე ფინალისტის გამოსავლენად დღეს დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. პორტუდან 50-იოდე კილომეტრში პატარა ქალაქ ბრაგაში გადაწყდება, თუ რომელი გუნდი იქნება „პორტუს" მეტოქე, ადგილობრივი „ბრაგა" თუ ლისაბონის „ბენფიკა". ბუნებრივია, ბევრი ფინალში სწორედ „ბენფიკას" ელის, რომელსაც 2:1 აქვს მოგებული პირველ ნახევარფინალურ მატჩში. ასეთ შემთხვევაში დუბლინში ევროპის ლიგის ფინალი პორტუგალიური „კლასიკო" იქნება.

მოკლედ შეგახსენებთ, როგორ განვითარდა მოვლენები ლისაბონში - **ჟარდელმა** დააწინაურა თავისიანები, თუმცა „ბრაგამ" **ვანდინიოს** დარტყმით გაათანაბრა. „ბენფიკას" **ოსკარ კარდოსომ** მოაგებინა საჯარიმო დარტყმით. თუმცა ეყოფა კი „არწივებს" ეს უპირატესობა? პორტუგალიელებს შარშანდელი გაკვეთილი მწარედ ახსოვთ - შარშან ევროპის ლიგის მეოთხედფინალში „ბენფიკამ" „და ლუჟზე" „ლივერპულს" 2:1 მოუგო, მაგრამ საპასუხო მატჩში 1:4 შერცხვა.

„ბენფიკასა" და „ბრაგას" დაპირისპირება უნიკალური იმით არის, რომ ეს პირველი პორტუგალიური დერბია ევროთასების ისტორიაში.

**დომინგუშ პასიენსია** („ბრაგას" მწვრთნელი): *„ჩვენ შეგვიძლია „ბენფიკას" საჭირო ანგარიშით დამარცხება. ჩვენ ძალიან ძლიერი და შემძლე გუნდი გვყავს. თავიდან არც არავინ გვაფასებდა, მაგრამ, ხომ ხედავთ, სადამდე მოვაღწიეთ".*

**ჟორჟე ჟეზუსი** („ბენფიკას" მწვრთნელი): *„ჩვენ გოლების გატანა არასოდეს გვიჭირდა და ამ ტრადიციას არც ბრაგაში ვუღალატებთ".*

მეორე ნახევარფინალური დაპირისპირება „ელ მადრიგალზე" ჩაივლის - ვარსკვლავური „ვილიარეალი" გადაუჭრელი ამოცანის წინაშეა - დრაგაოზე" „ელ სუბმარინო" 5 ტორპედოთი „დაჭრეს", 1:5-ის ამოქაჩვა კი ვილას-ბოასის ძალზე საინტერესო გუნდთან ფანტასტიკის სფეროდანაა.



ეშტადიუ მუნისიპალი ბრაგაში, მთავარი ბრძოლა აქ იქნება

● ამბები

## სპორტინგმა კასტრო დაკარგა

ხიხონის „სპორტინგს" 10 დღით 28 წლის ნახევარმცველი **დიეგო კასტრო** დააკლდა. მან ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა. ასე რომ, კასტრო შაბათს „დეპორტივოსთან" ვერ ითამაშებს, სამშაბათს კი - „მალაგასთან". დიეგო კასტრო გალისიელია, თუმცა 2006 წლიდან ასტურიულ კლუბში თამაშობს. კასტროს 170-მდე მატჩში 40-მდე გოლი აქვს გატანილი „სპორტინგის" მაისურით. „სპორტინგის" არგენტინელ ფორვარდ **გასტონ სანგოის** მეტად გაუმართლა - ექიმებმა დაადგინეს, რომ მისი კუნთი არ ჩახეულა, ამიტომაც სანგოის შაბათამდე გამოჯანმრთელების შანსი აქვს.

## კასერესი რას გადარჩენილა?!

ამ სეზონში ყველაზე მეტად პრიმერაში ტრავმებმა „სევილია" შეაწუხა, ტური ისე არ გავა, რომ ანდალუსიელებს ერთი ფეხბურთელი მაინც არ დაემტვრეთ. ბოლო ტური კი ამ მხრივაც „გამორჩეული" გამოდგა - ერთბაშად ორი მოწინავე ფეხბურთელი გამოაკლდა კლუბს ხორვატი **ივან რაკიტიჩი** და ურუგვაელი **მარტინ კასერესი**. რაკიტიჩის ამბავი თავიდანვე გადაწყვეტილი იყო, მან ფეხი მოიტეხა და ივნისის ბოლომდე ვერ შეძლებს თამაშს, ხოლო გუშინ „სევილიას" ექიმებმა ვერდიქტი ურუგვაელ მცველსაც გამოუტანეს - კასერესი ამ სეზონში ველარაფრით დაეხმარება გუნდს.

კასერესს მართლაც ძალიან ცუდი რამ შეემთხვა „ალმერიას" მარცხენა მცველ **მიქაელ იაკობსენთან** ორთაბრძოლაში ისეთი დაზიანება მიიღო, რომ თირკმლი გაუჩერდა. ურუგვაელი საავადმყოფოში გააქანეს, სადაც 24 საათი დაჰყო, დროებით მას ხელოვნური თირკმლით აცოცხლებდნენ. როდესაც შოკმა გაიარა, თირკმელებში ექიმებმა მცირე ჰომატომა აღმოაჩინეს, ასე რომ, 24 წლის მცველის თამაში ამ სეზონში გამოირიცხა. არადა, კასერესი „ბარსელონას" წევრია და „სევილიაში" იჯარით თამაშობდა. შეიძლება ითქვას, რომ მისი ანდალუსიური კარიერა დასრულდა.

„სევილიას" თავკაც **გრეგორიო მანსანოს** ევროთასების საგზურისთვის ბრძოლა ამ ორი მოწინავე ფეხბურთელის გარეშე მოუწევს.

## ტოტენჰემს ნახევარი ესპანეთი მოუნდა

„ტოტენჰემი" ესპანურ სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურებას გეგმავს, **ჰარი რედნაპის** გუნდი კონკრეტული წინადადებით მიმართავს „სევილიას" - ლონდონური კლუბის ინტერესების სფეროში 22 წლის არგენტინელი გარემარბი **დიეგო პეროტია**. პეროტის საბაზრო ფასი 15 მილიონი ევროა, თუმცა „ტოტენჰემი" მის ყიდვას კი არა გაცვლას სთავაზობს „სევილიას" სანაცვლოდ კი ან ხორვატ **ნიკო კრანჩარს**, ან მექსიკელ ჯოვანი დოს სანტოსს და პლუს გარკვეულ თანხას გამოდის.

ორშაბათს „ტოტენჰემის" თავკაცი ბარსელონაში იყო, სადაც „ესპანიოლისა" და „ბილბაოს" შეხვედრას დაესწრო. ესპანელმა ჟურნალისტებმა გამოარკვიეს, რომ მას „ესპანიოლის" არგენტინელ-იტალიელი ფორვარდი **პაბლო ოსვალდო** აინტერესებდა. პაბლო ოსვალდომ ლა ლიგის 20 მატჩში 11 გოლი გაიტანა. ამ თამაშში 25 წლის ფორვარდმა დიდებულად ითამაშა, ერთი გოლი თავად გაიტანა, მეორე კი თანაგუნდელს გაატანინა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. ბარსელონა-რეალის მიმოხილვა

# The Mission Impossible 4

## კრიშტიანო რონალდო: ბარსას თასი ბარემ პირდაპირ მიეცით!

რაკი ჟოზე მოურინიო არ ჩანდა, მატჩის შემდეგ ყველაზე მეტი კრიშტიანო რონალდომ ილაპარაკა. მან თქვა, რომ „რეალისთვის" ეს იყო „შეუსრულებელი მისია ნომერი 4" და ისიც აღნიშნა, რომ ამ ოთხიდან, მადრიდულმა გრანდმა ერთი მისია მაინც შეასრულა (პორტუგალიელმა ესპანეთის თასის მოგება იგულისხმა), რაც იმის გათვალისწინებით, რომ „ბარსას" აშკარად ეხმარებიან", საკმაოდ დიდი მიღწევააო. და რონალდომ უეფას შეუთვალა, კატალონიელებს ჩემპიონთა ლიგის თასი ბარემ პირდაპირ გადაეცითო. იკერ კასილიასის აზრით, პირველ მატჩში გერმანელ მსაჯ ვოლფგანგ შტარკს პეპე რომ არ გაეძევებინა, ის შეხვედრა 0:0 დამთავრდებოდა და რაკი „ნოუ კამპზე" 1:1 დაფიქსირდა, ფინალში არა „ბარსა", არამედ „რეალი" გავიდოდა...

ვარაუდები, ფაქტები, კიდევ ერთი სკანდალური „ელ კლასიკო" - ფაქტი ის არის, რომ ლონდონში „ბარსელონა" ჩავა, „რეალის" ხელმძღვანელებმა კი, დაგვერწმუნეთ, უკვე სერიოზულად დაიწყეს იმაზე ფიქრი, ღირს თუ არა მოურინიოს მთავარი მწვრთნელის პოსტზე დატოვება.

### მატჩის წინ

**პეპ გვარდიოლამ** დიდი ხნის შემდეგ პირველად დააყენა თითქმის სასურველი ძირითადი შემადგენლობა: 4-3-3 ტაქტიკურ სქემაში, ნახევარდაცვაში ტრიო **ბუსკეტსმა, ჩავიმ** და გამოჯანმრთელებულმა **ინიესტამ** შეკრეს. მიუხედავად **ერიკ აბიდალის** გამოჯანმრთელებისა, მარცხენა მცველის პოზიციაზე კვლავ **კარლეს პუიოლი** ვიხილეთ, დაცვის ცენტრში კი, **პიკეს** გვერდით ისევ **მასკერანო** დადგა.

„რეალს" მოურინიოს გარდა, პეპე და **სერხიო რამოსიც** დისკვალიფიცირებული ჰყავდა. სამაგიეროდ, სასტარტოში **რიკარდო კარვალიო** დაბრუნდა. მოურინიო სტადიონზე არც მისულა – მატჩს თვალი სასტუმროდან მიადევნა. „სამეფო გუნდის" ძირითად შემადგენლობაში, **იოზილის** ნაცვლად **კაკა** ვიხილეთ და პირველი მატჩისგან განსხვავებით, „რეალმა" თამაში ნაღდი ცენტრფორვარდით დაიწყო – უპირატესობა **გონსალო იგუაინს** მიენიჭა, **ქარიმ ბენზემა** და **ემანუელ ადებაიორი** კი სკამზე დასხდნენ. ჟოზეს არყოფნაში, „რეალს" **აიტორ კარანკამ** უხელმძღვანელა.

### მატჩი

პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, გუშინწინდელი სუპერკლასიკო გაცილებით აქტიურად დაიწყო, რაც პირველ რიგში „რეალის" დამსახურებაა. მადრიდელებს უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ და თავიდანვე თამამად შეუტიეს. მიუხედავად ამისა, პირველი რეალური საგოლე მომენტი მაინც კატალონიელებს შეექმნათ: 33-ე წუთზე **მესიმ** ბურთი მკერდზე მოხდენილად მიიღო, ცრუმოძრაობით ორი მეტოქე ჩამოიცილა და 14 მეტრიდან დაარტყა, მაგრამ **კასილიასის** კარს ააცილა. ზუსტად ერთ წუთში, „ბარსამ" საკმაოდ სახიფათო კონტრშეტევა განახორციელა – მესიმ **ვილია** მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი ბურთი შორეული, მაღალი კუთხისკენ გაგზავნა, მაგრამ კასილიასმა ისევ იყოჩალა. არ გასულა ორ წუთზე მეტი და ისევ „ბარსას" მომენტი: მესიმ „რეალის" საჯარიმოში ბურთი ოთხ მადრიდელთა ბრძოლაში შეინარჩუნა, მერე კი ვილიას უპასა, რომელმაც მაშინვე **ჩავი** მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი ქუსლით დაუგორა მესის, რომლის დარტყმა კვლავ კასილიასმა გააუვნებლა.

რალა კასილიასი და რალა **მანუელ ნოიერი** „მანჩესტერის" წინააღმდეგ? არა, მთლად ეგრეც არ ყოფილა! მე-40 წუთზე **ჩაბი ალონსომ** შესანიშნავი პასი მისცა რონალდოს, რომელმაც ფლანგიდან იგუაინისკენ გაგზავნა ბურთი, მაგრამ **ვალდესმა** კარი დროულად დატოვა და არგენტინელ თავდამსხმელს არაფერი გააბედვინა.

49-ე წუთზე „რეალმა" გაიტანა გოლი, რომელიც, სამართლიანად არ ჩაითვალა, რადგან რონალდო იგუაინისთვის პასის მიცემის მომენტში დაეცა და მასკერანოს ფეხებში გაებლანდა. შესაძლოა, მასკერანოს იგუაინისთვის ველარც მიესწრო, მაგრამ ფაქტია, რომ ჯარიმა იყო.

54-ე წუთზე კი კატალონიელებმა ანგარიში გახსნეს: **დანი ალვეშისა** და ინიესტას კომბინაციას, ამ უკანასკნელის გენიალური პასი მოჰყვა **პედროსკენ,** რომელიც კასილიასთან ფაქტობრივად პირისპირ დარჩა, „რეალის" მეკარე კი ამჯერად უძლური აღმოჩნდა.

ათ წუთში მადრიდელებმა წონასწორობა აღადგინეს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს გოლი პიკეს სინდისზეა, რომელმაც საშინელი პასი გააკეთა. **დი მარიამ** ბურთი ძელს მოარტყა, იქიდან ასხლეტილი კი **მარსელოს** მიუვიდა, რომელმაც ვალდესის კარი უპრობლემოდ დალაშქრა. ამრიგად, 1:1 და „რეალს" ფინალში გასასვლელად კიდევ ორი გოლი სჭირდებოდა.

90-ე წუთზე გვარდიოლამ მოედანზე აბიდალი შეუშვა და ფრანგს მთელი „ნოუ კამპი" უდიდესი ოვაციით შეეგება. რაც შეეხება „რეალს": მადრიდელებს მომენტები აღარ ჰქონიათ.

დასკვნა: „რეალმა" გაცილებით უკეთ ითამაშა, ვიდრე პირველ შეხვედრაში, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. „სამეფო გუნდისთვის" ამდენ წუწუნს ის აჯობებდა, რომ პირველ მატჩშიც შეეტიათ...

| 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი | | |
|---|---|---|
| ბარსელონა (ესპანეთი) | 1:1 | რეალი (ესპანეთი) |

**პირველი მატჩი 2:0**

3 მაისი. ბარსელონა. კამპ ნოუ. 95 000 მაყურებელი

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, მასკერანო, პიკე, პუიოლი (90. აბიდალი) - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - ვილია (74. კეიტა), მესი, პედრო (92. აფელაი).

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, რიკარდო კარვალიო, ალბიოლი, მარსელო - ლ. დიარა, ჩაბი ალონსო - რონალდო, კაკა (60. იოზილი), დი მარია - იგუაინი (55. ადებაიორი).

**გოლები:** 1:0 პედრო (54), 1:1 მარსელო (64)

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერე (ბელგია)



მუქარა მუქარად დარჩა: კრიშტიანო რონალდო, პედრო როდრიგესი და დანი ალვეში

### რეაქციები

**ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა): *„ჩვენ უბრალოდ კმაყოფილები ვართ იმით, რომ „რეალი" გავაგდეთ და ფინალში გავედით. საბოლოო ჯამში მთავარი ნაღდად არ არის ის, თუ ვინ უფრო ლამაზ ფეხბურთს თამაშობს – ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია. მე კი უბრალოდ მიხარია, რომ ჩვენ ლამაზ ფეხბურთს ვთამაშობთ და ფინალშიც სწორედ ასეთი ფეხბურთით გავედით. შარშან „ინტერმა" მახინჯი ფეხბურთით მოგვიგო, მაგრამ არ მითქვამს, რომ მილანელები იმ წარმატებას არ იმსახურებდნენ..."*

**პედრო** (ბარსელონა): *„დღეს „რეალმა" უკვე ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ ჩვენ მაინც მოწოდების სიმაღლეზე ვიყავით. მოგება „ნოუ კამპზეც" გვინდოდა, მაგრამ რაც მთავარია, ფინალში ვართ. უბედნიერესი ადამიანი ვარ იმის გამო, რომ გოლი გავიტანე. დიდი მადლობა ინიესტას მაგიური პასისთვის."*

**იკერ კასილიასი** (რეალი): *„პირველ შეხვედრაში პეპე რომ არ გაეძევებინათ, ის მატჩი 0:0 დამთავრდებოდა და რაკი დღეს 1:1-ს მივაღწიეთ, ფინალში ჩვენ გავიდოდით. იგუაინის გოლი, ჩემი აზრით, უნდა ჩათვლილიყო, მაგრამ ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე..."*

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი): *„ეს იყო მორიგი მისია, რომლის შესრულებაც შეუძლებელი გახლდათ. წესით, აქ საერთოდ არ უნდა ჩამოვსულიყავით... ადგნენ და „ბარსას" პირდაპირ ჩაახუტონ თასი. რა აზრი აქვს ამ ყველაფერს?"*

### TOP ფეხბურთელი

ჩავი ერნანდესი (ბარსელონა)

„ბარსას" მთავარმა ფლეიმეიქერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია. მშვენიერ პასებს რომ თავი დავანებოთ, ჩავი ბურთს 102-ჯერ შეეხო და მისი პასების 94 პროცენტი (!) ზუსტი გახლდათ. ჩავისთან ერთად, საუკეთესო იყო ინიესტაც.

### FLOP ფეხბურთელი

კაკა (რეალი)

პირველი დაპირისპირების ყველაზე უსახური ფეხბურთელი **მესუთ იოზილი** გახლდათ, გუშინწინდელ მატჩში კი, მთავარი Flop მოთამაშე უკვე **კაკა** იყო – ფეხბურთელი, რომელმაც იოზილი შეცვალა. ბრაზილიელი პირველ ტაიმში საერთოდ არ ჩანდა. კაკამ გამთამაშებლის მოვალეობებს თავი საერთოდ ვერ გაართვა. თვითონ განსაჯეთ: ის პირველ ტაიმში ბურთს მხოლოდ 13-ჯერ შეეხო. ერთი სიტყვით, კაკა „ბარსელონასთვის" არანაირ ხიფათს არ წარმოადგენდა. ამიტომაც გაიყვანეს მოედნიდან.

### მსაჯი

ბელგიელი **ფრანკ დე ბლეეკერე** შეეცადა, მშვიდი ყოფილიყო. მართალია, ნაკლებად აგრესიული ორთაბრძოლების დროსაც უსტვენდა, სამაგიეროდ, ყვითელი ბარათის ამოღებას არ ჩქარობდა. მან მე-13 წუთზე კარვალიო გააფრთხილა, მერე კი, სამი საკმაოდ უხეში ორთაბრძოლისას ყვითელი აღარ უჩვენა. 75-ე წუთზე მარსელომ მესი რომ მოცელა, მადრიდელი აშკარად გასაფრთხილებელი იყო, ისევე, როგორც ბარსელონელი პედრო დიარასთან ორთაბრძოლის შემდეგ. მოკლედ, ბელგიელმა არბიტრმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს „კლასიკო" წითელი ბარათის გარეშე დამთავრებულიყო.

### ანალიზი

შეხვედრის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ბარსელონაში კოკისპირული წვიმა წამოვიდა და „ნოუ კამპის" მოედანი მაგრად დასველდა, რის გამოც ფეხბურთელები დიდ რისკზე წასვლას ვერ ახერხებდნენ. პირველი მატჩისგან განსხვავებით, „რეალმა" თავიდანვე შეუტია – მადრიდელი ფეხბურთელები თამამად გადადიოდნენ „ბარსას" ნახევარზე. რაკი „რეალმა" თამაში გახსნა, კატალონიელებსაც გაეხსნათ ხელ-ფეხი, მაგრამ გვარდიოლას გუნდი პირველი ტაიმის პირველ ნახევარში უჩვეულოდ ბევრ არაზუსტ პასს აკეთებდა.

მართალია, „რეალი" გაცილებით აქტიური იყო, ვიდრე პირველ შეხვედრაში, მაგრამ ბურთს მაინც „ბარსა" აკონტროლებდა. თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში კი, კატალონიელებმა ტემპსაც მოუმატეს და რამდენიმე მომენტი შექმნეს, მაგრამ კასილიასი მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

„ბარსელონა" მეორე ტაიმშიც აკონტროლებდა სიტუაციას, მადრიდელები ვალდესის კართან მომენტებს ვერ ქმნიდნენ და კატალონიელთა კარს რეალურად მხოლოდ 55-ე წუთზე დაემუქრნენ. მარსელომ ანგარიში რომ გაათანაბრა, ვალდესის კარიდან ბურთი დიდი მონდომებით გამოიტანა და ცენტრისკენ წაიღო – „რეალმაც" აშკარად მეტად მოინდომა, მაგრამ მადრიდელებმა ისეთი ვერაფერი მოიმოქმედეს, „ბარსელონას" ფინალში გასვლა კითხვის ნიშნის ქვეშ რომ დამდგარიყო.

● ვოლფსბურგი

# მაგათი: მბოკანი აღარ დამანახოთ!

## ფელიქსი კონგოელს ვარჯიშზეც აღარ უშვებს

**დიუდონ მბოკანის** ვოლფსბურგული კარიერა დასასრულს უახლოვდება. 25 წლის კონგოელი თავდამსხმელი „მგლებში" იანვარში გადავიდა და იმედები ვერ გაამართლა, **ფელიქს მაგათი** კი ღიად აცხადებს, რომ ის არ სჭირდება. შესაბამისად, მბოკანი „ვოლფსბურგს" სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს. მბოკანი გერმანულ კლუბში „მონაკოდანაა" განათხოვრებული და „ვოლფებს" კონგოელის მოწონების შემთხვევაში, მისი შესყიდვის უპირატესი უფლება ჰქონდათ, რომელსაც მაგათის თქმით არ გამოიყენებენ.

იანვრის შემდეგ, მბოკანიმ „ვოლფსბურგის" მაისურით შვიდ მატჩში მიიღო მონაწილეობა. აქედან, ხუთში შეცვლაზე ითამაშა, ორში კი შეცვალეს. მის ანგარიშზე არც ერთი გოლი და არც საგოლე პასია, რაც თავდამსხმელისთვის ძალიან ცუდი შედეგია. შესაბამისად, გასაკვირი სულაც არაა, რომ მაგათს ის არაფერში სჭირდება.


მბოკანიმ ვოლფსბურგში არ გაამართლა

მაგათის თქმით, კონგოელმა „პირადი მიზეზების" გამო რამდენიმე ვარჯიშიც გააცდინა და „დესპოტი ფელიქსი" მბოკანის ამიერიდან ვარჯიშებზეც აღარ დაუშვებს. შეგახსენებთ, რომ 2009 წლის გერმანიის ჩემპიონი „ვოლფსბურგი" გადარჩენისთვის იბრძვის. გასულ ტურში „მგლებმა" „ვერდერი" დაამარცხეს და გასავარდნი ზონა დატოვეს, მაგრამ ელიტაში დარჩენა ჯერ არ გაუნაღდებიათ. მომავალ შაბათს „ვოლფსბურგი" „კაიზერსლაუტერნს" მასპინძლობს, ბოლო ტურში კი „ჰოფენჰაიმს" ესტუმრება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი



სახიფათო მომენტი შალკეს კართან

# როგორც ველოდით

## უემბლი ბარსას და მანჩესტერს უმასპინძლებს

**1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**მანჩესტერი (ინგლისი) 4:1 შალკე (გერმანია)**

**პირველი მატჩი 2:0**

04.05. მანჩესტერი. ოლდ ტრეფორდი. 74 678 მაყურებელი

**მანჩესტერი (4-3-3):** ვან დერ სარი - რაფაელი (60. ევრა), სმოლინგი, ევანსი, ოში - გიბსონი, სქოულზი (73. ფლეტჩერი), ანდერსონი - ვალენსია, ბერბატოვი (77. ოუენი), ნანი.

**შალკე (4-2-3-1):** ნოიერი - უჩიდა, მეტცელდერი, ჰიოვედესი (70. ჰუნტელაარი), ესკუდერო - პაპადოპულოსი, ხურადო - ფარფანი (75. მატიპი), ბაუმიოჰანი (46.ედუ), დრაქსლერი - რაული.

**გოლები:** 1:0 ვალენსია (26), 2:0 გიბსონი (31), 2:1 ხურადო (35), 3:1 ანდერსონი (72), 4:1 ანდერსონი (76)

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: მანჩესტერი

პირველი კუთხური: მანჩესტერი

პირველი ჯარიმა: შალკე

პირველი გაფრთხილება: მანჩესტერი

| | | |
|---|---|---|
| 10 (8) | დარტყმა | 14 (4) |
| 13 | ჯარიმა | 15 |
| 13 | კუთხური | 10 |
| 3 | გაფრთხილება | 1 |
| 45% | ბურთის ფლობა | 55% |

**არბიტრი:** პედრო პროენსა (პორტუგალია)

ლონდონში პირველად ჩემპიონთა თასი ჩავიდა, ეს 20 აპრილს მოხდა საზეიმო ვითარებაში. ახლა თასი „უემბლიზეა" და მომავალ პატრონს ელის. ვინ გადაიბარებს **ჟოზე მოურინიოს** „ინტერისგან" ესტაფეტას, ჯერ უცნობია, თუმცა პრეტენდენტთა რიცხვი ოფიციალურად ორამდე დავიდა. სამშაბათს „ნისლიანი ალბიონის" საგზური „ბარსელონამ" გაინაღდა, წუხელ კი „მანჩესტერ იუნაიტედმა". მაშ ასე, 28 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალია, „უემბლიზე" ყველა ბილეთი, გარდა იმისა, რომელთაც ფინალისტთა ფანებს გამოუყოფენ, უკვე გაყიდულია.

„ოლდ ტრეფორდზე" კი ნახევარი საათი ახალი გასული იყო, როცა მეორე შემადგენლობით მოთამაშე **ალექს ფერგიუსონის** „მანჩესტერი" ორი მატჩის ჯამში უკვე 4:0-ს იგებდა. ბუნებრივია, შეხვედრა სპორტული ინტერესი უკვე დაკარგული ჰქონდა, თუმცა „მანჩესტერი" ამაზე არ გაჩერებულა. ანგარიში 26-ე წუთზე **ვალენსიამ** გახსნა ბრწყინვალე გარღვევით, შემდეგ მისი პასით **გიბსონმა** გაიტანა. 35-ე წუთზე „შალკეს" ესპანელმა ლეგიონერმა **ხურადომ** ერთი გაქვითა. მეორე ტაიმში კი დუბლი ბრაზილიელმა **ანდერსონმა** შეასრულა - 4:1, ორი მატჩის ჯამში კი 6:1 „წითელი ეშმაკების" სასარგებლოდ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პორტუ

# ჯერ მხოლოდ ყიდიან

როგორც ჩანს, "პორტუ" წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნებას ვერ მოახერხებს. კლუბის ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ მზადაა მსურველებთან ორი ლიდერის ტრანსფერის დეტალები განიხილოს. ლაპარაკია თავდამსხმელებზე - 24 წლის ბრაზილიელ **ჰალკსა** (ჟივანილდო ვიეირა დე სოუზა) და 25 წლის კოლუმბიელ **ფალკაოზე** (რადამელ ფალკაო გარსია სარატე). "პორტუს" პრეზიდენტი **პინტუ და კოშტა** აცხადებს: *"მზად ვართ განვიხილოთ ნებისმიერი მსურველის წინადადება, თუკი ის იმდენად გულუხვი იქნება, რომ წამყვან ფეხბურთელებთან გამოთხოვებას გადაგვაწყვეტინებს. ლიდერების გაყიდვა ჩვენი თვითმიზანი ნამდვილად არ არის"*. პორტუგალიური პრესის ცნობით, მარტო კოლუმბიელ ფეხბურთელში კლუბი 38 მილიონ ევროს ითხოვს. ამხელა თანხას კი ფალკაოში ნამდვილად არავინ გადაიხდის.

"გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, მილანის "ინტერმა" "პორტუს" უკვე მიმართა ოფიციალური წინადადებით, რათა მან ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველის, 23 წლის **ფერნანდო ფრანცისკო რეჟესის**, ანუ უბრალოდ ფერნანდოს სატრანსფერო ღირებულება დაასახელოს. გეტყვით, რომ ის "პორტუში" 2007 წლიდან ირიცხება და ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება საკმაოდ გვიან, გუნდიდან **ლუჩო გონსალესისა** და **რაულ მეირელეშის** წასვლის შემდეგ მოახერხა.

**ლევან ბიბილაშვილი**

სკანდალი

# მხოლოდ სასტიკი საყვედური?



სკანდალის მთავარი გმირი ფრანსუა ბლაკარი

საფრანგეთის სპორტის მინისტრის **შანტალ ჟუანოს** უშუალო მითითების შემდეგ ფეხბურთის ფედერაციამ თავის ტექნიკურ დირექტორ **ფრანსუა ბლაკარს** უფლებამოსილებები დროებით შეუჩერა, რადგან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბოლო დროს ამ ქვეყანაში მძვინვარე რასისტული სკანდალი ძირითადად სწორედ მისი წყალობით აგორდა. შეგახსენებთ, რომ სპეციალური კომისია იძიებს საქმეს, რაც დაკავშირებულია საფეხბურთო სკოლებში ორმაგი მოქალაქეობის მქონე არაბული წარმოშობისა და შავკანიან ფეხბურთელებზე კვოტის დაწესების მცდელობასთან. ბლაკარი სწორედ ის ადამიანია, ვისაც აღნიშნული იდეა თავში მოუვიდა. თუმცა ეს ყველაფერი არ არის: "ეკიპის" ვარაუდით, აღნიშნულმა საქმემ შეიძლება **ლორან ბლანის** სანაკრებო კარიერაც შეიწიროს. როგორც ჩანს, ის მოვლენათა ამგვარად განვითარებას თანაუგრძნობდა. ჯერჯერობით ბლანის მიმართ კონკრეტული სამართლებრივი პრეტენზია არავის აქვს. თუმცა საზოგადოების ნაწილი მის მორალურ პასუხიმგებლობაზე ლაპარაკობს. რამდენიმე დღის წინ ბლანის წინააღმდეგ საკმაოდ მკვახე განცხადება გააკეთა საფრანგეთის ნაკრების ლეგენდარულმა ფეხბურთელმა **ლილიან ტურამმა**. პირდაპირი ტექსტით არა, მაგრამ კონტექსტიდან გამომდინარე მეგობარს მან მოკლე მეხსიერების პატრონი უწოდა. სპორტის სამინისტროს მესვეურები კი არ გამორიცხავენ, რომ, თუკი მუსიე ბლანის ბრალიც გამოიკვეთება, მის წინააღმდეგ საბუთები პროკურატურას გადასცენ.

სკანდალს სათავე ერთ-ერთ ფრანგულ საიტზე გამოქვეყნებულმა წერილმა დაუდო, სადაც ავტორები ამტკიცებდნენ, რომ ბლაკარმა და ბლანმა, სკოლებში ეთნიკურად არაფრანგი ბავშვების სიმრავლით შეშფოთებულებმა, განიზრახეს, რომ 12-13 წლის ასაკიდან მათთვის 30%-იანი კვოტა დაეწესებინათ. დანარჩენი 70% კი მხოლოდ თეთრკანიანი ბავშვებისთვის იქნებოდა განკუთვნილი. ეს თემა ბლაკარმა, ბლანმა და 21-წლამდელთა ნაკრების დამრიგებელმა **ერიკ მომბარმა** პირველად ნოემბერში ერთ-ერთ სხდომაზე გააჟღერეს. ამ უკანასკნელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მისი გუნდის 30 კანდიდატიდან მხოლოდ ოთხია ფრანგი. აღნიშნული ფრაზა სხდომის სტენოგრამაშია დაფიქსირებული. მომბარის მდგომარეობას სერიოზულად ამსუბუქებს ის, რომ თათბირზე ძირითადად ჩუმად იჯდა და როგორც დამსწრეები ამბობენ, ბლაკარისა და ბლანის განცხადებებზე დასტურის ნიშნად მხოლოდ თავს აქნევდა. ახლა კი შემოგთავაზებთ აღნიშნული სტენოგრამის ყველაზე საინტერესო ნაწილს, სადაც გამომსვლელთა პოზიცია საკმაოდ კარგად ჩანს.

**ლორან ბლანი:** *"მაშფოთებს, რომ ჩვენს საფეხბურთო აკადემიებში აღზრდილი სხვადასხვა თაობის ბიჭები შემდეგ აფრიკული ქვეყნების ნაკრებების ღირსებას იცავენ. ეს პროცესი რომ აღმოვფხვრათ, ნამდვილად კარგი იქნება".*

**ფრანსუა ბლაკარი:** *"შეიძლება მათთვის (იგულისხმება შავკანიანი და არაბული წარმოშობის ფეხბურთელები) სპეციალურად დაწესდეს 30%-იანი კვოტა საფეხბურთო სკოლებში".*

**ბლანი:** *"ესპანელები მეუბნებიან, რომ მათ არ ჰყავთ "შავები" და, შესაბამისად, ეს პრობლემა არ აწუხებთ".*

აი, ის სიტყვები, რომელსაც მთელი ეს სკანდალი მოჰყვა. სხდომაზე მხარეთა შორის სერიოზული კამათი იყო გაჩაღებული და ეს ფრაზები შეიძლება მხოლოდ ემოცია იყოს და მეტი არაფერი. თუმცა მაღალი თანამდებობის პირებისგან ფედერაციის სხდომაზე, რომლის სტენოგრამა იწერებოდა და რაც შეუძლებელია, რომ არ სცოდნოდათ, სხვების გასაგონად ასე ლაპარაკი რომ არ შეიძლება, ამაზე განსხვავებული აზრი ალბათ არც ჩვენი გაზეთის მკითხველს ექნება. მას შემდეგ, რაც პრესამ აღნიშნული დოკუმენტაცია გამოაქვეყნა, სკანდალის მთავარმა მონაწილეებმა საჯაროდ მოიხადეს ბოდიში, მაგრამ იქვე აღნიშნეს, რომ მათ ფრაზებს რასისტული ქვეტექსტი არ ჰქონია და ისინი მხოლოდ გამოსავალს ეძებდნენ შექმნილი კრიზისიდან. მეტიც, ბლანმა განაცხადა, რომ რასიზმი მისი ცხოვრებისეული ფილოსოფიისგან ძალიან შორს დგას.

სპორტის მინისტრის მიერ შექმნილი საგანგებო კომისიის შემადგენლობაში ფრანგულ საფეხბურთო სამყაროში პატივსაცემი ადამიანები შევიდნენ. მათ შორის ფედერაციის გენერალური დირექტორი **ალან-რესპლან ბერნარი**, ცნობილი იურისტი **ლორან დავენასი** და ფრანგული ფეხბურთის ფონდის პრეზიდენტი **პატრიკ ბროზე**. კომისიას შემაჯამებელი დასკვნის გასაკეთებლად ვადა 10 მაისამდე აქვს, რასაც შემდგომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ფერნან დიუშუსუასა** და მინისტრ შანტალ ჟუანოს წარუდგენს. „ეკიპი" ვარაუდობს, რომ ბლაკარს თანამდებობიდან გათავისუფლება ელის, ხოლო ბლანს - უმკაცრესი საყვედური. გამორიცხული არც ამ უკანასკნელის შინ გაშვებაა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ბაიერნი

# ადებაიორი მიუნხენში?

## ბოატენგს შეიხები არ უშვებენ...



ემანუელ ადებაიორი შეიძლება ბაიერნში გადავიდეს

არაერთხელ დაგვიწერია, რომ მიუნხენის „ბაიერნის" უმთავრესი მიზანი დაცვის ხაზის გაძლიერებაა. ისიც გაცნობეთ, რომ რეკორდმაისტერი „მანჩესტერ სიტისა" და გერმანიის ნაკრების უკანახაზელ **ჟერომ ბოატენგს** უმიზნებს, მაგრამ როგორც ირკვევა, ეს ტრანსფერი არ შედგება – მანჩესტერელებს ჟერომი არ ეთმობათ.

*„ჟერომის გაშვება არ გვინდა, ის ჩვენი სამომავლო გეგმების ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია. ჩემპიონთა ლიგაში გავდივართ და ბოატენგი ძალიან გვჭირდება. ვიცი, რომ „ბაიერნს" მისი ყიდვა უნდა, მაგრამ ტრანსფერს არ დავუშვებთ,"* - აცხადებს „სიტის" სპორტული მმართველი **მაიკ რიჯი** „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში. შეგახსენებთ, რომ ჟერომ ბოატენგი მანჩესტერულ კლუბში გასულ ზაფხულს „ჰამბურგიდან" გადავიდა და „სიტიმ" HSV-ს მის სანაცვლოდ 12.5 მილიონი ევრო გადაუხადა. ჟერომს „მანჩესტერ სიტისთან" კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული.

მოკლედ, შეიხები ჟერომ ბოატენგს ვერ ელევიან, სამაგიეროდ, „სიტის" წარმომადგენლები არ მალავენ, რომ მიუნხენურ გრანდს სხვა ფეხბურთელს დაუთმობენ, თანაც, დიდი სიამოვნებით. საუბარია 27 წლის ტოგოელ თავდამსხმელ **ემანუელ ადებაიორზე**, რომელიც ახლა მადრიდის „რეალშია" განათხოვრებული. მან „სამეფო გუნდში" 13 მატჩი ჩაატარა და სამი გოლის გატანა მოახერხა.

„ბილდის" ინფორმაციით, „ბაიერნს" ადებაიორიც აინტერესებს და ჩვენი გერმანელი კოლეგები იმასაც წერენ, რომ მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელებმა მანჩესტერელ კოლეგებს ემანუელის საკითხზე შეხვედრაც კი სთხოვეს. „სიტი" ადებაიორს 13 მილიონად აფასებს, მისი ხელფასი კი კვირაში 150 000 ევროა. მართალია, „რეალს" ტოგოელის ყიდვის უპირატესი უფლება აქვს, მაგრამ მანჩესტერელები ფიქრობენ, რომ მადრიდული გრანდი ამ უფლებას არ გამოიყენებს...

**გოტფრიდ ლენცი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ბაქოს ტურნირი

# ბაქოს მორიგი გრანდიოზული

## ჩვენ როდის ვეღირსებით?

სპორტში მიზანდასახულ, სწორ მუშაობას რამდენის გაკეთება შეუძლია, ამის ნათელი მაგალითი აზერბაიჯანის „დიდი პრიზის" ტურნირია ძიუდოში, რომელიც ხვალ დაიწყება და 8 მაისამდე გასტანს ოლიმპიურ სპორტკომპლექს „სერხედჯში". თუ იქაურთა გამოცდილებას გავითვალისწინებთ, ეს ჩვენთვისაც კარგი მაგალითი იქნება. ცალკეული გამონათებების მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ მსოფლიოს სპორტს ფეხაწყობილები მივყვებით. სხვას რომ თავი დავანებოთ, დარბაზიც არ გვაქვს, სადაც ამ რანგის ღონისძიებას ჩავატარებთ, აზერბაიჯანელებს კი რამდენიმე აქვთ ასეთი. არაფერს ვამბობ სასტუმროებსა თუ სხვა მნიშვნელოვან დეტალებზე, შედეგად იქაურები ოლიმპიური განაცხადის წარდგენაზე ფიქრობენ, ჩვენ კი, პრაქტიკულად, ყამირს ვტეხავთ. ამასაც ჯერ უფრო იდეის, სურვილის დონეზე და არა რეალურ-პრაქტიკულად, თანამედროვე ინფრასტრუქტურის შენებით.

ზემოაღნიშნული შეჯიბრება ზუსტად ამავე ვადებში ტუნისში უნდა გამართულიყო, მაგრამ იქ შექმნილი პოლიტიკური არეულობების გამო ბაქოში გადმოიტანეს. ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ ის დაძაბულობა აქამდე გასტანდა, მაგრამ **მარიუს ვიზერს** წინასწარმეტყველის ნიჭი აღმოაჩნდა. შეჯიბრების სხვაგან გადატანა გონივრული გადაწყვეტილება იყო, რასაც ვერ ეღირსა მეორე არეული არაბულ-აფრიკული ქვეყანა - ეგვიპტე, სადაც გასამართი მსოფლიოს თასი საერთაშორისო ფედერაციამ, უბრალოდ, გააუქმა. არადა, სალიცენზიო შეჯიბრება იყო და ძიუდოისტებს ქულების დაგროვების შანსი შეუმცირდათ.

როგორც კი ვიზერს ერთი დასცდა, ტუნისის ტურნირის სხვაგან გადატანას ვაპირებთო, აზერბაიჯანელებმა სიტყვის დასრულება არ აცალეს, ისე შესთავაზეს სამსახური. ჩვენმა მეზობლებმა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციასთან ხომ ჩინებული ურთიერთობა დაამყარეს, ძიუდოს მახვშებთანაც გამონახეს საერთო ენა და ამ პრესტიჟული შეჯიბრების მასპინძლობაც მოიპოვეს. შეგახსენებთ, რომ შარშან მათ მასტერსის ჩატარების უფლებაც ასევე პოსტ-ფაქტუმ, თითქოსდა ყოველგვარი წინაპირობების გარეშე მიიღეს - მათზე საერთოდ არ იყო ლაპარაკი, მაგრამ უცებ ბომბივით იფეთქა ცნობამ, რომ მასტერსს ბაქო უმასპინძლებდა.

სხვათა შორის, იმ შეჯიბრებიდან დაბრუნებული ჩვენი ძიუდოისტები გაკვირვებულები ჰყვებოდნენ იქ ნანახ ატმოსფეროზე. მათ გაკვირვებას იწვევდა როგორც ორგანიზაციული საკითხების მოგვარების მაღალი დონე, ისე საკუთარი სპორტსმენებისადმი ყურადღება და მხარდაჭერა. როცა ბაქომ „დიდი პრიზის" გამართვის უფლება მიიღო, იქაური ნაკრების თავკაცმა **აგიარ ახუნდზადემ** პირდაპირ განაცხადა, ეს სალიცენზიო ტურნირია და ჩვენს სპორტსმენებს რეიტინგში ქულათა მარაგის შევსების ჩინებული შანსი ეძლევათო. აქედანაც ჩანს, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ თავიანთი ძიუდოისტების წარმატებისთვის, სტუმრებს კი ნამდვილი ჯოჯოხეთი ელოდებათ.

ბაქოს „დიდ პრიზზე", როგორც ამავე სტატუსის სხვა შეჯიბრებებზე, ჩემპიონობა 200 ქულადაა შეფასებული, მეორე ადგილი - 120-ად, მესამე - 80-ად, მეხუთეადგილოსანი კი 40 ქულას მიიღებს. ამათ გარდა, 1/16-ფინალში გასული ფალავანი 24 ქულას დაიმსახურებს, წინა წრის მონაწილე - 16-ს, ხოლო თუ კიდევ ერთი წრე იქნება საჭირო, იქ მოხვედრილს 8 ქულა დაეწერება. ტურნირის საპრიზო ფონდი 150 ათასი დოლარია. აქედან ჩემპიონის სარგო 3 000-ია, ვიცე-ჩემპიონისა - 2 000, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორების - 1000-1000 დოლარი.

შეჯიბრებები ქალთა შორისაც გაიმართება. 6-ში ვაჟთაგან 60 -66, ქალთაგან კი 48, 52 და 57 წონების წარმომადგენლები იჭიდავებენ, მეორე დღეს - 73-81, ქალთაგან კი 63-70-ის მოჭიდავეები. ტურნირს 8 მაისს დარჩენილი წონების ძიუდოისტები დაასრულებენ.

წინასწარი მონაცემებით, ბაქოში 53 ქვეყნის 800-მდე მონაწილეს ელოდებიან. მათ შორის ძიუდოსთვის ისეთი ეგზოტიკური წარმომადგენლებიც იქნებიან, როგორიცაა პერუ, სენეგალი, გაბონი და ანგოლა. ბოლო წლებში საერთაშორისო ფედერაცია ბევრს აკეთებს ძიუდოს პოპულარიზაციისთვის ისეთ ქვეყნებში, სადაც სპორტის ეს სახეობა არაა პოპულარული. ასეთთა შორისაა აფრიკის კონტინენტიც, სადაც ძიუდო მხოლოდ ჩრდილოეთში, არაბულ ქვეყნებშია განვითარებული, კონტინენტის უდიდესი ნაწილი კი ჯერაც აუთვისებელია. იქ პერიოდულად ეწყობა საწვრთნელი კემპები. ერთი ასეთი კემპი ახლახან გაბონში დასრულდა, ძიუდო კი უკვე „შავ კონტინენტზეც" ნელ-ნელა იკიდებს ფეხს. შეგახსენებთ, რომ იქაურები თბილისის ტურნირზეც ლამის ყოველწლიურად ჩამოდიან - ყოფილან ნიგერიელები, კოტდივუარელები, სენეგალელები...

იქნებ ზემომოყვანილი ციფრები მონაწილეთა რაოდენობის შესახებ გადაჭარბებულიცაა, თუმცა ბევრად ნაკლებიც არ იქნება ანუ მართლაც შთამბეჭდავი შეჯიბრება გამოვა. მასპინძელთა სამწუხაროდ, ტურნირს მთავარი ხიბლი დააკლდება - არ იქნებიან იაპონელები და კორეელები. სხვა წამყვანი გუნდები კი ჩავლენ და თანაც - უძლიერესი შემადგენლობებით, მაგრამ ეს მათთვის არც ისე დიდი შვებაა. ცალკეულ ცნობილ ფალავანთაგან ვისი დანაკლისიც აზერბაიჯანულმა მედიამ გამოიტირა, როგორც შეჯიბრების დანაკლისი, ეს ჩვენი გაბერძნებული თანამემამულე **ილიას ილიადისია** (90) - მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკეთ მომზადების მიზნით, მან ამ ტურნირის გამოტოვება არჩია. თუმცა, შესაძლოა, ნამდვილი მიზეზი სხვა იყოს. საქმე ისაა, რომ იანვარში ილიადისმა ბაქოში მასტერსზე იჭიდავა და ფინალში მასპინძელ **ელხან მამადოვთან** დამარცხდა. შესაძლოა, ილიადისი ახლაც უფრთხის მასთან წაგების საფრთხეს, რადგან ასეთ პრინციპულ შეხვედრებში ბაქოში მასპინძელთა დამარცხება ლამის წარმოუდგენელია - იმ შემთხვევაშიც ბერძნებმა მარცხი მსაჯთა მიკერძოებით ახსნეს. ჯერჯერობით არაა ცნობილი, ჩავა თუ არა ბაქოში მოლდოველი **სერგეი ტომა** (81), რომელმაც სტამბოლში ევროპის ჩემპიონატის ფინალი აზერბაიჯანელ ოლიმპიურ ჩემპიონ **ელნურ მამადლისთან** დათმო. თუმცა მოლდოველმა ამ წაგებითაც იხეირა - მოლდოვურმა ფედერაციამ კიშინიოვში ოროთახიანი ბინით დაასაჩუქრა, ადგილობრივმა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ კი 3 000 ევროთი დააჯილდოვა. საინტერესოა, რომ მოლდოვისთვის ეს იყო პირველი მედალი 1997 წლის შემდეგ, ხოლო ტომა თუ მსოფლიოსა და ოლიმპიადაზეც მოიპოვებს ჯილდოებს, ორივე წარმატებისთვის სათითაოდ შეჰპირდნენ ბინებს. *„იქნება სამი მედალი? ჩვენც მოგცემთ სამ ბინას"* - სახალხოდ დაჰპირდა სპორტსმენს მოლდოვის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი **ვიაჩესლავ მანოლაკი**. *„როცა ვჭიდაობ, მაშინ მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობ და არა ბინებსა და ფულზე. ახლა ჩემი მიზანია, მოვიპოვო მედალი მსოფლიოს პირველობაზე, მოვხვდე ოლიმპიადაზე და იქაც წარმატებით გამოვიდე"* - განაცხადა სანაცვლოდ ტომამ.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# სომხეთს მოვუგეთ

გუშინ საქართველოს ნაკრებმა წარმატებით აიღო სტარტი „ფედერაციის თასის" ევროპა-აფრიკის მე-2 ჯგუფში. ქართველმა ჩოგბურთელებმა პირველი გამარჯვება სომხებზე მოიპოვეს - 2:1. **თათია მიქაძემ ოფელია პოლოსიანს** 6:1, 6:1 მოუგო, ხოლო **სოფიო შაფათავამ**, ყველასთვის მოულოდნელად, **ანი ამირალიანთან** წააგო - 4:6, 4:6. წყვილებში ჩვენებმა (**ეკა გორგოძე**, თათია მიქაძე) ამირალიანი და პოლოსიანი იოლად დაამარცხეს - 6:2, 6:1. ჩვენს ჯგუფში ბოსნიის ნაკრებმა თურქეთი 3:0 დაამარცხა. დღეს **ლალი ზერეკიძის** გუნდი ბოსნიას ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სპორტი და ცნობილი ადამიანები



მარცხნიდან: აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი და თენგიზ გიორგაძე

# აკაკი შანიძე

ერთხელ (1963 წლის 9 სექტემბერს) სტუმრად გახლდით აკადემიკოს გიორგი ახვლედიანთან, როცა მას აკაკი შანიძემ მოაკითხა. ჩვენს საამაყო მეცნიერებს ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდათ, თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს.

- გიორგი, ერთი სათხოვარი მაქვს, - უთხრა ბატონმა აკაკიმ მეგობარს. - თუ შეიძლება, შენს სტუმართან ჭადრაკი მათამაშე. მინდა ვიცოდე, რა ძალა მაქვს. სხვათა შორის, ოსტატმა მიხეილ შიშოვმა, რომელსაც შემთხვევით შევხვდი, მითხრა, კარგი მეორეთანრიგოსანი ხარო.

გიორგიმ ყურადღებით მოუსმინა მეგობარს და ბოლოს გაკვირვებულმა ჰკითხა:

- აკაკი, შენ მართლა გინდა პაექრობა?

- ნამდვილად ასეა, ჩემო გიორგი. რაც მთავარია, მსაჯი შენ იქნები. ახლა ნუღარ ვაყოვნებთ, წამოდით ჩემთან.

მეტი რა გზა ჰქონდა ბატონ გიორგის - ჩაიცვა პალტო, მოიმარჯვა ხელჯოხი და გზას გავუდექით.

- რომ გკითხონ, „ვეფხისტყაოსანზე" მუშაობისთვის არ გყოფნის დრო... არა, ვინ დაიჯერებს, რომ აკაკი შანიძე ჭადრაკს უთმობს საათებს.

- ხანდახან დაუჯერებელიც უნდა დაიჯერო... ბოლოს და ბოლოს, შესაძლებლობა მომეცა, გამოვცადო ჩემი „თანრიგოსნობა" და არ ვისარგებლო შემთხვევით? - გაეცინა ბატონ აკაკის.

შევედით წიგნებით და ხელნაწერებით, კატალოგებითა და ჟურნალ-გაზეთებით სავსე კაბინეტში.

- დაბრძანდით სტუმრებო, - მიგვიპატიჟა მასპინძელმა და პატარა მაგიდიდან წიგნები აიღო. - ეს არის ჩემი საჭადრაკო მაგიდა.

- ეს მაგიდა და ჭადრაკი როდის შეიძინეთ? - ვკითხე ბატონ აკაკის.

- 1925 წელს ვიყიდე. მოგწონთ?

მაგიდა კოხტა იყო, ჭადრაკის ფიგურები კი - სტაუნტონის სტილისა. მერე, 1972 წელს აკაკი შანიძემ ეს ჭადრაკი ნონა გაფრინდაშვილს უსახსოვრა.

გავშალეთ ჭადრაკი და თამაში დავიწყეთ.

... ჭადრაკის თამაში აკაკი შანიძეს ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში უსწავლია. მაშინ პანსიონში ჭადრაკი ნებადართული გასართობი ყოფილა და მოსწავლეებიც თავისუფალ დროს იქცევდნენ თამაშით. მის მეტოქეთა შორის ყოფილან კლასის დამრიგებელი პლატონ წულუკიძე და თანაკლასელი ნიკო მახვილაძე, შემდეგში გამოჩენილი ექიმი და პროფესორი.

- ერთხელ, 1909 წელს, ფშავში, სოფელ ხორხში ვიყავი სტუმრად ბიძაჩემთან, ბესო შანიძესთან, - გაიხსენა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა. - იქ არავინ იცოდა ჭადრაკის თამაში, არც ჭადრაკი ჰქონდათ. ერთ ფშაველს ჩემი ესკიზების მიხედვით ხიდან გამოვათლევინე ფიგურები, მუყაოზე დავხატე ჭადრაკის უჯრები და შემდეგ ჩემს ბიძაშვილს იასონს ვასწავლე თამაში.

მერე აკაკი შანიძემ გაიხსენა:

- რევოლუციის შემდეგ თბილისში რომ დავსახლდით, უნივერსიტეტის დაარსებაც მოხერხდა. მაშინ ჭადრაკიც გამახსენდა. მითამაშია, მაგალითად, ანდრია რაზმაძესთან, ალექსანდრე ჯანელიძესთან, გიორგი ნიკოლაძესთან და სხვებთან.

რევოლუციამდე აკაკი შანიძეს მოუნახულებია ძველი ქალაქი ანისი. „მე ანისში ვიყავი 1914 წელს, აგვისტოში, როცა ნიკო მარი იქ გათხრებს აწარმოებდა (მან, სხვათა შორის, მშვენივრად გამოსცა იქაური ქართული წარწერა ეპიფანე კათალიკოსისა, 1218 წლით დათარიღებული). მე მაშინ ზღუდეც ვნახე და ის ჭადრაკის კარიც, რომელსაც ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ კარის თავზე ჭადრაკის დაფაა გამოყვანილი ფერადი ქვებით. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ ჭადრაკის თამაში სომხეთშიც ძალიან გავრცელებული ყოფილა ძველად.

იმ ჩემთვის ღირსსახსოვარ დღეს ბატონმა აკაკიმ თქვა:

- ჭადრაკის დაფასთან ძალიან ვერთობი. ზოგჯერ ასეთი „დროსტარება" 7-8 საათს გრძელდება...

- ადრე მეც ხალისით ვთამაშობდი, - სიტყვა ჩაურთო გიორგი ახვლედიანმა, - მაგრამ ველარ ვუძლებ დაძაბულობას. უკვე კარგა ხანია, გულშემატკივრად ვიქეცი.

აკაკი შანიძე არ ჩამორჩენია მეგობარს ქომაგობაში. 1959 წელს თბილისში გამართულ საბჭოთა კავშირის ვაჟთა 26-ე ჩემპიონატს იგი სპეციალური აბონემენტით ესწრებოდა.

- მინდოდა ახლოს გავცნობოდი დიდოსტატებს, მათ პარტიებს, - თქვა ბატონმა აკაკიმ. - ელისაბედ ბიკოვასთან ნონას მატჩის დროს პარტიის შედეგის გაგებამდე არ ვიძინებდი. ზოგჯერ ს. კიროვის სახელობის პარკში წავსულვარ პარტიის გარჩევაზე დასასწრებად.

1968 წელს აკაკი შანიძე წერდა: „გივი შეყილაძეს ვუმადლი, რომ სახელგანთქმულ ჩემპიონ ქალებს შემაბა ჭადრაკში, ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიას. თუ ნონასთან ყაიმს მივაღწიე, ალბათ იმიტომ, რომ ის სრული ძალით არ თამაშობდა. ნანასთან რომ ვთამაშობდი, მცდარი ნაბიჯი გადავდგი. შეცდომა იმ წამსვე შევნიშნე და გნებდები-მეთქი ვუთხარი, მაგრამ არ ქნა: წასაგები პარტია არ გაქვთო, ის მცდარი ხელი დამიბრუნა და შემდეგ კი თამაში გათანაბრდა".

მართალია, აკაკი შანიძეს თეორიის შესწავლა არასოდეს უცდია, მაგრამ მისი დიდი მოწონება დაუმსახურებია ოსტატ ა. ბლიუმელფელდის პატარა წიგნს „კომბინაციები და მახეები", რომელიც შინ ჰქონდა, საკუთარ ბიბლიოთეკაში.

დიდი მეცნიერი ამბობს: „ჭადრაკში ყველაფერი ცოდნაზეა დამოკიდებული. იცი, მოიგებ, ან არ წააგებ მაინც, ყაიმს მიაღწევ: ჭადრაკი გასართობია, მაგრამ გონების მწვრთნელი. იგი ხელს უწყობს გონების განვითარებას, წინასწარ განჭვრეტას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ ფიგურის გადასმას".

ჩვენი პაექრობა კარგა ხანს გაგრძელდა. რამდენიმე პარტია ვითამაშეთ. სამახსოვროდ ფოტოსურათიც გადავიღეთ.

- ძმაო აკაკი, შენ მართლა კარგი მოჭადრაკე ყოფილხარ, რაკი ამდენი ბრძოლის თავი გქონია, - შეაქო მეგობარი გიორგი ახვლედიანმა.

ჩვენს მასპინძელს სახეზე ეტყობოდა, რომ კმაყოფილი იყო თამაშითაც და შექებითაც. მერე სუფრაზე მიგვიწვია და ჭადრაკზე საუბარი იქ გავაგრძელეთ.

**თენგიზ გიორგაძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# გეორ-გია დამამშვიდებელში

ჩინეთის ქალაქ შანხაიში დაიწყო მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპის გათამაშება ვაჟთა შორის. ქართულმა წყვილმა **გეორ-გიამ** ორი შეხვედრიდან ერთი მოიგო და ასპარეზობას დამამშვიდებელი ეტაპიდან დღეს განაგრძობს.

პირველ მატჩში ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც ტურნირზე მე-14 ნომრად არიან განთესილი, ახალზელანდიურ დუეტ **პიტმან-ლოჰედს** ორ სეტში მოუგეს - 21:16, 21:18. მერე კი გეორ-გია გაცილებით ძლიერ, მესამე ნომრად განთესილ წყვილ **ბრინკ-რეკერმანთან** დამარცხდა - 1:2 (21:17, 22:24, 11:15).

დღეს ჩვენი ფრენბურთელების მეტოქე მე-13 ნომრად განთესილი ბრაზილიური დუეტი **ჰარლი-ტიაგო** იქნება. დღესვე ჩაებმება ასპარეზობაში ქალთა ტურნირში **საქა-რთველო**, რომელიც მე-19 ნომრადაა განთესილი. პირველი მეტოქე მე-14 ნომრად განთესილი შვეიცარიული დუეტი **კუნი-ცმუკერია**.




**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი NBA-ში



ზაზა და ჯამალ კროუფორდი

# ZZZZZAZA

## კროუფორდი: ზაზას იმედი მოედანზეც გვაქვს და მის მიღმაც

„ატლანტა ჰოქსის“ ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა სტატია **ზაზა ფაჩულიას** შესახებ, რომელსაც ერთსიტყვიანი სათაური აქვს: **ZZZZZAZA**. პუბლიკაციის ავტორია **ჯო კუპერი**.

„ზაზა კარგი ბიჭია. ძალიან უყვარს მეტოქე ცენტრებთან სიახლოვე. მეურვეობისას არავის ერიდება, ახლოს ეთამაშება, რასაც ზოგჯერ მოწინააღმდეგეები მწყობრიდან გამოჰყავს. თუმცა ეს კალათბურთის ნაწილია.

- ვცდილობ კარგად ვითამაშო, გუნდს ენერგია შევმატო, - ამბობს ფაჩულია, რომელიც NBA-ში მერვე წელს ატარებს. აქედან 6 სეზონი „ატლანტა ჰოქსს“ შეალია.

წლევანდელი პლეი ოფისას **დუაით ჰოვარდი** შეუერთდა იმ კალათბურთელების სიას, რომლებსაც ქართველი გულზე არ ეხატებათ. არც ბოსტონელ **კევინ გარნეტს** სიამოვნებს ზაზას წინააღმდეგ თამაში...

- როცა გასახდელში ფაჩულიას გვერდზე ვზივარ, იგი კანქვეშ მიძვრება - შეუძლია თანაგუნდელზე დადებითი კუთხით იმოქმედოს, რასაც თამაშისას კარგი შედეგი მოაქვს, - ღიმილით ამბობს **მერვინ უილიამსი**.

- ზაზა ევროპელია. ალბათ ამიტომაც აქვს განსხვავებული ხასიათი, - დასძენს **ჯეისონ კოლინზი**.

უილიამსი განაგრძობს:

- ზაზა ძალისმიერად თამაშობს, რაც მეტოქეებს არ მოსწონთ. იგი მოედანზე ბოლომდე იხარჯება და საკუთარი თამაშით ბევრ მოწინააღმდეგეს განბილებულს ტოვებს.

ისევ კოლინზს მოვუსმინოთ:

- ფაჩულია კარგი აგიტატორია, ხოლო მოედანზე დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებს და როცა იგი ფარქვეშაა, თანაგუნდელებს შეუძლიათ, მშვიდად ითამაშონ ფარიდან მოშორებით, რადგან იციან, სამნამიან ზონაში ქართველი არაფერს დათმობს.

ფაჩულია **ჯონსონი** და **კროუფორდი** არ არის, რომ შორი მანძილიდან უშეცდომოდ ისროლოს, თუმცა არანაკლები დატვირთვა აქვს. განსაკუთრებით დიდი მისია ჰქონდა „ორლანდოს“ წინააღმდეგ მატჩებში - დუაით ჰოვარდის მეურვეობა ევალებოდა.

- პლეი ოფში ყოველგვარი ჩხუბი მიუღებელია, რადგან შეიძლება ამა თუ იმ გუნდს ძვირად დაუჯდეს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პლეი ოფში ემოცია ორმაგდება, თამაშის ინტენსიურობა მატულობს და ზოგჯერ ძნელია ემოციებისგან თავის შეკავება. სწორედ ამიტომ ზაზა ფაჩულია ფანების ფავორიტად იქცა. იგი თამაშში დიდი ენერგიით ერთვება და ზურგს გვიმაგრებს. ზაზას იმედი მოედანზეც გვაქვს და მის მიღმაც, - ამბობს ჯამალ კროუფორდი.

როგორც ჩანს, ფაჩულიას თამაშმა სეზონის შუაში „ატლანტაში“ გადასული **ჰილტონ არმსტრონგიც** მოხიბლა:

- ზაზა ძლიერია, მეტოქეებს სამნამიანიდან დევნის. ამის გამო ზოგი წყობილებიდანაც გამოდის, მაგრამ საბოლოოდ ჩვენი გუნდისთვის სარგებელი მოაქვს. მოხარული ვარ, ასეთ შემადგენლობაში რომ მოვხვდი.

ახლა „ჰოქსის“ მთავარი მწვრთნელის ლარი დრიუს ჯერია:

- ფაჩულიასგან ყოველთვის ველი ფიზიკურად ძლიერ თამაშს, რაც მატჩის რიტმზე მოქმედებს. ზაზა ბინძურად არ თამაშობს, თუმცა არაერთ ფოლს იღებს. შეხვედრის სურათის შესაცვლელად ასეთი კალათბურთელი ყველა გუნდში საჭიროა. მოედანზე შესვლის წინ იცის, მისგან რას ვითხოვ.

ბოლოს ზაზა ფაჩულიას მოვუსმინოთ:

- ზოგიერთ კალათბურთელს ძალისმიერი თამაში არ უყვარს. ამიტომაც ვძვრები მის კანში. პლეი ოფში ყველამ ერთნაირად კარგად უნდა ითამაშოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგს ვერ მივაღწევთ.“

ინტერვიუ ლევან ფაცაციასთან

# უნდა გავათანაბროთ

სეზონის დასაწყისში „სოხუმის“ მწვრთნელმა **ვაჟა კვარაცხელიამ** განაცხადში **ლევან ფაცაცია** შეიყვანა. მაშინ ეს ნაბიჯი შეიძლება ნაჩქარევად გამოჩენილიყო, რადგან კალათბურთელი ამერიკაში სწავლობდა და ზუსტად თავადაც არ იცოდა როდის დაამთავრებდა უნივერსიტეტს. არადა დიპლომის აუღებლად საქართველოში ვერ ჩამოვიდოდა.

საბოლოოდ მწვრთნელის ნაბიჯმა გაამართლა - ფაცაციამ მარტში კოლეჯების ლიგაში „ტროასთან“ ერთად საკალათბურთო სეზონი დაასრულა, აპრილში გამოცდები ჩააბარა და მაისში საქართველოში დიპლომით ჩამოვიდა.

მან სუპერლიგაში პირველი მატჩი შსს-ს წინააღმდეგ ითამაშა. 1988 წელს დაბადებულ კალათბურთელს მართალია, აკლიმატიზაცია ჯერ ვერ მოესწრო, მაგრამ სასარგებლო იყო და მეორე ტაიმში მწვრთნელს არ შეუცვლია - შსს-ს მთავარ სნაიპერ **ბესიკ ლეჟავას** მიამაგრა.

მატჩის შემდეგ ლევანს სპორტის სასახლის დერეფანში გავესაუბრეთ. პირველ რიგში, თამაშის შესახებ ვკითხეთ:

- მოსაგები მატჩი იყო. საჯარიმოები ძალიან ცუდად ვისროლეთ, 17-დან 4 ჩავაგდეთ... მეტოქემ მოხსნებშიც გვაჯობა, ხოლო ბოლო წუთებზე, როცა თითქოს სასწორი ჩვენს მხარეს იხრებოდა, შსს-ელმა გიორგი ნიკოლაძემ ორი სამქულიანი ჩააგდო. საერთოდ, ცუდად არ გვითამაშია, თუმცა იყო ნიუანსები, რომლებიც მომდევნო შეხვედრისთვის აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

**- მაინც რა არის გამოსასწორებელი?**

- ფარქვეშ თამაში უნდა გავაუმჯობესოთ, პერსონალური დაცვა და რა თქმა უნდა, საჯარიმოების პროცენტული მაჩვენებელი.

**- სატყორცნ პოზიციას კარგად ითავისუფლებდი, მაგრამ ბურთი კალათში არ ვარდებოდა. გადამწყვეტ მომენტში ორი საჯარიმოც ააცილე...**

- დამაგვირგვინებელ ფაზაში ნამდვილად უკეთ უნდა მეთამაშა. თუმცა, ჯერ აქაურობასთან შეჩვეული არ ვარ. ამერიკიდან შაბათს ჩამოვფრინდი და დღე-ღამე ჯერაც არეული მაქვს. ვიმედოვნებ, მომდევნო მატჩში უკეთესად გავირჯები და გუნდსაც ნელ-ნელა შევეწყობი.

**- მომდევნო შეხვედრა „სოხუმისთვის“ გადამწყვეტი იქნება...**

- სერიის პირველ მატჩშიც დავინახეთ, რომ შსს-ს ძლევა რეალურია. მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ სერიაში ანგარიში გავათანაბროთ. გპირდებით, ხუთშაბათს უკეთესად ვითამაშებთ.

**- კოლეჯების ლიგისა და საქართველოს ჩემპიონატის კალათბურთი ერთმანეთისგან ალბათ, ბევრად განსხვავდება.**

- იქ უფრო ათლეტური კალათბურთია. ფიზიკურად ყველა ძლიერია. ამასთან, ამერიკაში სწრაფ, მოძრავ კალათბურთს თამაშობენ. საქართველოში სწრაფ ტემპშიც უტევენ, თუმცა პოზიციური თამაშიც ხშირია. მნიშვნელოვანი განსხვავება შეტევისთვის განკუთვნილ დროშია: კოლეჯების ლიგაში თითო გუნდს იერიშისთვის 35 წამი ეძლევა. ამ დროში ერთი შეტევის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში მეორის მშვიდად წამოწყების შანსი ეძლევა. აქ ბურთის ფლობა 24 წამია, რაც 11-ით ნაკლებია კოლეჯისეულ დროზე... ერთიდან მეორეზე სწრაფად გადაწყობა იოლი არ არის.



ლევან ფაცაციამ სოხუმისთვის მოხსნა

# პირველი კალევისაა



ᲛᲣ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში რეგულარული ჩემპიონატი არ დასრულებულა, ესტონეთში უკვე ფინალური სერია გაიხსნა. როგორც ყოველთვის, ამჯერედაც „ტარტუ როკი“ და „კალევი“ ეცილებიან ერთმანეთს ჩემპიონობას.

რეგულარულის ბოლო მატჩში კალეველებმა „როკერები“ დაამარცხეს და ფინალურ სერიაში მოედნის უპირატესობა დაიბევეს. ასე რომ, პირველი მატჩი გუშინ ტალინში გაიმართა. ვინც თანაბარ თამაშს ელოდა, იმედები მხოლოდ პირველ ტაიმში გაუმართლდა - „კალევმა“ საწყისი 20 წუთი 37:31 მოიგო, ხოლო მეორე ნახევარში „როკს“ 20 ქულაზე მეტი არ ჩააგდებინა. 75:51 ტალინელთა სასარგებლოდ.

სხვებთან ერთად სროლის სიზუსტით ვერც „როკერთა“ ქართველი გამთამაშებელი **გიორგი ცინცაძე** გამოირჩა: 3 სამქულიანი, 2 ორქულიანი ისროლა და მატჩი უქულოდ დაასრულა. თუმცა, მწვრთნელი ბოლომდე ენდო, 31 წუთი ათამაშა. გიორგიმ მონაგარში 6-6 მოხსნა-პასი ჩაიწერა. „როკიდან“ ყველაზე მეტი, 13 ქულა **კალისტას ეზიუკვუმ** ჩააგდო.

მომდევნო მატჩი ისევ ტალინში 7 მაისს გაიმართება. ფინალური სერია ოთხ მოგებამდეა.

# შერმადინის 17 ქულა 15 წუთში

სლოვენიის ჩემპიონატში „ოლიმპიას“ „ჰელიოსის“ დამარცხებაში დიდი დახმარება გაუწიეს **გიორგი შერმადინმა** და **ვლადიმერ ბოისამ**. ამაში თავადაც დარწმუნდებით მათი მონაგარის გაცნობის შემდეგ.

გიორგის სტატისტიკა ასეთი იყო: 15 წუთში 17 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება. მან 8-დან 6 ორქულიანი და 5-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. იგი მატჩის ბომბარდირიც გახდა და ყველაზე სასარგებლო კალათბურთელიც - მარგი ქმედების კოეფიციენტმა 21 შეადგინა.

ვლადიმერ ბოისამ 14 წუთში, 10 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. დაგვეთანხმებით, ესეც ეფექტური მონაგარია.

„ოლიმპიას“ კი „ჰელიოსის“ ძლევა არ გასჭირვებია - 96:66.



გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



# ლელო წარმოგიდგენთ
# ქართული სპორტის ქრონიკა

## მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან



### გალინა შარაბიძე (მინაიჩევა)

დაიბადა 29. 12. 1929, მოსკოვი (რუსეთი). სპორტული ტანვარჯიში. 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, მეორე და მესამე პრიზიორი საგნით ჯგუფურ ვარჯიშსა და ბჯენით ხტომებში, მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში და მეორე პრიზიორი საგნით ჯგუფურ ვარჯიშში (1954), სსრკ ჩემპიონი დვირზე ვარჯიშში (1953), საერთაშორისო ტურნირებში მრავალგზის გამარჯვებული. 1953 წლამდე გამოდიოდა მოსკოვის სახელით. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი.

## თარიღი 5-11 მაისი

05. 1943 წ. დაიბადა **მურთაზ ხურცილავა** - ფეხბურთი
07. 1970 წ. დაიბადა **არჩილ ლორთქიფანიძე** - ფარიკაობა
07. 1939 წ. დაიბადა **ჯემალ ცერცვაძე** - ხელბურთი
08. 1976 წ. დაიბადა **ვლადიმერ სტეფანია** - კალათბურთი
09. 1947 წ. დაიბადა **ოთარ ტატიშვილი** - ბ/რ ჭიდაობა
09. 1928 წ. დაიბადა **ბიძინა მაზიაშვილი** - ძიუდო. გარდაიცვალა 2004 წელს
10. 1923 წ. დაიბადა **ოთარ ქორქია** - კალათბურთი. გარდაიცვალა 2005 წელს
10. 1945 წ. დაიბადა **მურმან ქურიძე** - კალათბურთი, მსაჯი
10. 1972 წ. დაიბადა **გიორგი ნემსაძე** - ფეხბურთი
11. 1937 წ. დაიბადა **რომა გიუტაშვილი** - ალპინიზმი


ჯემალ ცერცვაძე

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

**1. სად დაიწყეს პირველად ამპლუის მიხედვით 3-3 საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა საბჭოთა კავშირში?**
ა — მოსკოვში
ბ — კიევში
გ — თბილისში

**2. ევროპის ჩემპიონი ვაჟ ფრენბურთელთა შორის ოთხჯერ გახდა საქართველოს სპორტსმენი. ვინ იყო იგი?**
ა — გივი ახვლედიანი
ბ — ვლადიმერ დოროხოვი
გ — ვაჟა კაჭარავა

**3. რამდენი ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთელი ჰყავს საქართველოს?**
ა — ერთი
ბ — სამი
გ — არც ერთი

**4. რამდენმა ქართველმა იასპარეზა 4-4-ჯერ ოლიმპიურ თამაშებში?**
ა — ორმა
ბ — სამმა
გ — ოთხმა

**5. საქართველოდან ქალთა შორის ორჯერ ვინ გახდა ევროპის ჩემპიონი სათამაშო სახეობებში?**
ა — ცისანა აბუაშვილი
ბ — ალისა ასიტაშვილი
გ — ვიქტორია რავა

## დროება წერდა

„ყეენობის შემდეგ, ქიზიყის სოფელ მ-ში „გამოიყვანეს ფალავნები, უყო ხალხმა ადგილი, უნდა გეყურებინათ, როგორ ეძგერნენ ერთმანეთს ეს ჩვენი ფალავნები. იმათი თავების რახა-რუხის და დალალულობით ქშენა ზარბაზნის ხმასავით გამოდიოდა. ბოლო დროს დასძლია მეორე პარტიის ფალავანმა; შეიქმნა ერთი ყვირილი, ერთი ტაშის კვრა და გამარჯვებულს ფალავანს თავისი პარტია სულ ჰაერში ისროდა და აქებდა...

შემდეგ გაიმართა საშინელი კრივი ორივე პარტიას შორის. თუმცა ამ დღეს უწყალოდ სცემდნენ და ლანძღავდნენ ერთმანეთს ღვინისაგან გაბრუშებულები, მაგრამ მეორე დღეს კი ერთმანეთს ძმურად ხელს ართმევდნენ და ესიყვარულებოდნენ. ისინი ლოცავდნენ ამ ბედნიერ დღეს, რომ კარგად დროება გაატარეს".

მიხეილ გავაშელოვი, ქიზიყიდამ. „დროება", 1876, №24, 7. 3. გვ. 3.

## შეკითხვა ლელოს...

**შეკითხვა:** გთხოვთ გაგვიმარტოთ, რატომ აქვს ზოგს მინიჭებული „საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის", ზოგს კიდევ „სპორტის დამსახურებული მუშაკის " წოდება. თუ სხვადასხვაა, რა განსხვავებაა?

**დავით კალანდაძე**
თბილისი

**პასუხი:** საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება დაწესდა 1961 წლის 14 აგვისტოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით. ეს წოდება პირველებს მიენიჭათ **ალექსანდრე აბზიანიძეს, შოთა ახვლედიანს, მიხეილ გორგაძეს, ლევ გოლოვნიას, მზია ერისთავს, გიორგი ჩიკვაიძესა** და **მიხეილ ცხვედაძეს.** წოდების მინიჭება შეწყდა 1990 წელს. საქართველოს სპორტკომიტეტის 1993 წლის 21 ივნისის დადგენილებით დაწესდა „საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის" წოდება, რაც ქართულ სპორტში შეტანილი ღვაწლისთვის ენიჭებათ ამჟამადაც. ასე რომ, წოდებაში ბოლო სიტყვა შეიცვალა მხოლოდ.

## შეხვედრა წარსულთან...


1956 წელი. საქართველოს დელეგაცია I სპარტაკიადის ალლუმზე

### სპარტაკიადები და საქართველო

სპარტაკიადა კომპლექსური მასობრივი სპორტული შეჯიბრებაა. სახელი ეწოდა ძველ რომში მონათა აჯანყების ბელადის, სპარტაკის სახელის მიხედვით. იმართებოდა საბჭოთა კავშირსა და ე.წ. სოცბანაკის ქვეყნებში, როგორც კაპიტალისტურ სამყაროში გავრცელებული ტურნირების ალტერნატიული ასპარეზობა. სსრკ-ში ტარდებოდა სსრკ შეიარაღებული ძალების (1923 წლიდან), სსრკ პროფკავშირების (1932-იდან), სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს (1933-იდან), მოსწავლეთა საკავშირო (1954-იდან) და სსრ კავშირის ხალხთა (1956-იდან ზაფხულის, 1962-იდან - ზამთრის) სპარტაკიადები. ხალხთა სპარტაკიადას წინ უსწრებდა პირველ საკავშირო სპარტაკიადად წოდებული ასპარეზობა სპორტის 21 სახეობაში, რომელიც მოსკოვში გაიმართა 1928 წელს. მონაწილეობდა 7 ათასზე მეტი საბჭოთა სპორტსმენი, აგრეთვე 17 ქვეყნის (ავსტრია, გერმანია, უნგრეთი, პოლონეთი, საფრანგეთი, ნორვეგია და სხვ.) მუშათა სპორტული ორგანიზაციების 600-მდე წარმომადგენელი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციამ, II ადგილი დაიკავეს უკრაინელებმა, III - ბელარუსებმა. საქართველოს სპორტსმენები აზერბაიჯანელებთან და სომხებთან ერთად ამიერკავკასიის ფედერაციის გაერთიანებულ გუნდში შედიოდნენ (V ადგილი).

მას შემდეგ, რაც სსრკ ოლიმპიურ თამაშებში ჩაერთო (1952-იდან), გადაწყდა, სპარტაკიადები რეგულარულად გამართულიყო. 1956-1986 წლებში ჩატარდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხრა ზაფხულის სპარტაკიადა (სსრ კავშირში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო, 1991 წლის X სპარტაკიადა დაუმთავრებელი დარჩა. საქართველოდან მხოლოდ ძიუდოისტთა ნაკრები გამოვიდა და გუნდური პირველი ადგილი დაიკავა). სულ საქართველოს სპორტსმენებმა სპარტაკიადებში მოიპოვეს 98 ოქროს, 96 ვერცხლისა და 120 ბრინჯაოს მედალი.

სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადის ჩემპიონები იყვნენ: **კობა წაქაძე** (1962, ტრამპლინიდან ხტომა), **იბრაჰიმ ჯანგობეკოვი** (1962, სპეციალური სლალომი), **მიხეილ გავა** (1974, ტრამპლინიდან ხტომა) და **კახა წაქაძე** (1990, ტრამპლინიდან ხტომა).

### საბჭოთა კავშირის ხალხთა საზაფხულო სპარტაკიადები და გუნდური ადგილები

| რესპუბლიკა | 1956 | 1959 | 1963 | 1967 | 1971 | 1975 | 1979 | 1983 | 1986 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რსფსრ (მოსკოვი) | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 3 |
| 2. უკრაინის სსრ | 4 | 4 | 2 | 3 | 3 | 3 | 2 | 2 | 2 |
| 3. რსფსრ (ოლქი, მხარე, ავტ.) | 2 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 4. რსფსრ (ლენინგრადი) | 3 | 3 | 4 | 4 | 5 | 4 | 5 | 4 | 5 |
| 5. ბელორუსიის სსრ | 7 | 6 | 6 | 7 | 4 | 5 | 4 | 5 | 4 |
| 6. საქართველოს სსრ | 5 | 5 | 5 | 5 | 6 | 7 | 8 | 10 | 7 |
| 7. ლიტვის სსრ | 12 | 12 | 7 | 9 | 10 | 10 | 10 | 8 | 9 |
| 8. ესტონეთის სსრ | 6 | 7 | 8 | 12 | 9 | 12 | 13 | 14 | 12 |
| 9. აზერბაიჯანის სსრ | 10 | 9 | 9 | 11 | 13 | 13 | 14 | 13 | 14 |
| 10. ლატვიის სსრ | 8 | 8 | 10 | 8 | 8 | 8 | 9 | 9 | 10 |
| 11. უზბეკეთის სსრ | 11 | 13 | 11 | 10 | 11 | 9 | 7 | 7 | 8 |
| 12. ყაზახეთის სსრ | 13 | 11 | 12 | 6 | 7 | 6 | 6 | 6 | 6 |
| 13. სომხეთის სსრ | 9 | 10 | 13 | 13 | 12 | 14 | 12 | 11 | 13 |
| 14. მოლდავეთის სსრ | 14 | 15 | 14 | 14 | 14 | 11 | 11 | 12 | 11 |
| 15. ყირგიზეთის სსრ | 17 | 16 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 16 |
| 16. ტაჯიკეთის სსრ | 18 | 14 | 16 | 17 | 16 | 16 | 16 | 16 | 15 |
| 17. თურქმენეთის სსრ | 15 | 17 | 17 | 16 | 17 | 17 | 17 | 17 | 17 |

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბ "ვიტესის" პრეზიდენტი; 6. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი 1936 წელს; 8. თბილისის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი, ფირუზ...; 9. უმაღლესი შედეგი; 10. სატანვარჯიშო იარაღი; 11. საერთაშორისო კატეგორიის ქართველი არბიტრი კრივში; 13. ნიჩბოსნობაში დისტანციების მოსანიშნი ფიგურა; 14. მთიდან დაშვებული თოვლის მასა, რომელიც ალპინისტებს საშიშროებას უქმნის; 15. წარსულში ცნობილი სოხუმელი მძლეოსანი ... გუმბა; 16. მოჭადრაკე ძაგნიძე...; 18. თბილისელი ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში; 20. "ოლიმპის" სტადიონის სახელი; 21. ჭადრაკში პირველი ქართველი დიდოსტატი ვაჟი; 23. ძიუდოისტის ქურთუკი; 24. ცხენის მოხდენილად, გოგმანით სიარული; 25. კურორტი ბორჯომში; 26. ძიუდოისტი..... ხერგიანი; 27. გაუმჯობესებული მშვილდისარი.

**შვეულად:** 1. პროფესიონალი მხედარი; 2. სავარჯიშო პროცესი საბრძოლო ხელოვნების სხვადასხვა სახეობაში; 3. ფეხბურთელის სხვა კლუბში დროებით განათხოვრება; 4. თბილისის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი, გელა...; 5. სფფ-ის პრეზიდენტი; 6. არმიის საკალათბურთო გუნდის უკანახაზელი; 7. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი; 12. საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელი; 13. მხატვრულ ტანვარჯიშში შეფასების დამატება ვირტუოზული ან სარისკო ვარჯიშის შესრულებისათვის; 15. მოკრივის მწვრთნელი ან მისი დამხმარე მატჩის მსვლელობის დროს; 17. ცხენოსნობაში: ქალის გრძელი სპეციალური კაბა; 18. ფეხბურთის ქართველი გვერდითი მსაჯი; 19. ყველაზე გრძელი დისტანცია მძლეოსნობაში; 22. დიდი ძალის მქონე, ღონიერი.

**შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ**

## ფოტომატიანე


მარცხნიდან: გრიგოლ გაგუა, სერგო კოტრიკაძე და სლავა მეტრეველი

**გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით**

საქართველოს ჩემპიონატი

# ლოკომოტივი-აია, ღონე და ხერხი


გურამ თოლუნჯაშვილის ფოტო
აკადემია-აია

საქართველოს ჩემპიონატში დღეს IV ტურის შეხვედრები გაიმართება. სამი ტურის შემდეგ დაუმარცხებელი მხოლოდ ერთია ქუთაისის „აია“. აქამდე გამართული შეხვედრებით თუ ვიმსჯელებთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკვე გამოიკვეთა ის ოთხი გუნდი, რომლებიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ. ესენია: „აია“, „ლელო“, „ლოკომოტივი“ და დებიუტანტი „არმია“.

გამოკვეთილი აუტსაიდერის დასახელება, ცხადია, ჯერ ადრეა. ბოლო წლების საქართველოს ერთ-ერთმა წამყვანმა გუნდმა თბილისის „ყოჩებმა“ სამი თამაშიდან სამივე წააგო და სატურნირო ცხრილის ფსკერზე იმყოფება. ის ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჯერ არ მოუგია.

„ყოჩებს“ IV ტურში ურთულესი თამაში ელის საქართველოს თასის მფლობელ „ლელოსთან“. **ლევან მგელაძის** გუნდი სეზონის დაწყებამდე რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, საპირწონე შევსება კი ვერ მიიღო და საკმაოდ სერიოზულ კრიზისს განიცდის.

III ტურის მატჩში „ყოჩებმა“, მისთვის დამახასიათებელი ბრძოლისუნარიანობის წყალობით, ქვეყნის ჩემპიონ „ლოკომოტივს“ წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ნახევარში გაუწია, მაგრამ ბოლომდე საბრძოლველად ძალა არ ეყო და რკინიგზელთა მძიმე და მობილურ შერკინებასთან ვერას გახდა.

„ლელოს“ მორკინალებთან ერთად, უკანახაზელებიც კარგი მობურთალეები ჰყავს. ხელდახელ სწრაფი თამაშით ეს გუნდი ყველასგან გამოირჩევა და ხშირ შემთხვევაში, წარმატებასაც ამის ხარჯზე აღწევს. „ყოჩებს“ პირველი გამარჯვების მოსაპოვებლად უდიდესი ძალისხმევა დასჭირდება. საამისოდ მგელაძის სამწყსო თანაბრად ყურადღებით უნდა გაისარჯოს როგორც შერკინებაში, ისე უკანა ხაზში ღია თამაშისას.

„ლელოსა“ და „ყოჩების“ მატჩი დიდ დიღომში „ვისოლის“ სარაგბო სტადიონზე გაიმართება.

ტურის ცენტრალური შეხვედრა კი „ავჭალის“ სარაგბო სტადიონზე ჩატარდება. საქართველოს ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი“ გათამაშების ლიდერ ქუთაისის „აიას“ დაუპირისპირდება.

ქუთათურებმა, როგორც უკვე ვთქვით, სამი თამაშიდან სამივე მოიგეს, მაგრამ მათ მიერ ძლეული სამივე გუნდი სატურნირო ცხრილის მეორე ნახევრის ბინადარია და არც ერთი მათგანი ფავორიტად არ მოიაზრება. „აიას“ პირველი და საკმაოდ ძნელი გამოცდის ჩაბარება დღეს მოუწევს.

ქუთაისური გუნდი, შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთია საქართველოში, რომელიც თანაბრად კარგადაა დაკომპლექტებული ყველა რგოლში. შერკინება „აიას“ ტრადიციულად მძლავრი ჰყავს. უკანა ხაზის თამაში კი საფრანგეთიდან დაბრუნებულმა, საქართველოს ნაკრების შუამარბმა **ირაკლი გიორგაძემ** კიდევ უფრო ეფექტური და შედეგიანი გახადა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ „აიას“ ღირსებას „ბორჯღალოსანთა“ კიდევ ორი უკანახაზელი იცავს, შუამარბი **ირაკლი ჩხიკვაძე** და გუნდის მოთამაშე მწვრთნელი, ფულბეკი **ბესიკ ხამაშურიძე**. მსგავსი სიძლიერის მოთამაშეებით ჩვენში ბევრი ვერ დაიკვეხნის.

შარშანდელთან შედარებით, „აია“ გაცილებით უკეთ ირჯება დაცვაში თამაშისას. ქუთათურებმა სამ თამაშში მეტოქეებს მხოლოდ 19 ქულა გაატანეს (საშუალოდ თამაშში 6,333 ქულა), თვითონ კი 92 ქულის მოგროვება შეძლეს (საშუალოდ თამაშში 30,666 ქულა). „ლოკომოტივთან“ მატჩი ყველა დანარჩენისგან რადიკალურად განსხვავებული იქნება და ამ შეხვედრაში გამოჩნდება, რეალურად რისი ძალა შესწევს „აიას“.

„ლოკომოტივმა“, როგორც უკვე ვთქვით, წინა ტურში „ყოჩები“ დაამარცხა, მანამდე კი ორი ფავორიტიდან ერთთან (ლელოსთან) წააგო, ხოლო მეორეს (არმიას) ურთულეს ბრძოლაში მოუგო. რკინიგზელებს ახლა კიდევ ერთ კონკურენტთან მოუწევთ ძალის მოსინჯვა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს ჩემპიონი უპირატესობას შერკინებით თამაშს ანიჭებს. „აილე, მიეძალე“ რკინიგზელთა სათამაშო სტილია, რომელსაც არაფრით ღალატობენ. ამ ხერხს წარმატება ხშირად მოუტანია, მაგრამ ყოველთვის არა. საკმარისია, მათ თავს ღია თამაში მოახვიო, რომ სერიოზული პრობლემები ექმნებათ. ასე იყო თუნდაც „ლელოსთან“ მე-2 ტურში წაგებულ მატჩში.

ერთი სიტყვით, „ავჭალის“ სარაგბო სტადიონზე ორი ერთმანეთისგან განსხვავებული, საინტერესო გუნდის ორთაბრძოლაა მოსალოდნელი.

არანაკლებ დაძაბული და საინტერესო თამაში გაიმართება „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“, სადაც „არმაზი“ რუსთავის „ხარებს“ უმასპინძლებს.

ისე მოხდა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ეს გუნდები როგორც პირველ, ისე უმაღლეს ლიგაში ერთმანეთის ძირითადი კონკურენტები არიან. ასეთმა, თუ შეიძლება ითქვას, გაუთავებელმა კონკურენციამ, მათ შორის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბა და შარშანდელ ჩემპიონატში შეხვედრა გუნდური ჩხუბის გამო ჩაიშალა. რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა „არმაზიც“ და „ხარებიც“ უკანასკნელად გააფრთხილა. ინციდენტის გამეორების შემთხვევაში ორივე გუნდი ავტომატურად დატოვებს უმაღლეს ლიგას.

„არმაზმაც“ და ხარებმაც“ მიმდინარე გათამაშებაში თითო-თითო გამარჯვება მოიპოვეს. პირველმა მე-2 ტურში „ყოჩებს“ მოუგო, მეორემ კი წინა ტურში შინ დაამარცხა თბილისის „აკადემია“.

რუსთაველები შარშანდელთან შედარებით ოდნავ სუსტად გამოიყურებიან, თუმცა, იმედია, ახალწვეულები, გამოცდილი მოთამაშეები **პალიკო ჯიმშელაძე** და **კახაბერ უჩავა** გუნდს მალე გაუშინაურდებიან. „ხარებს“ აკადემიელებთან გამარჯვება ხომ სწორედ ჯიმშელაძის შესანიშნავმა თამაშმა მოუტანა.

ტურის კიდევ ერთ, მეოთხე მატჩში გათამაშების დებიუტანტი „არმია“ თბილისის „აკადემიას“ დაუპირისპირდება. არმიელებმა წინა ტურში მთავარ კონკურენტ „ლელოს“ მოუგეს, რითაც თავიანთი საჩემპიონო ამბიციების საფუძვლიანობა დაამტკიცეს.

„აკადემიამ“ პირველ ტურში „ყოჩებთან“ გამარჯვების შემდეგ, ზედიზედ ორი თამაში წააგო. აკადემიელებმა მთავარი პრობლემა, მოკლე სათადარიგო სკამი, აღმოფხვრეს, მაგრამ გუნდის თამაშს სტაბილურობა აკლია. თუ ამის მიღწევაც შეძლეს, გამორიცხული არ არის, პლეი ოფშიც გააღწიონ. იქამდე კი, ჯერ „არმიას“ დამარცხება მართებთ.

**IV ტური**

ლოკომოტივი-აია, ლელო-ყოჩები, არმაზი-ხარები, არმია-აკადემია

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 3 | 3 | 0 | 0 | +73 | 6 |
| 2.ლელო | 3 | 2 | 0 | 1 | +30 | 4 |
| 3.ლოკ. | 3 | 2 | 0 | 1 | +18 | 4 |
| 4.არმია | 3 | 2 | 0 | 1 | -2 | 4 |
| 5.არმზი | 3 | 1 | 0 | 2 | -28 | 2 |
| 6.ხარები | 3 | 1 | 0 | 2 | -38 | 2 |
| 7.აკად. | 3 | 1 | 0 | 2 | -17 | 2 |
| 8.ყოჩები | 3 | 0 | 0 | 3 | -36 | 0 |


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო
არმია-ლელო

შვიდკაცა რაგბი

ASSOCIATION EUROPÉENNE RUGBY

# ვაჟები გრან პრიზე, ქალები მესამე დივიზიონში

შვიდკაცა რაგბის ევროპის სერია წლეულს შეცვლილი ფორმატით ჩატარდება. გუნდები სამ სხვადასხვა დონის დივიზიონად დაყვეს და ერთმანეთს რამდენიმე ეტაპზე დაუპირისპირდებიან.

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები ელიტურ დივიზიონშია და გრან პრის სერიაში იასპარეზებს. პირველი ეტაპი 18-19 ივნისს საფრანგეთის ქალაქ ლიონში გაიმართება. აქ 12 გუნდი ორ ჯგუფშია განაწილებული. „შვიდკაცა ბორჯღალოსნები“ A ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მას მეტოქეობას პორტუგალიის, ესპანეთის, რუმინეთის, უკრაინისა და ჰოლანდიის ნაკრებები გაუწევენ.

B ჯგუფი ბევრად უფრო სოლიდური გამოვიდა - აქ საფრანგეთის, რუსეთის, ინგლისის, უელსის, იტალიისა და მოლდოვას შვიდკაცა რაგბის ნაკრებები იასპარეზებენ.

**18-19 ივნისი**

**ლიონი, საფრანგეთი**

**A ჯგუფი**

**პორტუგალია, ესპანეთი, საქართველო, რუმინეთი, უკრაინა, ჰოლანდია.**

**B ჯგუფი**

**საფრანგეთი, რუსეთი, ინგლისი, უელსი, იტალია, მოლდოვა.**

არაფერი შეცვლილა ქალთა შვიდკაცა რაგბის სერიაში. ზემოთ აღნიშნული სისტემა აქ დიდი ხანია, მოქმედებს. საქართველოს ქალთა შვიდკაცა რაგბის ნაკრები მესამე დივიზიონში თამაშობს და ნაჩვენებ შედეგს ყოველ წელიწადს აუმჯობესებს.

ჩვენი მორაგბეები 4-5 ივნისს უნგრეთის ქალაქ ზანკაში იასპარეზებენ და მეორე დივიზიონში გადასვლისთვის იბრძოლებენ. აქ ათი გუნდი ორ ჯგუფშია განაწილებული. საქართველოს ნაკრები B ჯგუფში პოლონეთის, ლუქსემბურგის, ბოსნიისა და ბარბაროსების გუნდებს გაეჯიბრება.

A ჯგუფში უნგრეთის, ლიტვის, დანიის, სლოვენიისა და სერბეთის ნაკრებები ითამაშებენ.

**4-5 ივნისი**

**უნგრეთი, ზანკა**

**A ჯგუფი**

**უნგრეთი, ლიტვა, დანია, სლოვენია, სერბეთი**

**B ჯგუფი**

**პოლონეთი, საქართველო, ლუქსემბურგი, ბოსნია, ბარბაროსები.**

ლეგიონი



# გალტიე, მოტოროლერი და...

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის რეგულარული გათამაშების ბოლო ტურში ყველაზე დიდ ინტერესს **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძის, მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიესა“ და **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონის“ დაპირისპირება ინვევს.

ამ შეხვედრაში გამარჯვებული პლეი ოფში გადის, დამარცხებულს კი მთელი წლის განმავლობაში გაწეული შრომა და გარჯა წყალში ჩაეყრება. მატჩამდე სამი დღით ადრე ვითარება უკვე მაქსიმალურად დაძაბულია. „მონპელიეს“ თავკაცმა **ფაბიენ გალტიემ** პრესკონფერენცია გამართა, სადაც ნერვული ატმოსფეროს მიუხედავად, იუმორის გრძნობის შენარჩუნება შეძლო.

გალტიე ჟურნალისტებს ღია ცის ქვეშ, იმ მოტოროლერზე ამხედრებული ესაუბრა, რომელიც ბოლო დღეებში მედიაში მისი დაცინვის საგანი გახდა.

*„მზად ვარ, ფსონად ჩემს მოტოროლერს ჩამოვიდე. „ტულონთან“ თუ წავაგე, ის მათი იყოს“* - თქვა გალტიემ.

ყველაფერი კი „ტულონის“ მულტიმილიონერი პრეზიდენტის **მურად ბურჯელალის** ოხუნჯობით დაიწყო. მან მისთვის ჩვეულ ხერხს, მედიის საშუალებით ფსიქოლოგიური ზეწოლის მეთოდს მიმართა. გალტიეს მოტოროლერის გამო დასცინა და მის გუნდს შეადარა.

*„არ მესმის, გალტიე მოტოროლერს ფსონში რატომ ჩამოვიდა. ვის რაში სჭირდება ის. არადა, მონპელიეში აუცილებლად მოვიგებთ და მოტორელერით ტულონში დაბრუნებას ძალიან დიდ დროს მოვანდომებთ“*- თქვა ბურჯელალმა.

მიუხედავად იმისა, რომ „მონპელიემ“ ზედიზედ სამი თამაში წააგო და პლეი ოფში გასვლა უკიდურესად გაირთულა, გალტიე მაინც იმედიანადაა.

*„ტულონთან“ მატჩი ჩვენთვის მერვედფინალია. მოვიგებთ და მეოთხედფინალში ვიქნებით. ცხადია, ეს იოლი არ იქნება, რადგან მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვეთამაშებით.“*

„მონპელიეს“ ძირითად შემადგენლობაში, სავარაუდოდ, ორი ქართველი - მამუკა გორგოძე და გიორგი ჟღენტი ითამაშებს. „ტულონელთა“ რიგებში ძირითადი პირველხაზელი დავით ქუბრიაშვილია. მასპინძელთა გუნდს ტრავმის მოშუშების შემდეგ დაუბრუნდა კაპიტანი **ფულენსე უოდრაოგო**, ხოლო „ტულონს“ - უელსელი **გევინ ჰენსონი**.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

# გრიფინი საუკეთესო ახალბედაა




ბლეიკ გრიფინი

ტელეკომპანია ESPN-მა სეზონის კიდევ ერთი ლაურეატის ვინაობა გაარკვია. თუ მის ჟურნალისტებს დავუჯერებთ, წელს რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო დებიუტანტის პრიზი „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ მძიმე ფორვარდს **ბლეიკ გრიფინს** გადაეცემა.

შეგახსენებთ, რომ გრიფინი 2009 წლის დრაფტზე აიყვანეს პირველ ნომრად, მაგრამ ტრავმის გამო გამოტოვა 2009-10 წლების სეზონი და მხოლოდ წელს შედგა მისი NBA-ში დებიუტი.

წელს გრიფინი ექვსჯერ აღიარეს თვის საუკეთესო ახალბედად. ბოლოს ასეთი შედეგი 2005-06 წლების სეზონში „ნიუ ორლეანის“ გამთამაშებელ **კრის პოლს** ჰქონდა.

გასულ რეგულარულში „კლიპერსის“ დებიუტანტის მონაგარი 22.5 ქულას, 12.1 მოხსნასა და 3.8 შედეგიან პასს შეადგენდა.

კრივი



მეივეზერი სასამართლოზე

# ფლოიდი რეიტინგიდან გააძევეს

პირველ მაისს ზუსტად ერთი წელი გავიდა ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერის** ბოლო ბრძოლიდან. მაშინ პროფესიულ კრივში დაუმარცხებელმა მოკრივემ ქულებით დამაჯერებლად დაამარცხა **შეინ მოზლი**. დღევანდელ დღემდე, მეივეზერი მეორე ადგილს იკავებდა საყოველთაო რეიტინგში (წონის გაუთვალისწინებლად), რომელსაც ყველაზე ავტორიტეტული ჟურნალი The Ring ადგენს. ამ კლასიფიკაციას pound-for-pound ან შემოკლებით p4p ჰქვია.

ხუთ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი არც ცდილობს დიდ კრივში დაბრუნებას. მისი მხრიდან არ ყოფილა პოტენციურ მეტოქეებთან მოლაპარაკებების მცდელობა. The Ring-ის სარეიტინგო პოლიტიკიდან გამომდინარე, მოკრივე, რომელიც ერთი წელი უმოქმედოდაა, გამოირიცხება ყველანაირი რეიტინგიდან. სწორედ ასე დაემართა 34 წლის მეივეზერს.

ამერიკელი The Ring-ის კლასიფიკაციაში ზედიზედ 84 კვირა ირიცხებოდა - იმ მომენტიდან მოყოლებული, როცა 2009 წლის სექტემბერში ქულებით დაამარცხა **ხუან მანუელ მარკესი**. ამ მოგებით ფლოიდი p4p-ის რეიტინგის მეორე ადგილზე აღმოჩნდა, შეინ მოზლის დამარცხების შემდეგ კი **მენი პაკიაოს** გაუსწრო და ლიდერი გახდა. მაგრამ მოგვიანებით ფილიპინელმა **ანტონიო მარგარიტოს** მოუგო და ისევ პირველ პოზიციაზე აღმოჩნდა.

პაკიაოსა და მეივეზერის ჩხუბი ყველა გულშემატკივრის ოცნებაა, მაგრამ უახლოეს ორ წელიწადში მისი ორგანიზების შანსი ძალიან დაბალია. მიზეზი შეიძლება ის არის, რომ ფლოიდ მეივეზერის მომავალი, ისევე როგორც მისი თავისუფლება, გაურკვეველი რჩება. ამერიკელი მოკრივე რამდენიმე დანაშაულშია ეჭვმიტანილი. მისი სასამართლო პროცესი ორჯერ გადაიდო და ახლა მოსმენა პირველი სექტემბრისთვის არის დანიშნული.

მეივეზერის რეიტინგიდან ამოშლის შემდეგ, p4p-ის კლასიფიკაციის პირველი ათეული ასე გამოიყურება:

1. მენი პაკიაო
2. სერხიო მარტინესი
3. ნონიტო დონერი
4. ხუან მანუელ მარკესი
5. პონგსაკლეკ ვონჯონგკამი
6. ვლადიმერ კლიჩკო
7. ტიმოტი ბრედლი
8. ჯოვანი სეგურა
9. ანდრე უორდი
10. მიგელ კოტო

ამბები

კალათბურთი

## პორტლენდი ინვალიდს იტოვებს

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ხელმძღვანელობა ცენტრალურ თავდამსხმელთან **გრეგ ოდენთან** კონტრაქტის გახანგრძლივების შესაძლებლობას განიხილავს. კალათბურთელის მიმდინარე ხელშეკრულება ამ ზაფხულს იწურება.

თუ „პორტლენდი“ ამ ნაბიჯს გადადგამს, მაშინ ოდენი მომავალ სეზონში 8.8 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს, 2012 წელს კი შეუზღუდავი თავისუფალი აგენტი გახდება.

ოდენი ხუთი წელია NBA-ში თამაშობს, თუმცა მუხლის ქრონიკული ტრავმების გამო სრულფასოვანი სეზონი არასოდეს ჩაუტარებია, ორი რეგულარული ჩემპიონატი კი მთლიანად გაუცდა.

ტანვარჯიში

## ჩემპიონი ბრუნდება

ათენის ოლიმპიური თამაშების გმირი, რუმინელი **კატალინა პონორი** დიდ სპორტში დაბრუნებას აპირებს. ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციამ უკვე მისცა რუმინელს ოფიციალურ ტურნირებზე გამოსვლის უფლება და სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს 2011 წლის 1-ლი ოქტომბრიდან შეეძლება კარიერის განახლება. მანამდე პონორს სავალდებულო დოპინგტესტების გავლა მოუწევს.

ასე რომ, რუმინელი, რომელსაც 20 აგვისტოს 24 წელი უსრულდება, ოქტომბერში იაპონიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

ათენში პონორმა ოქროს მედლები მოიპოვა თავისუფალ ვარჯიშში, დვირზე გამოსვლასა და გუნდურ ტურნირში. ის ერთადერთი ტანმოვარჯიშე იყო იმ ოლიმპიადაზე, ვინც სამჯერ შეძლო პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ასვლა.

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# ბოსტონი განწირულია?

**„მაიამის“ „დიდი ტრიოს“ 80-მა ქულამ, ცხრა დაფარებამ და 14:0 სპურტმა „ჰიტს“ მეორედ მოაგებინა „ბოსტონთან“ სერიაში. სტატისტიკა ამტკიცებს, რომ „სელტიქსს“ გადარჩენის მცირე შანსი აქვს.**



ლებრონი ბრწყინვალე იყო

აღმოსავლეთი

| მაიამი-ბოსტონი | 102:91 |
| --- | --- |

27:26, 20:16, 25:25, 30:24

**მ:** ჯეიმსი (35+7 მოხსნა), უეიდი (28+8 მოხსნა+3 პასი), ბოში (17+11 მოხსნა+4 პასი+2 დაფარება), ბიბი (8+3 პასი+2 დაფარება), ენტონი (6+5 მოხსნა+3 დაფარება), მილერი (3), ჩელმერსი (3), ილგაუსკასი (2).

**ბ:** რონდო (20+12 პასი+6 მოხსნა), გარნეტი (16+6 მოხსნა), პირსი (13+5 მოხსნა), გრინი (11), უესტი (10), ჯ. ო'ნილი (8+9 მოხსნა), ალენი (7+5 მოხსნა), დევისი (6).

**სერია**: 2-0

„მაიამი ჰიტმა“ ისეთი ფორმა აკრიფა, რომ, როგორც ჩანს, მისი შემჩერებელი არავინაა. აგერ უკვე მეორე მატჩია ლიგის საუკეთესო დაცვის მქონე „ბოსტონი“ ვერაფერს უხერხებს **ლებრონ ჯეიმსის, დუეინ უეიდისა** და **კრის ბოშის** „დიდ ტრიოს“.

მეორე შეხვედრა პირველზე გაცილებით დაძაბული გამოვიდა და ბოლო მეოთხედის შუა ნაწილამდე გამარჯვებულის პროგნოზირება თითქმის შეუძლებელი იყო. სამმეოთხედნახევარი გუნდები თითქმის ქულა ქულაში თამაშობდნენ. მაქსიმუმი, რასაც სტუმრებმა მიაღწიეს, მეშვიდე წუთზე **პირსის** სამქულიანის შემდეგ 12:7 წინ გასვლა იყო. მასპინძლების მაქსიმალურმა უპირატესობამ კი 8 ქულა შეადგინა მეორე ტაიმის დასაწყისში.

შესაძლოა, თამაში საფინალო სირენამდე ასევე გაგრძელებულიყო, სტუმრებს ბოლო 12-წუთეულის შუაში შეტევა რომ არ ჩავარდნოდათ. მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე პირსმა ანგარიში გაათანაბრა - 80:80 და ამის შემდეგ **დოკ რივერსის** შეგირდებმა 230 წამის განმავლობაში ერთი ქულის დაგროვებაც ვერ მოახერხეს. ამ დროის განმავლობაში **გლენ დევისმა** მეტრიდან ორი ბურთი ვერ ჩააგდო, **ალენმა** იოლი სამქულიანი ვერ მოათავსა კალათში, **ჯერმეინ ო'ნილს ენტონიმ** დაუფარა, ეს კოშმარი **გარნეტისა** და **რონდოს** საშუალო მანძილიდან აცილებულმა ტყორცნებმა დაასრულეს.

ბუნებრივია, „მაიამი“ ასეთ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. **ჩელმერსმა** შორიდან ჩააგდო, ჯეიმსმა 71 წამში შვიდი ქულა მიითვალა, უეიდმა და ბოშმა კი გადამეტებული უხეშობისთვის დასაჯეს „კელტები“ და საბოლოოდ მასპინძლებს 14:0 სპურტი გამოუვიდათ. დოკ რივერსმა ყველანაირად სცადა თავისი შეგირდების გამოცოცხლება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ბოლოს კი მსაჯებთან კამათისთვის ტექნიკური ჯარიმა მიიღო და ცხადი გახდა, რომ „ბოსტონი“ შეხვედრას ვერ გადაარჩენდა.

„დიდი ტრიოების“ დუელი „მაიამიმ“ მოიგო - 80:36. ალენმა, პირსმა და გარნეტმა ტყორცნების მხოლოდ 39 პროცენტი გამოიყენეს. გარდა ამისა, მასპინძლების ანგარიშზეა ცხრა დაფარება და მოხსნებში უპირატესობა - 44:38.

ახლა ESPN-ის სტატისტიკოსები ამტკიცებენ, რომ ორი მატჩის წაგების შემდეგ „სელტიქსს“ გაუჭირდება სერიის გადარჩენა. ისტორიაში მხოლოდ სამმა გუნდმა შეძლო კონფერენციის ნახევარფინალში 0:2-დან სერიის მოგება („ჰიუსტონმა“ 1994 და 1995 წლებში, „ლეიკერსმა“ 2004 წელს და „სან ანტონიომ“ სამი წლის წინ). გარდა ამისა, ლებრონ ჯეიმსსა და დუეინ უეიდს არასოდეს წაუგიათ სერიები პირველი ორი მატჩის მოგების შემდეგ. სხვათა შორის, ჯეიმსმა პლეი ოფში 21-ედ ჩაატარა 35-ქულიანი (ან მეტი) მატჩი. ამ მაჩვენებლით ის ლეგენდარულ **ალენ აივერსონს** გაუთანაბრდა. ამ დუეტზე წინ მხოლოდ **მაიკლ ჯორდანი, კობი ბრაიანტი** და **შაკილ ო'ნილი** არიან.

დასავლეთი

| ოკლაჰომა-მემფისი | 111:102 |
| --- | --- |

28:17, 26:27, 22:24, 35:34

**ო:** დურანტი (26), უესტბრუკი (24+6 პასი+3 ჩაჭრა), ჰარდენი (21+5 პასი+3 ჩაჭრა), მეინორი (15+3 ჩაჭრა), იბაკა (8+2 მოხსნა), კოლისონი (7), კუკი (5), სეფოლოშა (3), პერკინსი (2).

**მ:** კონლი (24+8 პასი), მაიო (16+3 პასი), რენდოლფი (15+9 მოხსნა+3 პასი+2 დაფარება), მ. გასოლი (13+10 მოხსნა+5 დაფარება+3 პასი), იანგი (12), ალენი (9), არტური (9), ბატიე (4).

**სერია**: 1-1

პირველი მატჩის წაგების შემდეგ „ოკლაჰომამ“ არ დაუშვა კატასტროფა და მემფისში ორი თამაშის ჩასატარებლად ორმატჩიანი ჩამორჩენით არ გაემგზავრა. ამისთვის მასპინძლებს საწყის შეხვედრასთან შედარებით ყველა კომპონენტში უნდა მოემატებინათ თამაშისთვის, რაც მოახერხეს კიდეც და წარმატებაც მოვიდა. უმთავრესი ამოცანა იყო **მარკ გასოლისა** და **ზაკ რენდოლფისთვის** არ მიეცათ ფარქვეშ დომინირების საშუალება. მართალია, სტუმრებმა მოხსნებში ისევ მოიგეს, მაგრამ იმდენად დიდი უპირატესობა არ ჰქონიათ, როგორც პირველ მატჩში. გასოლისა და რენდოლფის წყვილმა საწყის მატჩში 54 ქულა და 23 მოხსნა მიითვალა, მეორეში - 28 და 19.

რენდოლფმა მატჩი იმით დაიწყო, რომ **სერჟ იბაკასგან** ბლოკ-შოტი მიიღო, შემდეგ ორი ბურთი ააცილა და ამან განსაზღვრა მთელი შეხვედრის მსვლელობა. სანამ „მემფისის“ ლიდერი თავის თამაშს ეძებდა, „თანდერმა“ უპირატესობა მოიპოვა და საფინალო სირენამდე არ გაუშვია ხელიდან. ცალკე აღნიშვნის ღირსია „ოკლაჰომას“ სათადარიგოთა სკამი, რომელმაც სასტარტო ხუთეულზე მეტი სარგებელი მოუტანა მასპინძელთა გუნდს. თუ პირველ მატჩში ოკლაჰომელი რეზერვისტების მონაგარი 16 ქულა იყო, ამჯერად მათ ზუსტად სამჯერ მეტი - 48 ქულა დააგროვეს, თანაც რეალიზაციის ბრწყინვალე პროცენტით - თამაშიდან 14/22, საჯარიმოები - 14/17!

მთლიანად გუნდმაც შესანიშნავად ისროლა: თამაშიდან 52.8 პროცენტი, სამქულიანების - 57.1 პროცენტი და 81.8 საჯარიმოები. ასეთი მაჩვენებლებით თამაშს არ აგებენ. მრისხანე რენდოლფმა და გასოლმა კი თამაშიდან 22-ჯერ ისროლეს და მხოლოდ ხუთი ჩააგდეს. ერთადერთი, რამაც მასპინძლების ტრიუმფი გააუფერულა, სერჟ იბაკას ტრავმა იყო - მას ორჯერ მოუწია მოედნის დატოვებამ. პირველ შემთხვევაში დაბრუნდა და თამაში გააგრძელა, მეორედ ეს ვერ შეძლო და ახლა სამედიცინო შემოწმება გაარკვევს ტრავმის ხარისხს.

# ლოკაუტი ახლოვდება




დერეკ ფიშერი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშეები კვლავ უკმაყოფილონი არიან ახალი კოლექტიური ხელშეკრულებით, რომელიც ცოტა ხნის წინ ლიგამ განსახილველად დაურიგა კალათბურთელებს. როგორც ამბობენ, წინა დოკუმენტთან შედარებით ბევრი არაფერია შეცვლილი.

ამ საკითხთან დაკავშირებით NBA-ის მოთამაშეთა პოზიცია კალათბურთელების პროფკავშირის თავმჯდომარემ, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მცველმა **დერეკ ფიშერმა** გაახმოვანა.

*„სამწუხაროდ, ახალი წინადადება ძალიან ჰგავს იმას, რაც ლიგამ ერთი წლის წინ შემოგვთავაზა. ეს ის არ არის, რასაც მათგან ველოდით“*, - განაცხადა ფიშერმა ESPN-ისთვის მიცემულ კომენტარში.

შეგახსენებთ, რომ თუ მხარეები უახლოეს დროში ვერ მიაღწევენ კონსენსუსს, მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში ლოკაუტი გამოცხადდება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# საფრანგეთმაც მოიგო

**A და B ჯგუფებში გუნდებმა დაასრულეს ურთიერთობის გარკვევა და გამოვლინდა ის ექვსი გუნდი, რომელიც მეორე ეტაპზე გააგრძელებს ბრძოლას. მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდო თავი მასპინძელმა სლოვაკეთმა, რომელიც ნული ქულით ხვდება მეორე რაუნდის მატჩებს.**

### A ჯგუფი

**სლოვენია-გერმანია 2:3 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 იეგლიჩი-1 (საბოლიჩი-1, რობარი-1), 2:0 ტიკარი-1 (საბოლიჩი-2), 2:1 ვოლფი-1 (რანკელი-1, ჰოსპელტი-1), 2:2 შულცი-2 (კრუგერი-1, გოგულა-1).
**ბულიტები გაიტანეს:** როდმანი (სლოვენია), რაიმერი (გერმანია), ჰორდლერი (გერმანია).

ამ მატჩს არანაირი სატურნირო მნიშვნელობა არ ჰქონდა - გერმანიამ წინა ორ შეხვედრაში ფავორიტები ძირითად დროში დაამარცხა, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ექვსი ქულით გადავიდა შემდეგ ეტაპზე. ამიტომაც **უვე კრუპის** გუნდი ოდნავ ზერელედ მოეკიდა აუტსაიდერთან მატჩს და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა სლოვენიამ 2:0 წაიყვანა ანგარიში.

ეს გამოფხიზლება ძირითად დროში ანგარიშის გათანაბრებისთვის აღმოჩნდა საკმარისი. გამარჯვებული ვერც ოვერტაიმმა გამოავლინა და დანიშნა ბულიტების სერია, რომელიც მარათონული გამოდგა. ორივე გუნდის ჰოკეისტებს 16 (!) ბულიტის შესრულება მოუწიათ. გერმანიამ ორი გაიტანა, სლოვენიამ - ერთი და გერმანელებმა რვა ქულით დაასრულეს პირველი ჯგუფური ეტაპი.

როგორც ვთქვით, კრუპის შეგირდები მეორე რაუნდს ექვსი ქულით დაიწყებენ, რაც ამ გუნდს პლეი ოფში გასვლის კარგ შანსს აძლევს.

**რუსეთი-სლოვაკეთი 4:3**

1:1, 2:2, 1:0

**გოლები:** 1:0 რადულოვი-2 (კოვალჩუკი-3, ტიუტინი-1), 1:1 შატანი-2 (ნადი-2, იურჩინა-1), 2:1 ნიკულინი-1 (კოვალჩუკი-4, ტიუტინი-2), 2:2 გაბორიკი-1 (დემიტრა-1), 2:3 ნადი-2 (მაიევსკი-1, ვიშნოვსკი-1), 3:3 ნიკულინი-2 (კოვალჩუკი-5), 4:3 მოროზოვი-1 (ანტიუშოვი-1, კაიგოროდოვი-3).

დღის მთავარ შეხვედრაში მეორე ადგილის ბედი წყდებოდა, გარდა ამისა, მნიშვნელობა ენიჭებოდა ქულათა საბოლოო რაოდენობას.

შეხვედრა ძალიან სწრაფ ტემპში დაიწყო და უკვე მეორე წუთისთვის გუნდებმა შაიბები გაცვალეს. საწყის პერიოდში გოლი აღარ გასულა, მატჩის მეორე ნაწილი კი ყველაზე უხვგოლიანი გამოდგა. თავიდან რუსების მცველმა **ნიკულინმა** უძლიერესი დარტყმით დააწინაურა სტუმრები, მაგრამ შეხვედრის ეკვატორზე **გაბორიკმა** და **ნადიმ** ორჯერ გაუტანეს **ნაბოკოვს**. რუსთა სამწვრთნელო შტაბმა მეკარე შეცვალა და ამ ნაბიჯმა გაამართლა. რუსეთს შაიბა აღარ გაუშვია, თავად კი ორჯერ გამოიჩინა თავი. ჯერ მეორე პერიოდში გაათამაშა ზედმეტი ჰოკეისტი (სლოვაკები ბევრ საჯარიმო წუთს იღებდნენ), მესამეში კი კაპიტანმა **მოროზოვმა** გაიტანა გადამწყვეტი შაიბა. მატჩის ბოლოს უკვე რუსებმა უმატეს უხეშობას, მაგრამ ყველა საფრთხე მოიგერიეს და შემდეგ ეტაპზე სამი ქულით გადავიდნენ. მეორე ჯგუფურ რაუნდში იქნება სლოვაკეთიც, ოღონდ ნული ქულით.

| | თ | მ | ო-მ | წ | ო-წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 0 | 9-5 | 8 |
| 2. რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 10-9 | 6 |
| 3. სლოვაკეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 0 | 9-9 | 3 |
| 4. სლოვენია | 3 | 0 | 0 | 2 | 1 | 7-12 | 1 |

### B ჯგუფი

**კანადა-შვეიცარია 4:3 (ო)**

0:1, 2:0, 1:2, 1:0

**გოლები:** 0:1 დიასი-1 (სტანჩესკუ-1, ლემი-1), 1:1 ებერლე-3 (ე. კეინი-2), 2:1 ტავარესი-2, 2:2 დუ ბუა-1 (სბისა-1, გარდნერი-2), 3:2 კ. სტიუარტი-2 (ზაიაცი-1), 3:3 ამბული-1 (ვოკლერი-1), 4:3 პიეტრანჯელო-2 (ზაიაცი-2).

არანაკლებ საინტერესო გამოვიდა შეხვედრა B ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად. კომიცეში ერთმანეთს კანადა და შვეიცარია ებრძოდნენ. ბოლო დროს შვეიცარიამ არაერთხელ გაამწარა ფავორიტი და ტრადიცია არც ამჯერად დაარღვია. მართალია წააგო, მაგრამ არ იყო ამის ღირსი.

ანგარიში სწორედ ევროპელებმა გახსნეს - მეკარე **ჯეიმს რეიმერის** შეცდომით **რაფაელ დიასმა** ისარგებლა. ამის შემდეგ ადგილი ჰქონდა უსიამოვნო ეპიზოდს: შვეიცარიელი **სიმონ მოსერი დიონ ფანოფის** ძალისმიერი ილეთის მსხვერპლი გახდა - ფორვარდი თავის ფეხით მივიდა სათადარიგოთა სკამთან, მაგრამ იქ გონება დაკარგა. ექიმებმა ის გასახდელში წაიყვანეს, თუმცა მეორე პერიოდში მოსერი მოედანზე გავიდა, ასე რომ, სერიოზული არაფერი მომხდარა.

ამის შემდეგ ხმამაღალი სიტყვა თქვეს კანადის ნაკრების ახალგაზრდა წევრებმა - **ებერლემ** და **ტავარესმა** ხუთი წუთის ინტერვალით ორჯერ გაანზილეს მატჩის საუკეთესო მოთამაშე - მეკარე **ლეონარდო ჯენონი**. ამ გოლკიპერის ანგარიშზე 60 (!) „სეივი" მოდის.

მატჩის მესამე ნაწილი ყველაზე საინტერესო გამოდგა. **დუ ბუამ** ცისფერი ხაზიდან დარტყმით გაათანაბრა ანგარიში, კანადელმა **კრის სტიუარტმა** კი მეტოქის კართან არეულობით ისარგებლა და ისევ წინ გაიყვანა კანადა. საფინალო სირენამდე სამი წუთი რჩებოდა.

შვეიცარიამ ბოლომდე იბრძოლა. კანადელმა მცველებმა რატომღაც ყურადღება არ მიაქციეს მათ ზონაში შეპარულ **ამბულს**, რომელიც რეიმერთან პირისპირ გავიდა და თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებით დროში კლასში განსხვავებამ მაინც თავისი გაიტანა. კანადელთა ნიჭიერმა მცველმა **ალექს პიეტრანჯელომ** საშუალო მანძილიდან მეკარისთვის „მკვდარ" ზონაში დაარტყა და თავის გუნდს ურთულესი გამარჯვება მოაპოვებინა. კანადა მეორე ეტაპზე ხუთი ქულით გადავიდა, შვეიცარია - სამით.

**საფრანგეთი-ბელარუსი 2:1 (ო)**

1:0, 0:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ტრეი-1 (ეკეფორი-1, მიუნიე-1), 1:1 დემაგინი-1 (გოროშკო-1, მიხაილოვი-1), 2:1 ეკეფორი-1 (და კოშტა-1, ტრეი-2).

ტურნირის მთავარი სენსაცია კი მეორე ეტაპზე საფრანგეთის ნაკრების გასვლა გახდა. სწორად მოიქცა ფრანგების მწვრთნელი, როცა წინა ტურში დასვენების საშუალება მისცა მეკარე **კრისტობალ იუეს**. გოლკიპერმა მორიგი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა, 40-მდე „სეივი" მიითვალა და პირადად გაიყვანა თავისი გუნდი შემდეგ რაუნდში, სადაც ფრანგებს ერთი ქულა ექნებათ (შვეიცარიასთან ოვერტაიმში წაგებისთვის).

| | თ | მ | ო-მ | წ | ო-წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 3 | 2 | 1 | 0 | 0 | 17-5 | 8 |
| 2. შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 8-5 | 6 |
| 3. საფრანგეთი | 3 | 0 | 1 | 1 | 1 | 3-11 | 3 |
| 4. ბელარუსი | 3 | 0 | 0 | 2 | 1 | 3-10 | 1 |



NHL პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# ვაშინგტონი უშანსოდაა

**რეგულარულ ჩემპიონატში მორიგი წარმატებული თამაშის შემდეგ, „ვაშინგტონი" პლეი ოფში ისევ უშანსოდ რჩება და უკვე მერამდენედ მომავალი წლისთვის უნდა გადადოს სტენლის თასის მოპოვება.**

### აღმოსავლეთი

**ტამპა ბეი-ვაშინგტონი 4:3**

1:0, 1:3, 2:0

**გოლები:** 1:0 ბერგენჰაიმი-5 (მური-4, დაუნი-8), 1:1 ნუბლი-2 (ოვეჩკინი-4), 1:2 ჯ. კარლსონი-1 (ჩიმერა-2, მ. იოჰანსონი-4), 2:2 ლეკავალიე-5 (სენტ ლუისი-6, პურსელი-8), 2:3 ოვეჩკინი-5 (სიომინი-2, მაიკ გრინი-5), 3:3 სტემკოსი-4 (ჰედმანი-3), 4:3 მელოუნი-2 (ტომპსონი-2, ა. ჰოლი-3).

**სერია:** 3-0

„ვაშინგტონმა" ისევ მეტი დარტყმა შეასრულა, ორი პერიოდი უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ მესამეში შესამჩნევად დაიღალა და სრულიად უუნარო გახდა.

თავიდან დედაქალაქელები შესანიშნავად გამოიყურებოდნენ, ბევრს აწუხებდნენ **როლოსონს** და ერთხელ **ნუბლმა** ცარიელ კარში ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, სტუმრებს დაცვა არ უვარგოდათ და ამის გამო **ბერგენჰაიმს** იოლად გაატანინეს პირველი შაიბა.

მეორე პერიოდში იმავე ნუბლმა და **კარლსონმა** „კაპიტალისტები" წინ გაიყვანეს, იქვე **ლეკავალიემ** ფეხებშუა გაუძვრინა **ნოივირტს**. თუმცა პერიოდი მაინც სტუმრებმა მოიგეს - **გრინის** შორიდან დარტყმულის შემდეგ „ტამპას" კართან ქაოსი შეიქმნა, რომელშიც **ოვეჩკინმა** იმარჯვა და „კეპიტალზი" ბოლო შესვენების წინ ლიდერის რანგში გავიდა.

ყველაფერი შეცვალა მასპინძლების მიერ 24 წამის ინტერვალით გატანილმა ორმა შაიბამ - **სტემკოსის** ცხრიანში აუღებელმა დარტყმამ და **მელოუნის** ახლო მანძილიდან ზუსტმა დარტყმამ „ვაშინგტონის" პერსპექტივები სერიაში თითქმის უიმედოდ აქცია. მესამე პერიოდში დარტყმების შეფარდება 15:5 იყო „ტამპას" სასარგებლოდ.

როგორც ვთქვით, დედაქალაქელთა შანსი პრაქტიკულად ნულის ტოლია - „ფილადელფიას" შარშანდელი გმირობა იმით არის უნიკალური, რომ საშუალოდ 50 წელიწადში ერთხელ ხდება.

### დასავლეთი

**ნეშვილი-ვანკუვერი 2:3 (ო)**

1:0, 0:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ლეგუანდი-3 (რ. სატერი-5, სპალინგი-4), 1:1 კესლერი-1 (ერჰოფი-4, დ. სედინი-3), 1:2 ჰიგინსი-3 (კესლერი-6, ედლერი-3), 2:2 ჯ. ეორდი-4 (ერატი-4), 2:3 კესლერი-2 (სამუელსონი-2, ერჰოფი-5).

**სერია:** 1-2

კანადურმა კლუბმა წინა შეხვედრასთან შედარებით გაცილებით აქტიურად დაიწყო და ბევრჯერ შეაწუხა „ნეშვილის" მეკარე **პეკა რინე**, მაგრამ პირველ პერიოდში მხოლოდ ერთი შაიბა ვიხილეთ და ისიც „ვანკუვერის" კარში. თანაც, იმ მომენტში მასპინძლები ერთი კაცით მეტნი იყვნენ მოედანზე და რიცხობრივი უპირატესობის გათამაშებას ცდილობდნენ, მაგრამ **ლეგუანდმა** სწრაფ კონტრშეტევაში გამოიჩინა თავი.

**ალენ ვინიოს** შეგირდებმა ანგარიშის გათანაბრება მეორე პერიოდის სტარტზე მოახერხეს - ამჯერად რიცხობრივმა უპირატესობამ სარგებლობა მოიტანა. აღსანიშნავია, რომ გოლი თავის აქტივში **რაიან კესლერმა** ჩაიწერა - რეგულარულში „ვანკუვერის" საუკეთესო გოლეადორმა მხოლოდ მეათე მატჩში შეძლო პლეი ოფში პირველი გოლის გატანა.

მესამე პერიოდში შაიბების გაცვლის შემდეგ თამაში ოვერტაიმში გადავიდა, იქ კი მატჩის პირველი ვარსკვლავის სტატუსი გაიფორმა კესლერმა - მან დუბლი შეასრულა და ამ მოგებით თავის გუნდს საკუთარი მოედნის უპირატესობა დაუბრუნა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ფრანკფურტი A-ზონენჰოფი | 0:2 |
| **შოტლანდია** | |
| ინვერნესი-სელტიკი | 3:2 |
| **დანიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| რანდერსი-ნორდსილანდი | 0:0 (0:1) |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰიორინგი-კიოგე | 0:3 |
| სკივე-ჰვიდოვრე | 1:1 |
| როსკილდე-ფრედერისია | 2:2 |
| **ავსტრიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| რიდი-რაპიდი | 2:1 |
| **კვიპროსის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| ანორთოსისი-აპოლონი | 1:2 (1:1) |
| ეთნიკოსი-ომონია | 1:1 დ.დ. (0:1) |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სკა ენერგია-ხიმკი | 1:0 |
| ლ. ენერგია-ფაკელი | 0:0 |
| ალანია-ურალი | 1:0 |
| კამაზ-დინამო (ბრ) | 1:0 |
| მორდოვია-შინიკი | 0:0 |
| ვოლგარი-გაზოვიკი | 1:3 |
| ტორპედო-ჩერნომორეცი | 0:1 |
| ბალტიკა-ჟემჩუჟინა | 0:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| ტატრანი-კოშიცე | 0:3 |
| ნიტრა-მორავცე | 0:0 |
| რუჟემბეროკი-დუკლა | 0:0 |
| ტრნავა-ჟილინა | 1:0 |
| დუბნიცა-დ. სტრედა | 0:1 |
| შენიცა-სლოვანი | 1:2 |
| **სლოვენია** | |
| პრიმორიე-ტრიგლავი | 1:0 |
| დომჟალე-ნაფტა | 3:2 |
| კოპერი-რუდარი | 3:3 |
| მარიბორი-ოლიმპია | 2:2 |
| **უნგრეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ვიდეოტონი-კაპოშვარი | 4:0 (1:0) |
| **ბოსნია** | |
| დრინა-სლობოდა | 0:2 |
| შიროკი ბრიეგი-ველეჟი | 4:1 |
| ლეოტარი-ჩელიკი | 2:1 |
| ჟელეზნიჩარი-სლავია | 2:0 |
| ტრავნიკი-სარაევო | 1:2 |
| ჟვიეზდა-ჟრინსკი | 1:1 |
| ოლიმპიკი-ბუდუჩნოსტი | 1:1 |
| რუდარი-ბორაცი | 0:1 |
| **ბულგარეთი** | |
| პირინი-ლევსკი | 2:3 |
| მინიორი-აკადემიკი | 1:0 |
| სლავია-ჩერნო მორე | 0:1 |
| კალიაკრა-ცსკა | 0:3 |
| ლოვეჩი-სლივენი | 4:0 |
| **ჩერნოგორია** | |
| რუდარი-მორნარი | 1:1 |
| ზეტა-ბუდუჩნოსტი | 2:2 |
| მლადოსტი-მოგრენი | 1:1 |
| დეჩიჩი-[illegible] | 0:0 |
| პეტროვაცი-ბარი | 0:0 |
| გრბალი-ლოვჩენი | 1:0 |
| **რუმინეთი** | |
| უნირეა-ვიქტორია | 2:1 |
| ტარგუ-პანდური | 1:0 |
| ბრაშოვი-ასტრა | 0:3 |
| სტიაუა-რაპიდი | 0:1 |
| **ლატვია** | |
| FC იურმალა-გულბენე | 4:1 |
| ოლიმპსი-VV იურმალა | 0:0 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| სეპაჰანი-ალ ჰილალი | 1:1 |
| ალ გარაფა-ალ ჯაზირა | 5:2 |
| ალ ნასარი-ფახთაქორი | 4:0 |
| მელბურნი-გამბა | 1:1 |
| ტიანიინი-ჯეჯუ | 3:0 |
| ნაგოია-ჰანგჯუ | 1:0 |
| სეული-ალ აინი | 3:0 |
| **ბალტიკის ლიგა** | |
| სკონტო-მეტალურგსი | 5:0 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| გოტინგენი-სკაილაინერსი | 67:76 |
| ბრემერჰავენი-ბამბერგი | 84:88 |
| ბრაუნშვაიგი-არტლანდი | 94:81 |
| ოლდენბურგი-ალბა | 77:80 |
| **საბერძნეთი** | |
| მარუსი-არისი | 51:62 |
| კავალა-პაოკ | 62:64 |
| კოლოსოსი-ოლიმპიაკოსი | 67:83 |
| **რუსეთი** | |
| ნ. ნოვგოროდი-კრ. კრილია | 72:85 |
| ლოკომოტივი-უნიქსი | 88:87 |
| **ესპანეთი** | |
| ალიკანტე-ბარსელონა | 76:84 |
| მანრესა-ესტუდიანტესი | 69:63 |
| **ჰოკეი** | |
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| ავსტრია-ნორვეგია | 0:5 |
| დანია-ლატვია | 3:2 (ბ) |
| შვედეთი-აშშ | 6:2 |
| ფინეთი-ჩეხეთი | 1:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მადრიდი** | |
| ლოდრა-ჩიპოლა | 6:4, 6:2 |
| ბელუჩი-ფ. მაიერი | 6:7. 6:3, 3:0 უარი |
| ჯოკოვიჩი-ანდერსონი | 6:3, 6:4 |
| ბერდიხი-გრანოლერსი | 6:4, 6:0 |
| სიოდერლინგი-ხირალდო | 6:3, 6:3 |
| მალისე-ლუ | 6:2, 6:2 |
| დელ პოტრო-ჩილიჩი | 6:3, 6:0 |
| ნადალი-ბაღდატისი | 6:1, 6:3 |
| მიურეი-სიმონი | 6:4, 3:6, 6:0 |
| მელცერი-**ხიმენო ტრავერო** | 6:7, 3:6 |
| **ფედერერი**-ფ. ლოპესი | 7:6, 6:7, 7:6 |
| **WTA. მადრიდი** | |
| ზვონარევა-**კვიტოვა** | 1:6, 4:6 |
| კლეიბანოვა-**ვინჩი** | 2:6, 2:6 |
| **ნა ლი**-ბენეშოვა | 6:1, 6:4 |
| საფინა-**გორჯესი** | 4:6, 6:3, 4:6 |
| იანკოვიჩი-**საფაროვა** | 4:6, 6:4, 5:7 |
| შარაპოვა-**ციბულკოვა** | 5:7, 4:6 |

TV პროგრამა

**6 მაისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ვალენსია.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-უდინეზე.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ოსერი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ხეტაფე.
**21:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-ბარსელონა.
**00:00** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ნიურნბერგი.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-კატანია.
**12:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ლეიკერსი-დალასი. II მატჩი.
**14:30** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. რეალი-ვალენსია.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/16 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**23:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ლეიკერსი-დალასი. II მატჩი.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:50** ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. ბრაგა-ბენფიკა. საპასუხო მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**22:50** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. ვილიარეალი-პორტუ. საპასუხო მატჩი (LIVE).
**03:45** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).

**SPORT+**

**18:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III წრე. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).

**EUROSPORT**

**14:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**18:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**22:30** ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1


ნიკო როსბერგი

# ფერარი ნიკოს ჩაუსაფრდა

„ფერარის" ორივე პილოტის კონტრაქტი მინიმუმ მომავალი წლის ბოლომდე არის გათვლილი, მაგრამ იტალიელი ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, რომ მარანელოში უკვე დაიწყეს მუშაობა იმ ვარიანტზე, რომლის მიხედვითაც **ფელიპე მასას** 2011 წლის ბოლოს კარისკენ მიუთითებენ. ბრაზილიელის ადგილზე ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად „მერსედესის" პილოტ **ნიკო როსბერგს** ასახელებენ.

მასამ, რომელიც „ფერარიში" კარგად გამოიყურებოდა **მიხაელ შუმახერისა** და **კიმი რაიკონენის** მხარდამხარ, შარშან აშკარად ვერ შეძლო **ფერნანდო ალონსოსთვის** ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა. ამ სეზონშიც საქმეები მაინცდამაინც კარგად არ მიდის. მართალია, ბოლო ორ რბოლაში მან პარტნიორზე მაღალი პოზიცია დაიკავა, მაგრამ საერთო ჩათვლაში მაინც აგებს ალონსოსთან, კვალიფიკაციაში ვერც ერთხელ ვერ აჯობა ესპანელს.

გასაკვირი არ არის, რომ ასეთი სიტუაციით გუნდში უკმაყოფილონი არიან. რა თქმა უნდა, ბოლო წლებში მარანელოში ისწავლეს ლიდერზე ნაყოფიერი მუშაობა, მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში, როცა გუნდს აღარ ჰყავს საუკეთესო მანქანა, ორი ერთნაირად სწრაფი პილოტისგან უფრო მეტი სარგებლობა იქნებოდა. თავდაპირველად მასას შემცვლელად **რობერტ კუბიცას** ასახელებდნენ, მაგრამ დღემდე არ არის ცნობილი, შეძლებს თუ არა საშინელი ავარიის შემდეგ პოლონელი კარიერის გაგრძელებას.

ამიტომაც წარმოიშვა როსბერგის მიმართ ინტერესი - ამის შესახებ Autosprint-ის ჟურნალისტები წერენ. თუმცა ამ მომენტისთვის გერმანელს კონტრაქტი აკავშირებს „მერსედესთან", რომელიც 2012 წლის ბოლომდეა ძალაში და ნაკლებად სავარაუდოა, გერმანულმა საჯინიბომ გაუშვას ნიჭიერი პილოტი, რომელიც აგერ უკვე წელიწადნახევარია თვით მიხაელ შუმახერზე უკეთეს შედეგებს აჩვენებს.


ბერნის უტევენ

# ბრძოლა დიდი ცირკისთვის

ცოტა ხნის წინ ამერიკელმა მედიამაგნატმა **რუპერტ მერდოკმა** ფორმულა 1-ის შეძენის სურვილი გამოთქვა, თუმცა ძალიან მალე ამ საკითხზე მითქმა-მოთქმა შეწყდა. საინტერესო იყო ამ ჭორის შესახებ „სამეფო რბოლების" ფაქტობრივი მფლობელის **ბერნი ექლსტოუნის** რეაქცია. თავდაპირველად მან შორს დაიჭირა თავი ამ იდეისგან, თუმცა რამდენიმე დღეში აღიარა, რომ თეორიულად ყველაფერი შესაძლებელია.

ამასობაში, ტელეკომპანია Sky-მ მეტად საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა: მერდოკი **ანიელების** იტალიურ კლანს შეეკრა და ფონდ CVC Capital Partners-ის შეძენას აპირებს. სწორედ ამ ორგანიზაციას ეკუთვნის კომპანია Delta Topco-ის 63 პროცენტი. Delta Topco კი თავის მხრივ, ფორმულა 1-ის მფლობელი გახლავთ.

კომპანია News Corporation, რომლის მფლობელია მერდოკი და იტალიური საინვესტიციო ფირმა Exor, რომელსაც FIAT-ის პრეზიდენტი **ჯონ ელკანი** განაგებს, ფინანსურ ოპერაციას ამზადებენ. მიზანი მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სერიაზე კონტროლის დაწესებაა.

*„ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო კომპანია Exor და გლობალური მედია-ჯგუფი News Corporation ადასტურებენ კონსორციუმის სავარაუდო შექმნის შესახებ მოლაპარაკებებს, რომლის მიზანია ფორმულა 1-ის მრავალწლიანი განვითარების პროგრამა, - წერია ოფიციალურ განცხადებაში. - უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში Exor და News Corporation გამართავენ მოლაპარაკებებს პოტენციურ პარტნიორებთან და სპორტის წამყვან პერსონებთან. ჯერჯერობით არ არის გარკვეული, მიგვიყვანს თუ არა ეს ფორმულა 1-ის ამჟამინდელ მფლობელებთან დიალოგამდე".*

ბრიტანელი ჟურნალისტი **ადამ კუპერი** ვარაუდობს, რომ Exor-სა და News Corporation-ს, შესაძლოა შეუერთდეს მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი, მექსიკელი **კარლოს სლიმი**, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს სხვადასხვა სარბოლო პროექტს.

## ბაჰრეინი 3 ივნისს გაირკვევა

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ 3 ივნისისთვის გადადო წელს ბაჰრეინის გრანპრის ჩატარების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. თუ ზაფხულისთვის ქვეყანაში სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება, რბოლა, შესაძლოა, ნოემბერში აბუ დაბისა და ბრაზილიის ეტაპებს შორის გაიმართოს.

3 ივნისს ფედერაციის მსოფლიო საბჭო ბარსელონაში შეიკრიბება და ბაჰრეინის გრანპრის ბედიც იქ გადაწყდება.

ჩოგბურთი. ტურნირები

# ორი განთესილის გარეშე

დღევანდელ მიმოხილვას მამაკაცების ტურნირით დავიწყებთ, სადაც მეორე წრის ბოლო მონაწილეები ირკვეოდნენ. მადრიდის მასტერსი რუსი ჩოგბურთელების გარეშე დარჩა. არგენტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ** კვირას ეშტორილის ტურნირის მოგების შემდეგ წარმატებით დაიწყო ესპანეთის დედაქალაქში გამოსვლა, თუმცა დაღლა მაინც ეტყობოდა. მისი შეხვედრა რუს **მიხაილ იუჟნისთან** ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა და ამ დროის განმავლობაში სამხრეთამერიკელმა ათი ბრეიკ-პოინტიდან მხოლოდ სამი გამოიყენა, თუმცა ეს საკმარისი აღმოჩნდა შემდეგ წრეში გასასვლელად, რადგან იუჟნიმ მხოლოდ ერთი ბრეიკი გააკეთა, რისი წყალობითაც მეორე სეტის აღება მოახერხა.

წინა კვირის კიდევ ერთმა ლაურეატმა, მიუნხენის ტურნირის ტრიუმფატორმა **ნიკოლაი დავიდენკომ** ვერ მიბაძა დელ პოტროს და პირველივე შეხვედრა ორ სეტში დათმო ესპანელ **მარსელ გრანოლერსთან**. რუსი აშკარად მოუმზადებელი ჩანდა, რადგან მთელი მატჩის განმავლობაში ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია. სხვათა შორის, მიუნხენის ფინალში დავიდენკოს მეტოქემ, გერმანელმა **ფლორიან მაიერმა** თავისი მატჩი მოიგო, თანაც ძლიერი სერბის **ვიქტორ ტროიცკის** წინააღმდეგ.

ფრანგმა **ჟილ სიმონმა** მადრიდის მასტერსის 2005 წლის ფინალისტს **ივან ლუბიჩიჩს** მოუგო ძალიან იოლად - ხორვატს ერთი ბრეიკ-პოინტის შანსიც არ მისცა.

პარალელურად გაიმართა მეორე წრის მატჩები. უცნაური შეხვედრა ჩაატარა სეზონის ერთ-ერთმა ლიდერმა **დავიდ ფერერმა**. მან მოიგო პირველი სეტი **ადრიან მანარინოს** წინააღმდეგ, მაგრამ მეორეში „მშრალი" ანგარიშით დამარცხდა. მონტე კარლოსა და ბარსელონას ფინალისტმა საკუთარ გულშემატკივრებს ბოდიში თავისებურად მოუხადა - თავადაც ნულზე მოიგო მესამე პარტია.

ფრანგმა **ჟო-ვილფრიდ ცონგამ პეპე რიბა** დაამარცხა და შემდეგ წრეში გავიდა, მისმა თანამემამულემ **გაელ მონფილსმა** კი ვერ დაასრულა მატჩი **ხუან მონაკოს** წინააღმდეგ, თუმცა ისედაც უიმედოდ აგებდა. აღსანიშნავია **გაბრიელ გარსია-ლოპესის** მოგება **ტიემო დე ბაკერის** წინააღმდეგ. ესპანელმა შური იძია ჰოლანდიელზე, რომელმაც ერთი დღით ადრე ბრძოლას გამოთიშა **ხუან კარლოს ფერერო**.

■ ■ ■

ქალთა ტურნირზე მხოლოდ შვიდი მატჩი ჩატარდა და ერთ-ერთი სენსაციური შედეგით დასრულდა. ავსტრალიელმა **იარმილა გაიდოშოვამ** ბრძოლას გამოთიშა პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკა**. ეს უკანასკნელი ძალიან კარგად თამაშობდა მოწოდებაზე - ათი ეისი ჰქონდა და არც ერთი ორმაგი შეცდომა, მაგრამ ამასთან, აგნიეშკამ 13 ბრეიკ-პოინტიდან 10 გაანიავა, იმ დროს, როცა მისმა მეტოქემ რვიდან ხუთი ასეთი შანსი გამოიყენა, რამაც მას მერვედფინალის საგზური მოუტანა. თანაც ავსტრალიელმა ხასიათის სიმტკიცეც გამოავლინა - მეორე სეტში 0:3-ს აგებდა და მეოთხე გეიმში რადვანსკას გეიმბოლი ჰქონდა, მაგრამ შემდეგი 30 გათამაშებიდან 23 მოიგო, რამაც გადაწყვიტა მატჩის ბედი.

რადვანსკას გარდა, განთესილებიდან ტურნირს გამოაკლდა **მარიონ ბარტოლი**. არადა, რუს **ანასტასია პავლიუჩენკოვასთან** მატჩში ფრანგისთვის ყველაფერი კარგად იწყებოდა - პირველ სეტში 5:2 დაწინაურდა. სწორედ ამ მომენტიდან შეიცვალა მატჩის სურათი - შემდეგი 12 გეიმიდან რუსმა 11 აიღო და ორ სეტში მოამთავრა საქმე.

იოლი გასეირნება არ ჰქონია მსოფლიოს პირველ ჩოგან **კაროლინ ვოზნიაცკის**. მართალია, **ბოიანა იოვანოვსკის** წინააღმდეგ დანიელი კარგად აწვდიდა და ბრეიკ-პოინტების რეალიზაციის კარგი პროცენტიც (შვიდიდან ხუთი) ჰქონდა, მაგრამ თავისი გეიმებიც არაერთხელ წააგო და ამიტომაც გაიწელა შეხვედრა საათსა და 45 წუთამდე.

როლან გაროსის ფინალისტმა **სამანტა სტოსურმა** დამაჯერებლად ჩამოიცილა გზიდან **დანიელა ჰანტუხოვა**. ორივე ჩოგბურთელი კარგად აწვდიდა და ავსტრალიელის უპირატესობა გადამწყვეტ მომენტებში ზუსტმა თამაშმა განაპირობა.

ამერიკულ დერბიში **ბეტანი მატეკმა** მხოლოდ ორი გეიმი გაიმეტა **ვანია კინგისთვის**, არადა, ამ უკანასკნელმა წინა წრეში **ნადეჟდა პეტროვას** მოუგო. ასევე კარგად გამოიყურებოდა ჩეხი **პეტრა კვიტოვა**, ვინც ძალების ყოველგვარი დაძაბვის გარეშე მოუგო **შანელ სხეპერსს** - 6:3, 6:3.

### WTA
### Mutua Madrid Open

მადრიდი (ესპანეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 4 500 000 ევრო

#### II წრე

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ) 6:4, 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 3)**-სარა ერანი (იტა) 6:0, 2:6, 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 5)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 7:6(1), 7:5; **იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 10) 3:6, 6:3, 6:3; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 11) 7:5, 6:1; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 16)**-შანელ სხეპერსი (ს.აფრ) 6:3, 6:3; **ბეტანი მატეკი (აშშ)**-ვანია კინგი (აშშ) 6:0, 6:2.

### ATP
### Mutua Madrid Open

მადრიდი (ესპანეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 4 500 000 ევრო

#### I წრე

**ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ,13)**-მიხაილ იუჟნი (რუს) 6:1, 3:6, 6:3; **იენ ჰსუნ ლუ (ტაივ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 15) 7:6(7), 7:5; **ფლორიან მაიერი (გერ)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ, 16) 4:6, 7:5, 6:4; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 7:5, 6:2; **ჟილ სიმონი (საფ)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ) 7:5, 7:6(8); **ტომაშ ბელუჩი (ბრა)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 6:4, 6:2; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-მილოშ რაონიჩი (კან) 4:6, 7:6(2), 6:4; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:2, 6:4.

#### II წრე

**დავიდ ფერერი (ესპ, 6)**-ადრიან მანარინო (საფ) 7:5, 0:6, 6:0; ხუან მონაკო (არგ)-გაელ მონფილსი (საფ, 9) 6:2, 3:0 მონფილსის უარი; **გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ)**-ტიემო დე ბაკერი (ჰოლ) 6:2, 6:3; **სერგეი სტახოვსკი (უკრ)**-ჯონ ისნერი (აშშ) 7:5, 4:6, 7:6(3); **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)**-პეპე რიბა (ესპ) 6:4, 6:2.


დავიდ ფერერი

# ფრანჩესკას საიდუმლო

## მატჩის წინ სექსი სასარგებლოა

მატჩის წინ სექსი ძალიან სასარგებლოა. სწორედ ასე ფიქრობს იტალიური ჩოგბურთის ლიდერი **ფრანჩესკა სკიავონე**. *„ქალებისთვის სექსი მატჩის წინ აუცილებელია. ეს ფანტასტიკაა. სექსი ამაღლებს ჰორმონალურ დონეს, რაც ხელს უწყობს წარმატებულ თამაშს"*, - ამბობს ჩოგბურთელი. ბოლო წლებში იტალიელმა შესამჩნევად გააუმჯობესა შედეგები, შარშან კი „დიდი სლემის" ტურნირი - საფრანგეთის ღია პირველობა მოიგო. თუმცა ფრანჩესკა არ აზუსტებს, რამდენად არის დამოკიდებული ეს ტრიუმფი მატჩების წინ სტაბილურ სექსზე.


ფრანჩესკა სკიავონე

უნდა აღინიშნოს, რომ ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე **მოჰამედ ალი** ბრძოლების წინ ექვსი კვირის განმავლობაში თავს იკავებდა სექსისგან. როგორც იტყვიან, შედეგი სახეზეა: ალი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივეა. თუმცა ბრიტანელი ჩოგბურთელი **ენდი მიურეი** ამ საკითხში სკიავონეს უცხადებს სოლიდარობას. *„ვიცი, რომ პროფესიულ კრივში ბრძოლის წინ სექსი კატეგორიულად აკრძალულია. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ჩოგბურთელების გადატვირთული კალენდარი. ის განსხვავდება მოკრივეთა გრაფიკისგან, რომლებსაც წელიწადში სამი ბრძოლის ჩატარება უწევთ. მოკლედ, მე არ განვეკუთვნები იმ სპორტსმენთა კატეგორიას, ვინც ტურნირების წინ თავს იკავებს სექსისგან"*, - განაცხადა ბრიტანელმა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**